სად გაქრა 4 მილიონ 50 ათასი ლარი? A4

დმანისიდან თბილისამდე - ერთიანი ფრონტი არჩევნების "გადასარჩენად" A8

მეცნიერება და ტექნიკა B6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 2003 წელი. №277 (489)

ფასი 50 თეთრი


# დიპლომატიური კორპუსი - ხელისუფლების და არა ხალხის სამსახურში

ლელა მჭედლიძე

*"ახალი მემარჯვენეებისთვის" ყველა ამომრჩეველი თანასწორუფლებიანია! ასეთი განწყობა "მემარჯვენეებმა" კიდევ ერთხელ მას შემდეგ დააფიქსირეს, რაც სახელისუფლებო ბლოკის მიერ გავრცელებული "სააგიტაციო ინსტრუქციები" ჩაიგდეს ხელთ.*

საქმე სიღარიბის დაძლევის პროგრამას ეხება, რომელიც წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიებისთვის კიდევ ერთხელ იქცა სპეკულირების თემად. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძის განმარტებით, სახელისუფლებო ბლოკის აქტივისტები წინასაარჩევნოდ კარდაკარ სიარულისას, თურმე, საკმაოდ მარტივად უხსნიან მოსახლეობას, რომ **"სიღარიბის დაძლევის პროგრამა სამთავრობო პროექტია"** და ის დახმარება-შეღავათები, რაც აქამდე განხორციელებულა, მრავალშვილიან თუ მარტოხელა დედებზე, დენისა თუ გაზის თვალსაზრისით, ამ ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა. შესაბამისად, ამ ზამთრის პირას სოციალური ფენების წარმომადგენელთა მიერ ახალი დახმარების მიღება ასევე სახელისუფლებო ბლოკის კარგად ყოფნაზე, ანუ არჩევნებში გამარჯვებაზე ყოფილა დამოკიდებული. ასეთია სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა ლოგიკა. გამყრელიძის განცხადებით, "ახალი საქართველოსთვის" მებრძოლთ არც იმის განმარტება დავიწყებიათ ამომრჩევლისთვის, რომ **"ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდმა უკვე წარადგინა სიღარიბის დაძლევის პროგრამაში**

გაგრძელება A3 გვერდზე

# წინასაარჩევნო ვიზიტი თუ ქონების ინსპექტირება?

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

**"შევარდნაძე, თავი დაანებე ფეროს!" "ფერო ხალხის საკუთრებაა!" "ჩვენ მონები არ ვართ!"** - ასე ხვდებოდა ზესტაფონი გუშინ ედუარდ შევარდნაძეს. ზესტაფონში პრეზიდენტის სტუმრობის ოფიციალური მოტივი, ფეროშენადნობი ქარხნის 70 წლისთავი გახლდათ, "ნაციონალური მოძრაობის" განმარტებით კი, შევარდნაძის ვიზიტის რეალური მიზანი საკუთარი ქონების ინსპექტირება ყოფილა, რაც ზესტაფონში, თურმე, "ფეროს" სახით არის წარმოდგენილი. ასე იყო თუ ისე, შევარდნაძეს გუშინ ქარხნის სააქტო დარბაზში ორასამდე ადამიანი ელოდა, რომელთაგან თითქმის ნახევარს ისევ დაცვის წევრები და ჟურნალისტები წარმოადგენდნენ, დანარჩენები კი ქარხნის აქტივი გახლდათ.

შევარდნაძის ჩამოსვლამდე კი ქალაქის ცენტრში მოულოდნელად მიხეილ სააკაშვილი გამოჩნდა და ზესტაფონის ცენტალურ ნაწილში 400-კაციანი მიტინგი შეკრიბა. **"პრეზიდენტი ფოთის პორტში და ზესტაფონში საკუთარი ქონების ინსპექტირებისთვის ჩამოვიდა. მე როდესაც იუსტიციის მინისტრი ვიყავი, პრეზიდენტის ოჯახს "ფეროს" პრივატიზება დავუბლოკე. ახლახან კი იგი შალიკაშვილმა "დააპრივატა". რეალურად "ფეროს" მესაკუთრე შალიკაშვილი კი არა, მანანა შევარდნაძეა. პრეზიდენტის ოჯახის ქონების აღწერას ჩვენც ვახდენთ და არჩევნების შემდეგ, კანონის თანახმად, აღნიშნული ქონება შევარდნაძის კლანს უნდა ჩამოერთვას და ხალხს დაუბრუნდეს. მე ამაში დარწმუნებული ვარ!"** - აცხადებდა მიტინგზე სააკაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ასე დახვდნენ ზესტაფონელები პრეზიდენტს.*

# კაკუბავას ფარსი და მუშტი-კრივი ფილარმონიის სცენაზე

სოფო ბუკია

*დევნილთა სახალხო პარტიის მეორე ყრილობაზე ბორის კაკუბავასა და მისი მხარდამჭერი დევნილების იდილია ფილარმონიის შენობაში შემოჭრილმა "აღორძინების" ოცდაათამდე წარმომადგენელმა დაარღვია. "აღორძინების" მომხრეები სცენაზე აიჭრნენ და კაკუბავას ტრიბუნიდან ჩამოგდებას შეეცადნენ. კაკუბავას მომხრეებსა და დაუპატიჟებელ სტუმრებს შორის ცემა-ტყეპა პირდაპირ სცენაზე გაჩაღდა. "ამღორძინებელთა" რიგებში "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ცოტნე ბაკურიას ძმა - მამუკა ბაკურიაც გახლდათ.*

**"ეს არაკაცები ელოდებოდნენ, რომ 2 ნოემბრის არჩევნებზე დევნილთა სახალხო პარტია "აღორძინებას" დაუჭერდა მხარს, მაგრამ რომ გაიგეს, ასე არ იყო, აქ მოცვივდნენ,"** – აცხადებს ბორის კაკუბავა.

გუშინ ფილარმონიაში გამართულ ყრილობაზე განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა დევნილთა სახალხო პარტიისა და "აღორძინების" ურთიერთობის საკითხი. **"უნდობლობას ვუცხადებთ პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს აფხაზეთის საკითხის მოგვარების საქმეში ასლან აბაშიძეს. აბაშიძემ ვერ გაამართლა დევნილთა იმედები, ვითხოვთ აბაშიძისთვის ნდობის მანდატის ჩამორთმევას... 2 ნოემბრის არჩევნებზე "აღორძინება" არცერთი დევნილის ხმას არ მიიღებს,"**

გაგრძელება A3 გვერდზე


*ბორის კაკუბავამ "აღორძინების" წარმომადგენლებს იარაღით შეუტია.*

# გეგმავდნენ თუ არა რუსი „კაგებეშნიკები„ პუტინის ლიკვიდაციას?

ლევან ღირსიაშვილი

კვირას ბრიტანულმა გამოცემა "სანდი ტაიმსმა" სენსაციური მასალა გამოაქვეყნა. კერძოდ, ლონდონში მცხოვრები რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის დახმარებით, სკოტლანდ-იარდმა რუსეთის პრეზიდენტზე ვლადიმირ პუტინზე თავდასხმა აღკვეთა. სკოტლანდ-იარდმა ეს ინფორმაცია ნაწილობრივ დაადასტურა..

"სანდი ტაიმსმა" სკოტლანდ-იარდში არსებულ საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვიდან ლონდონში ორი რუსი მოქალაქე ჩაფრინდა, რომლებიც ფედერალური უშიშროების სამსახურის ყოფილ ვიცე-პოლკოვნიკს ალექსანდრ ლიტვინენკოს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანს ჩეჩნების დახმარებით ვლადიმირ პუტინის ფიზიკური განადგურების გეგმის განხილვა წარმოადგენდა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ალექსანდრე ლიტვინენკო (მარჯვნივ) 1998 წელს ტელეეთერში გამოსვლის დროს*

## პოლიტიკა

### „ლეიბორისტთა" სენსაციური განცხადებები

პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, მასმედიას აუწყა, რომ სახელისუფლებო ბლოკი გაურიგდა აფხაზ სეპარატისტებს ...

A3

## ეკონომიკა

### პრეზიდენტის უსაფუძვლო ოპტიმიზმი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის წინ საქართველოს პრეზიდენტი მეტისმეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი. ამჯერად პრეზიდენტის ოპტიმიზმს საფუძველს აძლევს სსფ-ში სიღარიბის დაძლევის პროგრამისთვის დადებითი შეფასების მიცემა.

A4

## უცხოეთი

### შიმშილობა მილიონ დოლარად

ამერიკელმა ილუზიონისტმა დევიდ ბლეინმა 44-დღიანი შიმშილობა დაასრულა. თემზის თავზე ჩამოკიდებული გამჭვირვალე ყუთიდან იგი პირდაპირ ლონდონის საავადმყოფოში მოხვდა. ამ ხნის მანძილზე მას, წყლის გარდა, არაფერი მიუღია.

A5

## საზოგადოება

### თავისუფლება ბაქოელ ჟურნალისტებს!

ბაქოში განვითარებული მოვლენების შედეგად ოპოზიციასთან ერთად დაზარალდა 73 აზერბაიჯანელი ჟურნალისტიც. დღემდე ციხეში ზის ხუთი მათგანი, რომელთა ბედი, ჯერჯერობით, სრულიად გაურკვეველია.

A6

## სამართალი

### იმერელი კრიმინალები ჯეიმს ბეიკერის რეკომენდაციებს ასრულებენ

ბოლო ორი წლის განმავლობაში, კრიმინალური მდგომარეობის მხრივ, იმერეთის რეგიონი საქართველოში ერთ-ერთი ცხელი წერტილი გახდა. ადამიანთა გახშირებული გატაცებების გამო მას ხშირად პანკისის ხეობასაც ადარებდნენ და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც იმერეთში ადამიანის გატაცების 20-მდე ფაქტია დაფიქსირებული.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 20 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 20 |
| ზუგდიდი | 23 |
| გორი | 18 |
| ახმეტა | 20 |
| ჭიათურა | 21 |
| გაგრა | 21 |
| სამტრედია | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0864 |
| ევრო | 2.4371 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5041 |
| რუბლი | 0.0695 |

# სახელისუფლებო ბლოკის „ცესკოური" მანევრები

*ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები სულ უფრო დაჟინებით ითხოვენ იმ დადგენილების მიღებას, რომელიც საარჩევნო პროცესში "სახელმწიფო და კომერციული ტელევიზიების მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს" ეხება. ოფიციალური ვერსიით, პრეზიდენტის მიერ დანიშნული კომისიის ხუთივე წევრი, ასევე "მრეწველებისა" და "აღორძინების" წარმომადგენლები ამ დადგენილების მიღების აუცილებლობას საარჩევნო კოდექსის დაცვის მოტივით ხსნიან, იმ საარჩევნო კოდექსისა, რომელსაც უკვე საკმაოდ დიდი ხანია, თავად არღვევენ.*

თამარ მჭედლიშვილი

როგორც წესი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომების დღის წესრიგში დადგენილების ეს პროექტი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება ხოლმე. თუმცა, მის განხილვას ოპოზიციონერები და თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი მუდმივად ეწინააღმდეგებიან. კამათი საკმაოდ დიდხანს გრძელდება, თუმცა, ეს განხილვები უშედეგოდ სრულდება. არადა, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ბლოკისთვის ამ დადგენილების მიღება ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მიზეზი მარტივია - მისი მიღების შემთხვევაში, ოპოზიციურ პარტიებს საეთერო სივრცე შეეზღუდებათ.

რაც შეეხება დადგენილების პროექტის შინაარსს: ნებისმიერმა ტელევიზიამ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს საეთერო გრაფიკი ბიულეტენში განსაზღვრული რიგითობის მიხედვით უნდა განუსაზღვროს. ანუ: თუ ერთსა და იმავე სარეკლამო ტიხარში რამდენიმე პარტიას სურს განათავსოს სარეკლამო რგოლი, ტელევიზია ვალდებულია, პირველად ეთერი იმ პარტიას დაუთმოს, რომელსაც საარჩევნო ბიულეტენებში წინა ადგილი უკავია. ასე რომ, სახელისუფლებო ბლოკს ყოველთვის მიენიჭება უპირატესობა იმავე "დემოკრატებთან" თუ "ახლებთან" შედარებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აზერბაიჯანის მაგალითით ზურგგამაგრებული პრეზიდენტი იმუქრება

პრეზიდენტის ბრიფინგი

თამარ ხორბალაძე

"ჩვენ არ დავუშვებთ დესტაბილიზაციას..."

საქართველოს პრეზიდენტი მომავალი არჩევნების ჩატარებისათვის "კანონის ფარგლებში" მკაცრი ზომების მიღებას გეგმავს. მართალია, გუშინ ედუარდ შევარდნაძეს ეს "მკაცრი ზომები" არ დაუკონკრეტებია, მაგრამ პრეზიდენტის განცხადებამ - **"საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში ორგანიზებულად ჩატარდა. მაცნობეს, რომ ამ არეულობის ინიციატორთაგან 100-150 კაცი დაპატიმრებულია..."** - აშკარად არასასიამოვნო ასოციაციები გააჩინა.

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ ამ ეჭვების გაფანტვა სცადა და დიდხანს ირწმუნებოდა, რომ **"საქართველოში მსგავსი რამ არ განმეორდება და არჩევნები დემოკრატიულად ჩაივლის"**, თუმცა იქვე, სიების გამყალბებლების მოძებნა ამ სიების ავტორ სამინისტროს დაავალა: **"თუკი შს სამინისტროს სიები უფრო სრულყოფილია,**

გაგრძელება A3 გვერდზე

# პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გაერთიანება საქართველოს ეკონომიკისათვის

*"თბილავიამშენში" მოეწყო ქარხანასა და კომპანია "ბოინგს" შორის თანამშრომლობის ბიზნესგეგმის პრეზენტაცია. ბიზნესგეგმა ითვალისწინებს "თბილავიამშენის" ბაზაზე "ბოინგის" მომსახურების რეგიონალური ცენტრის შექმნას. პროექტი აშშ-ს საკონსულტაციო ჯგუფ "ჰერიკლეს გრუფის" მიერ მომზადდა და მისი ავტორი გია მაისაშვილი გახლავთ.*

ნინო ნარჩემაშვილი

**"ამ შეხვედრას პოლიტიკასთან და არჩევნებთან არანაირი კავშირი არ აქვს,"** – თავიდანვე დააფიქსირეს პოზიციები "თბილავიამშენის" გენერალურმა დირექტორმა, სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა სამგორის რაიონში პანტიკო თორდიამ და "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამის ავტორმა გია მაისაშვილმა. პრეზენტაციას სამთავრობო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილიც ესწრებოდა. შეხვედრაზე ასეთი შემადგენლობის ერთად გამოჩენა ცოტა არ იყოს უჩვეულო გახლდათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პანკისის ხეობაში ყოფილი მეჩეთი დაარბიეს

*პანკისის ხეობაში სიტუაცია კვლავ დაიძაბა. ამჯერად ადგილობრივი ქისტი მოსახლეობა ადგილობრივ სამართალდამცველებს (კონკრეტულად, ახმეტის უშიშროების სამსახურს) დაუპირისპირდა. საქმე ისაა, რომ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გუშინ, პანკისის ხეობის სოფელ დუისში, მდინარე რიყესთან მდებარე მიტოვებული ძველი მეჩეთის დაკეტილი შენობის კარი შეამტვრიეს, შენობაში შეიჭრნენ და გაჩხრიკეს.*

თუმცა, როგორც დუისელი ქისტები აცხადებენ, ძალოვანებმა ფაქტობრივად დაარბიეს პანკისელ მუსულმანთა ყოფილი სალოცავი. საბოლოოდ კი, ყოფილი მეჩეთიდან, რომელიც მას შემდეგ, რაც დუისში ახალი მეჩეთი აშენდა, აღარ მოქმედებს და მხოლოდ საწყობის ფუნქციას ასრულებს, ორი ყურანი და რამდენიმე წიგნი – მუსულმანური ლიტერატურა წაიღეს.

გარდა ამისა, გუშინვე ჩხრეკა ჩატარდა სოფელ ხალაწანში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილის დროებით საცხოვრებელ სახლშიც. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები სახლში ნებართვის გარეშე შეცვივდნენ და ჩხრეკა კვლავ მუსულმანთა სალოცავი წიგნის - ყურანის ამოღებით დასრულდა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მომხდარი ფაქტის გამო პანკისელი ქისტები შეურაცხყოფილნი არიან და ქართველი სამართალდამცველების მიერ სარწმუნოების შემლახავი ქმედებების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებს გეგმავენ.

გაგრძელება A7 გვერდზე


A2 რეკლამა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ამბები

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის განხორციელება ბორჯომის, თეთრი წყაროს, გარდაბანის, წალკისა და ახალციხის რაიონებში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვისათვის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის შესახებ.



**2003 წლის 21 ოქტომბრისათვის**

მილები განლაგებულია ნავთობსადენის დერეფნის 50 კილომეტრზე

მილები შედუღებულია 45 კილომეტრზე

მილები თხრილში ჩადებულია 20 კმ სიგრძის მონაკვეთზე

უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებულია საქართველოს 2 650 მოქალაქე



**ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში**

ქართული კომპანიების მიერ შესრულებულია 8 273 000 ლარის სამშენებლო სამუშაოები

2 350-მდე ოჯახისათვის გადახდილია 14 960 000 ლარი მიწისა და მოსავლის კომპენსაციისათვის

ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 4 031 000 ლარის ღირებულების სამშენებლო და ინერტული მასალა



ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენილია 553 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი

ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი ბინების დაქირავების საზღაურად გადახდილია 293 700 ლარი

ბათუმისა და ფოთის პორტებში ტვირთების მიღებასა და გადამუშავებაში გადახდილია 6 756 850 ლარი

საქართველოს რკინიგზისათვის ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გადახდილია 6 104 800 ლარი

ქართული სამშენებლო კომპანიების მიერ საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხულია 754 000 ლარი



ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 10 000-ზე მეტმა მოქალაქემ სხვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა პროექტისთვის აუცილებელი მომსახურეობის გაწევისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროცესში

პროექტის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში ათასობით ოჯახს შეეხო

---

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ თქვენთვის მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება პროექტის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.
თუ თქვენ გაგიჩნდათ რაიმე შენიშვნა, წინადადება ან კითხვა:
თქვენთვის მუშაობს მუდმივი სატელეფონო ხაზი 92-02-54 ყოველდღე 10:00-დან 18:00 საათამდე

გარდა ამისა, იმ რაიონებში, სადაც გადის ნავთობსადენი დღეისათვის გახსნილია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლობები შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გარდაბანი, ელექტროქსელების შენობა, დავით აღმაშენებლის ქ. №74;
2. ქ. თეთრიწყარო, რაიონული გამგეობის შენობა, თამარ მეფის ქ. №34;
3. ქ. წალკა, რაიონული გამგეობის შენობა, არისტოტელეს ქ. №22;
4. ქ. ბორჯომი, რაიონული გამგეობის შენობა, რუსთაველის ქ. №1;
5. ქ. ახალციხე, სამხარეო ადმინისტრაციის შენობა, თამარაშენის ქ. №11

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში
სანაპიროს ქუჩა № 4
ტელ: 92-02-46/47

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი საქართველოს მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. დღეს ნათელაშვილი ლიახვის, ქარელისა და ხაშურის მოსახლეობას შეხვდება. "ლეიბორისტთა" ლიდერი ადგილობრივ მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარუდგენს, ლიახვში - როინ ელბაქიძეს, ქარელში - მალხაზ ბერუაშვილს და ხაშურში - ბეგლარ გოგოლაძეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახმეტა.** ახმეტის N18-ე საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრმა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, კომისიის ოფისში შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილეები საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დაუყოვნებლივ გადადგომას და საარჩევნო პროცესში რაიონის გამგებლის უხეში ჩარევის აღკვეთას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ასეული ალექსეევკის სამხედრო აეროდრომიდან გერმანიაში გაემგზავრა, სადაც ორკვირიან სპეციალურ მომზადებას გაივლის და კოსოვოში გაემგზავრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა გოჩა ფიფიამ და "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ზუგდიდის ორგანიზაციის კოორდინატორმა დავით თორდიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს, ეუთო-ს სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში და ამერიკის ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს წერილი გაუგზავნეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფონდმა "ღია საზოგადოება - საქართველომ" საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო. პროგრამის კოორდინატორის გიორგი პაპუაშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამის განხორციელება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" 230 ათასი აშშ დოლარი უჯდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ განაცხადა, რომ სახელისუფლებო ბლოკსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის მიღწეულია გარიგება, რომლის თანახმად, სახელისუფლებო ბლოკის ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თენგიზ ჯგუშია აფხაზი სეპარატისტების დახმარებით, გალის რაიონში მცხოვრები დევნილებისგან 15000 ამომრჩევლის ხმას მიიღებს. ხმების სანაცვლოდ კი აფხაზი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებისგან, კიდევ ოთხი წელი, ტერიტორიული დამოუკიდებლობის გარანტიას მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ, დილიდან ზესტაფონში ადგილობრივი ტელეკომპანია "არგოს" წინ, 500-მდე ადამიანმა აქცია დაიწყო. ისინი ედუარდ შევარდნაძის ჩასვლას აპროტესტებენ, რომელმაც ზესტაფონში, სახელისუფლებო ბლოკის სახელით, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბორის სარალიძე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აქციას შეუერთდა. მიტინგზე მიხეილ სააკაშვილმა მისივე პარტიის ლოგოებით აღნიშნული კალენდრები და ავტოკალმები დაარიგა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** 79-ე ბათუმის საარჩევნო ოლქს დღეს ახალი, შვიდი საარჩევნო უბანი დაემატა. საარჩევნო უბნების რაოდენობა 50-მდე გაიზარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ეჭვი შეაქვს ქალაქ რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის პროფესიონალიზმში და მიაჩნია, რომ ნორმალური მერი ისეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მიმართ მოსახლეობას სკეპტიკურად განაწყობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ს თავმჯდომარის აზრით, ამომრჩეველთა სიების ცდომილებამ შესაძლოა 10 პროცენტი შეადგინოს. ეს სიები იქნება საფუძველი იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს მაქსიმალურად ზუსტი სიები გვქონდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოდის თურქეთის რესპუბლიკის სახმელეთო ჯარების სარდალი, არმიის გენერალი აითაჩ იალმანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი გოგი თოფაძე აცხადებს, რომ თუ რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლება „მრეწველებს" არჩევნებში ხელს შეუშლის და არჩევნებს გააყალბებს, კომპანია „ყაზბეგი" საგადასახადო აღრიცხვაზე თბილისის დიდუბის რაიონში დარეგისტრირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისრაელის ყოფილი ვიცე-პრემიერი შიმონ პერესი 22 ოქტომბერს თბილისში არაოფიციალური ერთდღიანი ვიზიტით ჩამოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი ახმეტის რაიონში მოქმედი ოპოზიციური ძალების ათი წარმომადგენლის მიერ ადგილობრივ საოლქო კომისიის შენობაში შიმშილობის გამოცხადებას ცესკო-ზე ზეწოლად და საოლქო კომისიის პარალიზების მცდელობად მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1989-92 წლებში ქართულ-ოსური დაპირისპირების დროს, სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ალან ჩოჩიევმა ვლადიკავკაზის ციხეში უვადო შიმშილობა გამოაცხადა, მისი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციელების პირველი ჯგუფი, მხარეთა სამართალდამცველი ორგანოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ოქტომბრის ბოლოს ჩავა. ამის შესახებ განაცხადა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ. **პრაიმ-ნიუსი**

# დიპლომატიური კორპუსი - ხელისუფლების და არა ხალხის სამსახურში

პირველი გვერდიდან

**თავისი სიები, სადაც შემოწმების შედეგად ბევრი არარსებული პირი აღმოჩნდა".** ყველაზე საინტერესო კი ამ ინსტრუქციაში ბოლოსათვის "დესერტად" არის მოტოვებული. **"ჩვენ გვაქვს მცირე სარეზერვო ადგილები. ეს ადგილები სიღარიბის პროგრამაში სპეციალურად ჩვენი ბლოკის მომხრეებისთვის გამოიყო. თუ თქვენ ნამდვილად გჭირდებათ შეღავათების პროგრამაში ჩასმა, ჩვენ შეგვიძლია დაგტოვოთ სიაში, მაგრამ, ალბათ, გესმით, რომ ეს ჩვენი პირადი პასუხისმგებლობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ამ პროგრამაში ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" რეკომენდაციით მოხვდებით და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა თქვენი ოჯახის მიერ ამ ბლოკისთვის მიცემულ ხმას."** გამყრელიძე გუშინ ამგვარი ინსტრუქციების გამო კიდევ ერთხელ გამოთქვამდა აღშფოთებას. "სიღარიბის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის თანაბარი უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტიის წარმომადგენელია იგი. გამყრელიძისათვის ამგვარი განცხადება **"ამომრჩევლის მოსყიდვის პირდაპირი გამოხატულებაა, რასაც შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს კიდეც."** საქმე ის არის, რომ ამ მხრივ ბევრი რამ ისევ მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული, რადგან ამგვარ დაპირებებს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ოჯახებში ეწევიან და მოწმეები, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ძნელი მოსაძიებელნი არიან.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, რაც "მემარჯვენეებმა" სახელისუფლებო ბლოკს ამოუჩხრიკეს. მეორე სკანდალი საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებს უკავშირდება. დავით გამყრელიძის განცხადებით, საზღვარგარეთ შექმნილი საარჩევნო უბნების უმეტესობა იქაური საკონსულოებისა და საელჩოების თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული. ეს კი საარჩევნო კოდექსის პირდაპირი დარღვევაა, რადგან სახაზინო სამსახურში მყოფ პირებს საარჩევნო კომისიებში ყოფნის უფლება არ აქვთ. ვაშინგტონში კომისიის თავმჯდომარის პოსტი დესპანმა დავით სუმბაძემ შეითავსა; რომში - კონსულმა სოსო დანელიამ; ერევანში - კონსულმა მამუკა ციხელაშვილმა; ტაშკენტში - კონსულმა ზაზა სეთურიძემ; თელ-ავივში - კონსულმა ვახტანგ ჯაოშვილმა; "მრეწველების" სახელით ამავე კომისიაში წევრად ელჩი რევაზ გაჩეჩილაძეა ჩაწერილი. საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომლები არიან კომისიის წევრებად ნიუ-იორკში, ლონდონში (ელჩ მამაცაშვილის თამადობით), სტამბოლში და ა.შ. მოკლედ, საზღვარგარეთ გახსნილი 63 უბნიდან, უმეტესობა უმაღლეს (სახელისუფლებო) დონეზეა დაკომპლექტებული, თუმცა, კარგი ამაში ნამდვილად არაფერია. დავით გამყრელიძე მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო ბლოკის სამსახურში ჩამდგარი დიპლომატიური კორპუსი ხელისუფლებას 126 ათასი ხმის მოსავალს მოუტანს. "მემარჯვენეთა" ლიდერი ყველაფერს კვლავ არსებულ ხელისუფლებას უკავშირებს და ცესკო-ს თავმჯდომარეს, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოფხიზლებას ურჩევს. თუმცა, პასუხი საზღვარგარეთ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შესახებ, ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, ნანა დევდარიანსაც უნდა მოეკითხოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების უფროსის კახა კახიშვილის განცხადებით, **"კომისიის დაკომპლექტების თაობაზე პასუხისმგებლობა არა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, არამედ მთაწმინდის ოლქის კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება. სწორედ მის დაქვემდებარებაში შედის საზღვარგარეთ გახსნილი უბნები".** თუ რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს ამ სახის დარღვევებს, კახიშვილი კონკრეტული მასალების გაცნობამდე თავს იკავებს. შესაბამისი ინფორმაციის მოსაპოვებლად იგი მოთხოვნის გაგზავნას შესაბამის ინსტანციებში უახლოეს მომავალში აპირებს. ამ საკითხის გადასაწყვეტად, იურისტის აზრით, ცესკო-მ სხდომაზეც უნდა იმსჯელოს.



*დავით გამყრელიძე ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების მცდელობის ახალ ფაქტებს ამხეურებს.*

# კაკუბავას ფარსი და მუშტი-კრივი ფილარმონიის სცენაზე

პირველი გვერდიდან

– სულ ცოტა ხნის წინ "აღორძინებისა" და ასლან აბაშიძის ერთ-ერთმა აქტიურმა მეხოტბემ ამ სიტყვებისთვის დევნილთა მქუხარე ტაში დაიმსახურა. როგორც ჩანს, კაკუბავას ჯერ კიდევ არ განელებია "აღორძინების" მიერ მიყენებული პოლიტიკური ტკივილი. შეგახსენებთ, რომ ბათუმური ბლოკის საარჩევნო პარტიულ სიაში მისი ადგილი "აღორძინების" ახალმა სახემ ფელიქს ტყებუჩავამ დაიკავა.

დევნილთა საარჩევნო ხმები, რომლებიც გუშინ კაკუბავამ "აღორძინებას" საზეიმო ვითარებაში "ჩამოართვა", სავარაუდოდ, სახელისუფლებო ბლოკის ყულაბაში მოხვდება. კაკუბავამ გუშინ კატეგორიულად უარყო მოარული ხმები 2 ნოემბრის არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერით გამოსვლის შესახებ, თუმცა, ამავე დროს, დიდი სითბოთი მოიხსენია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის სიაში მყარ მეშვიდე პოზიციაზე იმყოფება. **"ნადარეიშვილს საშუალება არ მიეცა, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა,"** –გადაწყვიტა კაკუბავამ, რომელიც მიიჩნევს, რომ დევნილთა სახალხო პარტიამ არჩევნების შემდგომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან. ნადარეიშვილის პოლიტიკური კუთვნილება კაკუბავასთვის ერთობ მიუღებელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი მაინც მზადაა დიდსულოვნად დახუჭოს ამ ფაქტზე თვალი და ხელი შეუწყოს დევნილთა დიდ გაერთიანებას. **"დევნილთა ყველა ორგანიზაცია უნდა გაერთიანდეს,"** – აცხადებს იგი და ნოემბრის ბოლოსთვის დევნილთა საერთო ყრილობის მოწყობას გეგმავს.

გუშინდელ ინციდენტს "აღორძინების" თბილისელი მაესტრო ცოტნე ბაკურია გამოეხმაურა. ბაკურიას მიაჩნია, რომ ფილარმონიაში "ერთობ არასასიამოვნო ფაქტი" მოხდა, რასაც სახელად "კაკუბავას ფარსი" უნდა დაერქვას. **"კაკუბავამ საბოლოოდ ჩამოიხსნა თავისი ნიღაბი, ყველამ დაინახა, რომ იგი ხელისუფლებასთან ალიანსშია... მის რეკლამირებას ჩვენ არ ვაპირებთ. ჩემი მხრიდან კაკუბავაზე საუბარი მკვდრის გაცოცხლების ტოლფასია,"** – აცხადებს ბაკურია.

# წინასაარჩევნო ვიზიტი თუ ქონების ინსპექტირება?

პირველი გვერდიდან

მისი წასვლის შემდეგ კი "ესტაფეტა" "ნაციონალების" მაჟორიტარი კანდიდატის დავით მუმლაძის ხელში გადავიდა. მან "ფეროს" მახლობლად საპროტესტო აქცია მოაწყო, თუმცა პოლიციელებმა აქციის მონაწილეებს ჯერ ხუთჯვრიანი დროშები წაართვეს, შემდეგ კი პლაკატებიც დაუხიეს. **"ჩვენი მოთხოვნა იმ დავალიანების დაფარვაა, რომელიც ფეროშენადნობ ქარხანას ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ გააჩნია. ეს თანხა არცთუ ისე მცირეა და 4 მილიონ 525 ათას ლარს შეადგენს. ზესტაფონის მოსახლეობას არავის სამათხოვრო არ სჭირს,"** - განაცხადა დავით მუმლაძემ.

ამასობაში კი პრეზიდენტმა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფოთიდან ვერტმფრენით წამოსვლა გადაიფიქრა და ზესტაფონისკენ გზას ავტომობილით დაუყვა. შევარდნაძის აღნიშნული გადაწყვეტილება საავტომობილო გზის ინსპექტირებით ყოფილა განპირობებული. ზესტაფონში ჩამოსულმა შევარდნაძემ კი საქართველოს გზები ბევრი აქო და მას მსოფლიო დონისა უწოდა. "ფეროს" სააქტო დარბაზში სიტყვით გამოსულმა პრეზიდენტმა, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საქართველოს კომუნისტური წარსულის მიღწევებს, გაიხსენა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის როლი ფეროს გადაიარაღებაში. პარალელურად მას არც საკუთარი დამსახურებები (ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანიის გაერთიანება და ა. შ.) დავიწყებია. აი, დღევანდელ მიღწევებზე საუბრისას კი, ცოტა გაუჭირდა და დარბაზში მყოფ საზოგადოებას ამჟამინდელ მიღწევებზე საუბარს საკუთარ წიგნში დაჰპირდა. **"რომელის დაწერასაც 5 წლის შემდეგ დავიწყებ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. საქართველოს მომავალზე კი შევარდნაძეს კრინტიც არ დაუძრავს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ამჟამინდელ ყოფას შევარდნაძე გაკვრით მაინც შეეხო. აღმოჩნდა რომ პრეზიდენტის გაღიზიანებას "კმარა" და ნინო ბურჯანაძე იწვევს. **"ფოთიდან ზესტაფონამდე მგზავრობისას ერთ-ერთ სახლს გამოსაჩენ ადგილზე ეწერა "კმარა". რა კმარა, კაცო, გზის მშენებლობა კმარა?.. შენ რა გააკეთე იმდენი, რომ ამბობ კმარაო?.. ოპოზიცია ზესტაფონში რომ დადის, რასაც გესაუბრებათ, ყველაფერი ტყუილია, ამიტომაც მაგათ ნუ აჰყვებით. ყველაზე ცუდია, როდესაც პოლიტიკოსები სპეკულანტობას იწყებენ. ახლახან ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს "გადავუარე", როდესაც იკადრა ის, რაც ქალბატონმა არ უნდა იკადროს... მან ტყუილი იკადრა. მე კი სიმართლეს ვამბობ,"** - განაცხადა შევარდნაძემ, თუმცა მისი ბუნდოვანი განმარტებიდან უცნობი დარჩა, რა ტყუილი იკადრა ბურჯანაძემ. ერთადერთი ადამიანი, ვინც გუშინ ზესტაფონში ბევრი აქეს, "ახალი საქართველოს" მაჟორიტარი კანდიდატი ბორის სარალიძე გახლდათ.

ზესტაფონში პრეზიდენტის ვიზიტი "არტ-იმედის" კონცერტით დასრულდა.

# „ლეიბორისტთა" სენსაციური განცხადებები

ვერიკო თევზაძე

"ლეიბორისტულმა პარტიამ" გუშინ რამდენიმე სენსაციური განცხადება გააკეთა. პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, მასმედიას აუწყა, რომ სახელისუფლებო ბლოკი გაურიგდა აფხაზ სეპარატისტებს იმაში, რომ ხსენებული ბლოკის მაჟორიტარი კანდიდატი თენგიზ ჯგუშია, აფხაზი სეპარატისტების დახმარებით, გალში მცხოვრები დევნილებისგან 15 000 ხმას შეაგროვებს. სანაცვლოდ აფხაზები ხელშეუხებლობის, ანუ კიდევ ოთხ წელიწადს ტერიტორიული დამოუკიდებლობის გარანტიას მიიღებენ.

დანელიამ კიდევ რამდენიმე გარიგების შესახებ ისაუბრა. "ლეიბორისტთა" ინფორმაციით, სენაკში აქტიურად მოქმედებს 200-კაციანი ბანდიტური დაჯგუფება "მრეწველების" მაჟორიტარი კანდიდატის კახა რუსიას მეთაურობით: **"რუსიას აქვს დავალება, საქმე ისე მოაგვაროს, რომ სახელისუფლებო ბლოკს 11 ათასი ხმა შეუგროვოს, თავად "მრეწველებს" – ცხრა ათასი, ხოლო "ლეიბორისტებს", დუმილის სანაცვლოდ, სამი ათასი ხმა ერგოთ."**

"ლეიბორისტთა" მტკიცებით, 19 ოქტომბერს თბილისში შედგა საიდუმლო შეხვედრა სამგორის რაიონში "ბურჯანაძე-დემოკრატების" მაჟორიტარ კანდიდატს მიხეილ მაჭავარიანსა და სახელისუფლებო ბლოკის დეპუტატობის კანდიდატს პანტიკო თოდრიას შორის. **"საბოლოოდ გადაწყდა, რომ სახელისუფლებო ბლოკი, "ნაციონალური მოძრაობა" და "ბურჯანაძე-დემოკრატები" მიხეილ მაჭავარიანზე იმუშავებენ. ფაქტობრივად, მაჭავარიანს გადეპუტატება გარანტირებული აქვს,"** - განაცხადა გელა დანელიამ.

"ლეიბორისტები" ასევე წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მარტვილის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატს ფრიდონ რუხაიას: **"სახელისუფლებო ბლოკი, "მრეწველები", "ნაციონალური მოძრაობა" და "ბურჯანაძე-დემოკრატები" რუხაიას სასარგებლოდ იმოქმედებენ. ცნობისთვის, რუხაია ფოთის საბაჟო სამსახურის ყოფილი უფროსია, რომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ყველა პარტიის მიერ მარტვილში დიდძალი თანხაა ჩატანილი. დაახლოებით, ექვსნიშნა ციფრთან გვაქვს საქმე."**

კიდევ ერთი სენსაციური განცხადების შესახებ: "ლეიბორისტთა" მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მომავალ პარლამენტში დაგეგმილია ახალი ფრაქციის - "სამეგრელოს" შექმნა. ფრაქცია ხელს შეუწყობს მეგრული სეპარატიზმის გაღვივებას: **"საპრეზიდენტო არჩევნების წინ ე. წ. მეგრული საქმე ხელახლა აგორდება. 30 წლის წინ შეთითხნილი საქმე რეალობად იქცევა".** დანელიას განმარტებით, **"სიტუაცია ისე დაიძაბება, რომ ქვეყანა სამოქალაქო ომის პირამდე მივა და საპრეზიდენტო არჩევნები გადაიდება. ფრაქცია "სამეგრელოს" შექმნის მიზანიც სწორედ ეს არის... ფრაქციის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ თენგიზ ჯგუშია და ფრიდონ რუხაია."**

"ლეიბორისტები" ხსენებული ინფორმაციების წყაროს არ ასახელებენ. გელა დანელიას თქმით, წყაროს გაცხადების შემთხვევაში, ინფორმატორის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ფიფიამ და "ლეიბორისტული პარტიის" ზუგდიდის ორგანიზაციის კოორდინატორმა დავით თორდიამ, რომლებიც რამდენიმე დღეა შიმშილობენ, გუშინ ცესკო-ს თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს, ეუთო-ს სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში და ამერიკის ელჩს წერილი გაუგზავნეს. მოშიმშილეები ხსენებულ პირთა ზუგდიდში ჩასვლას და მათ მიერ სიტუაციის დეტალურად გაცნობას ითხოვენ.



*"ლეიბორისტები" საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დიდ არეულობებს ვარაუდობენ.*

# სახელისუფლებო ბლოკის „ცესკოური" მანევრები

პირველი გვერდიდან

**"სახელისუფლებო ბლოკის ამ წინადადებას წმინდა წყლის პოლიტიკური დატვირთვა აქვს, რაც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად, თავისუფალ მასმედიასაც ზღუდავს,"** – მიაჩნია ცესკო-ში "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს დიმიტრი ქიტოშვილს, რომლის მოსაზრებას სრულად იზიარებენ "ახლები" და "გაერთიანებული დემოკრატები".

თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანიც ამ დადგენილების მიღების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან პირდაპირ აცხადებს, რომ მისი მიღების შემთხვევაში, ირღვევა კანონი და რომ **"ასეთი გრაფიკის დაწესება მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზიის არხზეა შესაძლებელი".**

როგორც წესი, ამ კონკრეტული დადგენილების პროექტი დღის წესრიგში სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე აღმოჩნდება ხოლმე, თანაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად. **"ჩემთვის გაუგებარია, რატომ ხდება ასე და რატომ წყვეტს ხუთი კაცი, თუ რა საკითხები უნდა იყოს შესული დღის წესრიგში უშუალოდ სხდომის დაწყების წინ,"** - ეს ნანა დევდარიანის განცხადებაა, რომლის ადრესატები, ბუნებრივია, სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლები არიან. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, დღის წესრიგის შემუშავებაზე პასუხისმგებელი კომისიის მდივანია, რომელიც სწორედ პრეზიდენტის მიერ არის დანიშნული.

სახელისუფლებო ბლოკის ლობისტებს და მათი მხარდამჭერი პარტიების ("აღორძინება", "მრეწველები") წარმომადგენლებს საკუთარი პოზიციის დასაცავად საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლი მოჰყავთ, რომლის თანახმად, **"როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ტელე-რადიომაუწყებლობები ვალდებულები არიან, დაიცვან შემდეგი პრინციპები: მაუწყებლობების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამებისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში, საჯაროდ გამოაცხადონ და ცესკო-ს გადასცენ ინფორმაცია - რა რიცხვიდან რა რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი. ტელე ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს. დღიური ფასიანი საეთერო დრო უნდა თანაბრად განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის, დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს..."**

როგორც ვხედავთ, რიგითობაზე აქ არაფერია ნათქვამი. თუმცა, როგორც ცესკო-ს წევრი ნოდარ პაპუკაშვილი აცადებს, სწორედ **"რიგითობის დაცვით იქნება შესაძლებელი პარტიებისთვის თანაბარი საეთერო დროის გამოყოფა და ამ დადგენილების მიღებით ცესკო საარჩევნო კანონის მოთხოვნებს სრულად დაიცავს".**

ამ ლოგიკით გამოდის, რომ ნებისმიერი სარეკლამო ტიხარის დროს ჩვენ ჯერ სახელისუფლებო ბლოკის, შემდეგ "აღორძინების", მერე "ლეიბორისტების", "მრეწველების" და ა. შ. რეკლამებს ვიხილავთ. რა იქნება მაშინ, თუკი რეკლამისთვის გამოყოფილი დრო ამ რგოლებით ამოიწურება? პასუხი მარტივია - სხვა პარტიები რეკლამის გარეშე დარჩებიან.

მოკლედ, სახელისუფლებო ძალები ამ პროექტის გატანაზე უარს არ ამბობენ.

იმის გამო, რომ ცესკო-ში უპირატესობას სახელისუფლებო ბლოკი და მისი მხარდამჭერი პარტიები ფლობენ, საკითხის კენჭისყრაზე გატანა ავტომატურად გამოიწვევს მის მიღებას. ამიტომაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ე.წ. პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. ცესკო-ს კომისიის იურიდიული განყოფილება არა და არ წერს თავის დასკვნას, რაც აუცილებელი პროცედურაა ნებისმიერი საკითხის კენჭისყრაზე გასატანად. თავად ნანა დევდარიანიც დემონსტრაციულად ამბობს უარს ამ დადგენილების კენჭისყრაზე (გუშინ ცესკო-ს იურიდიულ კომისიას უკვე მზად უნდა ჰქონოდა დასკვნა, მაგრამ იურისტებმა დადგენილების პროექტის განხილვისათვის "ვერა და ვერ მოიცალეს").

ხელისუფლების წარმომადგენლები კი დაჟინებით გვიმეორებენ, რომ ისინი კანონის დასაცავად ზრუნავენ. იქნებ, სწორედ კანონის დაცვის გამო დაგვიანდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება, უამრავი პროცედურის ვადაში გაწელვა? ამ კითხვებზე სახელისუფლებო ბლოკს ერთი მარტივი პასუხი აქვს: **"პოლიტელიტა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესზე ვერა და ვერ თანხმდებოდა და ვადების დარღვევა სწორედ ამით იყო გამოწვეული."** არადა, პასუხი, როგორც იტყვიან, სწორი არ არის, რადგან ახალ ცესკო-მდე საქმე, წესით, ძველ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გაეკეთებინა, რომელიც სწორედ ამ დროს სახელისუფლებო ძალებს სრულად ემორჩილებოდა.

# აზერბაიჯანის მაგალითით ზურგგამაგრებული პრეზიდენტი იმუქრება

პირველი გვერდიდან

**ვიდრე პარტიების, ეს ვისი ბრალია და ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა? აქ მართლაც არის ბევრი საეჭვო მომენტი, რითაც სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ და ეს მიიღონ, როგორც დავალება. ვინ გააყალბა სიები უკვე მას შემდეგ, რაც შს სამინისტრომ თავისი მოვალეობა შეასრულა. ერთადერთი გამოსავალი ამ სიყალბის დროს ის არის, რომ თავად ამომრჩეველმა დააზუსტოს სია და დაიცვას თავისი ხმა. დამატებითი სიები აკრძალეს და ამ ფაქტს ხელზე დაიხვევენ არჩევნების დღეს პროვოკაციების მოსაწყობად. ასეთი ჩანს ჩანაფიქრი, მაგრამ მათ ეს იმედი გაუცრუვდებათ, ნურავინ გვემუქრება, ჩვენ დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ,"** - განაცხადა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ.

### "რა შუაშია ონელი გლეხი..."

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარეს "შვილო ნინოდ" მოიხსენიებდა და ამბობდა, რომ ძალზე დიდხანს იკავებდა თავს, არ სურდა ჩაბმულიყო ამ პოლემიკაში, მაგრამ: **"ქალბატონ ნინოს ბოლოდროინდელი განცხადებების უპასუხოდ დატოვება არც მის ინტერესებში შედის. საქმე ეხება სავსებით სამართლიან საყვედურს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ. საკანონმდებლო ორგანომ იმუშავა ძალიან ცუდად. პარლამენტს კი უნდა მართავდეს მისი ხელმძღვანელობა და მან უნდა შექმნას საქმიანი ატმოსფერო. ქალბატონი ნინო აცხადებს, რომ პარლამენტი ვერ შეიკრიბებოდა, რადგან არჩევნების წინ ამას კანონმდებლობა კრძალავდა, შემდეგ კი დასძინა, რომ ასეთი ელემენტარული რამ ონელმა გლეხებმაც კი იციანო. ჯერ ერთი, რა შუაშია ონელი გლეხები, რით არიან ისინი სხვა გლეხებზე ნაკლები?"** - ონელი გლეხების სახელით აღშფოთდა ედუარდ შევარდნაძე. **"კანონმდებლობაში წერია, რომ არჩევნებამდე 45 დღით ადრე, როგორც წესი, პლენარული სხდომები არ ტარდება. მიაქციეთ ყურადღება სიტყვას, როგორც წესი, ეს ნიშნავს პირობით დათქმას. ამ პერიოდში სხდომის მოწვევა არამცთუ აკრძალული, არამედ შესაძლებელიც კია. გარდა ამისა, ამ პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარეს სხდომის დამოუკიდებლად მოწვევის უფლებაც აქვს..."** - განმარტა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა: **"გაუგებარია, რა დივიდენდები უნდა მიიღოს ყოველივე ამის მერე პარლამენტის თავმჯდომარემ. ამის მერე ნინო ბურჯანაძეს ჰყოფნის სითამამე და აცხადებს, რომ ონელმა გლეხებმა მეტი იციან, ვიდრე პრეზიდენტმა შევარდნაძემ. აქვე შევნიშნავ: არასდროს მავიწყდება, რომ ქალბატონზე ვსაუბრობ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მკაცრი ვიქნებოდი. მინდა მამაშვილურად ვურჩიო, პოლიტიკა, ჩემო ძვირფასო ნინო, მეცნიერებაა, ცოდნაა, ძალიან მრისხანე საქმეც არის... ვიცი, მას გაუჩნდება შემხვედრი კითხვა - როგორ მუშაობს აღმასრულებელი ხელისუფლება? ძალიან ცუდად, მაგრამ მე ყოველ დღე ვამხელ უმსგავსობებს და საჭირო კანონმდებლობის გარეშე ჩვენი მუშაობა შეუძლებელია. სხვათა შორის, უახლოეს ხანში ვაპირებ ონში ჩასვლას და აუცილებლად შევხვდები იმ გლეხებს, რომლებიც პრეზიდენტს კონსტიტუციას ასწავლიან..."**

### "არჩევნები არ გადაიდება"

პრეზიდენტ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გადადების არავითარი საფუძველი არ არსებობს და ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაც განსაზღვრულ დროში მოესწრება.

გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა არ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არჩევნების რამდენიმე დღით გადადების თაობაზე მას სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ თხოვნით მიმართა.

# "გაზპრომმა" რუსული გაზის კომპანიები დაბლოკა

მაია ურუშაძე

ორშაბათიდან "გაზპრომი" წყვეტს თავისი მილებით გაზის სამი დამოუკიდებელი მომპოვებლის – "სიბურის", როსპანისა" და "ნორტგაზის" პროდუქციის ტრანსპორტირებას, ხოლო მეოთხე დამოუკიდებელი მომპოვებლის - "ნოვატეკის" გაზის ტრანსპორტირებას ორჯერ ამცირებს. "ვედომოსტის" ცნობით, გაზის მონოპოლისტი თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ ამ კომპანიებს გაზი არ ეყიდებათ და "გაზპრომის" მილები "გადავსებულია".

"გაზპრომის" ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ დამოუკიდებელმა მომპოვებლებმა გაზის მოპოვება დროებით უნდა შეაჩერონ.

როგორც ჩანს, "გაზპრომს" საკუთარი საქმეების მათ ხარჯზე გამოსწორება, კერძოდ, გაზის გაყიდვების საკმაოდ წარუმატებელი მაჩვენებლის გაზრდა სურს. ასე ფიქრობს სამივე შევიწროებული კომპანიაც.

საქმე ისაა, რომ კანონით, "გაზპრომს" არა აქვს უფლება, უარი უთხრას ლიცენზიის მფლობელ კომპანიებს მოპოვებული გაზის ტრანსპორტირებაზე, თუ მას მილები თავისუფალი აქვს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ კერძო კომპანიათა მიერ მოპოვებული გაზი ტექნიკურ სტანდარტებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

დამოუკიდებელი მომპოვებლები აცხადებენ, რომ მათ "გაზპრომმა" თავისი გადაწყვეტილების შესახებ პარასკევს, გვიან საღამოს შეატყობინა. კომპანიების მენეჯერები ენერგოგიგანტის ახალი ფანდით ერთობ შოკირებულნი დარჩნენ.

მაგალითად, "ნორტგაზისთვის" საერთოდ გაუგებარი რჩება "გაზპრომის" გადაწყვეტილება. **"ჩვენ "გაზპრომთან" არ გვაქვს მოლაპარაკება ტრანსპორტირების თაობაზე – ჩვენ ჩვენს გაზს შუამავლები გვიყიდიან. გარდა ამისა, ჩვენ მთელი გაზი გაყიდული გვაქვს და თუ ის მომხმარებლამდე ვერ მიაღწევს, ეს მისი გადამზიდავის – "გაზპრომის" პრობლემა გახდება,"** – აცხადებენ კომპანიაში.

იმავეს ამტკიცებენ სხვა კომპანიებიც. **"მყიდველი გვყავს, მონოპოლისტს კი დამოუკიდებელ კომპანიათა ნედლეულის გადაზიდვის შეზღუდვის თავისი მოტივაცია აქვს. ის ჯერ ვერ ასრულებს მოპოვების საკუთარ გეგმას, ახლა კი გამოძებნა საშუალება, აიძულოს დამოუკიდებელი მომპოვებლები, მას მიჰყიდონ საკუთარი მოპოვებული გაზი,"** – ასე ფიქრობენ სხვა კომპანიებში.

გაზის დამოუკიდებელ მომპოვებელთა კავშირის თავმჯდომარე ვიქტორ ბარანოვი მიიჩნევს, რომ "გაზპრომმა" მაშინვე მოახდინა საკუთარი ძალის დემონსტრირება, როგორც კი პუტინმა განაცხადა, რომ "გაზპრომი" არ უნდა დაიშალოს.

საინტერესოა, რომ "გაზპრომის" მიერ შევიწროებულ კომპანიებს შორის მონოპოლისტის შვილობილი "სიბურიც" აღმოჩნდა. როგორც ჩანს, "გაზპრომისთვის" "სიბური" ის "შინაური" კომპანიაა, რომლის გატყეპითაც ენერგოგიგანტი უცხოებს შეაშინებს.

# პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გაერთიანება საქართველოს ეკონომიკისათვის

პირველი გვერდიდან

გია მაისაშვილს არაერთხელ მოუწია იმის გამეორება, რომ სახელისუფლებო ბლოკი მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი პოლიტიკური გაერთიანებაა და მასთან არანაირი კავშირი არ აქვს, რომ იგი პრეზენტაციაზე "ქვეყნის დამანგრეველი და დამღუპველი" პრეზიდენტის - შევარდნაძის მხარდასაჭერად არ მისულა, რომ "თბილავიამშენში" მისი ყოფნა მხოლოდ უშუალოდ ქარხანასთან კონტაქტს ნიშნავს, რომელთან ურთიერთობაც წელიწადნახევრის წინათ დაიწყო და რომლის ბაზაზეც მსოფლიოში უდიდესი და ცნობილი საავიაციო კომპანიის "ბოინგის" სერვისცენტრის ჩამოყალიბებაა გათვალისწინებული. ვახტანგ რჩეულიშვილის გამოსვლას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ შევარდნაძის დამსახურებებისა და წვლილის მოხსენიების გარეშე არ ჩაუვლია, რასაც გია მაისაშვილის კიდევ ერთი კომენტარი მოჰყვა იმის შესახებ, რომ შევარდნაძე აქ არაფერ შუაშია და **"მისი ხსენება საჭირო არ არის"**, რომ პროექტი მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.



"თბილავიამშენის" ახალი ბიზნესგეგმა "ნაციონალების" ახალმა სახემ წარადგინა.

ზაურ ბოლქვაძის ფოტო

რაც შეეხება თვითონ პროექტს, იგი საქართველოში ბოინგისა და აერობუსის ტიპის თვითმფრინავებისათვის სერვისცენტრის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში ერთადერთი იქნება და, შესაბამისად, მასში შემავალ ყველა ქვეყნის ავიაბაზარს მოემსახურება. გია მაისაშვილის ინფორმაციით, ასეთი ცენტრი უკვე არსებობს თურქეთსა და ისრაელში; "თბილავიამშენის" ბაზაზე მისი გახსნა უდიდესი მოვლენა იქნება ქართული ეკონომიკისათვის. მისივე თქმით, პროექტს, რომლის ღირებულებაც 60 მილიონი აშშ დოლარია, მსოფლიო ბანკის კომერციული ფრთა - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) დააფინანსებს. პროექტით, "ბოინგის" მომსახურების რეგიონალური ცენტრი საქართველოში მუშაობას 2005 წელს დაიწყებს. მანამდე კი გია მაისაშვილს "ბოინგისა" და დამფინანსებელი ორგანიზაციების წინაშე პროექტის წარდგენა და მათი დარწმუნება მოუწევს, რომ აღნიშნული ცენტრი არა აზერბაიჯანში ან სომხეთში, არამედ საქართველოში უნდა გაიხსნას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - **"თუკი აღნიშნული მოვლენა პოლიტიკური ან წინასაარჩევნო მიზნებისათვის იქნება გამოყენებული, პროექტი ჩაშლის საშიშროების წინაშე დადგება"**: პროექტის ავტორების ეს განცხადება, ალბათ, ყველაზე ნიშანდობლივია და მოვლენათა სწორი შეფასების საშუალებას იძლევა.

მონიტორინგი

# სად გაქრა 4 მილიონ 50 ათასი ლარი?

წინა კვირას სოციალური ფონდის ხარჯმა 3 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2,3 მილიონი ლარი მიიმართა პენსიების დაფინანსებაზე, 0,51 მილიონი ლარი - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე, 0,05 მილიონი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამაზე, ხოლო 0,1 მილიონი ლარი - უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე.

კვლავ გრძელდება არათანაბარი მიდგომა პენსიების დაფინანსებაში. 2,3 მილიონი ლარიდან 1,1 მილიონი ლარით დაფინანსდა აგვისტოს პენსიები, ხოლო მაისის დაფინანსება ჯერ არ დასრულებულა.

**19 ოქტომბრისათვის მაისის პენსიებში გარღვევა 3,1 მილიონი ლარია, ივნისში - 6,2 მილიონი ლარი, ივლისში - 9,8 მილიონი ლარი, აგვისტოში - 10,5 მილიონი ლარი, სექტემბერში - 13,7 მილიონი ლარი, ხოლო ოქტომბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.**

**უმწეოთა სოციალური დახმარება, ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები დაფინანსებულია მხოლოდ აგვისტოს ჩათვლით.**

**ცენტრალური ბიუჯეტის და სოციალური ფონდის ცხრა თვის ბალანსებიდან ნათლად ჩანს, რომ უმწეოთა სოციალური დახმარების, ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიების სექტემბრის ტრანსფერი სექტემბერშივე გადაირიცხა ცენტრალური ბიუჯეტიდან. თუმცა, 19 ოქტომბრისათვის სოციალური ფონდიდან შესაბამისი ხარჯები ჯერ არ არის გაწეული. საინტერესოა, რას მოხმარდა ეს თანხები და სად წავიდა 4 მილიონ 50 ათასი ლარი?**

უმძიმესი მდგომარეობაა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში.

19 ოქტომბრისათვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ცხრა თვის გეგმა დაფინანსებულია 76,9 პროცენტით, გარღვევა 12,7 მილიონი ლარია; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსებულია 50,9 პროცენტით, გარღვევა 1,5 მილიონი ლარია; უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსებულია 41,9 პროცენტით, გარღვევა 2,3 მილიონი ლარია.

**19 ოქტომბრისათვის სოციალური ფონდის 10 თვის ხარჯების გეგმაში გარღვევა 89,8 მილიონი ლარია.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 19 ოქტომბრისათვის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 54,862 | 42,192 | 76.9% |
| [illegible] | 10,785 | 6,011 | [illegible] |
| [illegible] | 37,541 | 30,068 | 80.1% |
| [illegible] | 5,700 | 5,213 | 91.5% |
| [illegible] | 918 | 900 | 98.3% |
| [illegible] | 3,060 | 1,558 | 50.9% |
| [illegible] | 1,035 | 177 | 17.1% |
| [illegible] | 1,425 | 930 | 65.3% |
| [illegible] | 150 | 81 | 54.1% |
| [illegible] | 450 | 370 | 82.2% |
| [illegible] | 3,945 | 1,652 | 41.9% |
| [illegible] | 290 | 191 | 65.9% |
| [illegible] | 1,980 | 793 | [illegible] |
| [illegible] | 1,200 | 58 | 4.8% |
| [illegible] | 280 | 137 | 48.9% |
| [illegible] | 515 | 473 | 91.8% |

[illegible] 19 ოქტომბრისათვის

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

[illegible] 20 ოქტომბრისათვის

[illegible]

| დასახელება | ცხრა თვის პროგნოზი | შესრულება | % | 17 ოქტომბერი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 809.44 | 724.09 | 89% | 2.75 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 589.7 | 518.95 | 88% | 1.89 |
| საგადასახადო შემოსავლები | 477.24 | 448.90 | 94% | 1.86 |
| სოციალური ფონდი | 178.31 | 174.31 | 98% | 0.71 |
| საგზაო ფონდი | 34.83 | 31.62 | 91% | 0.15 |
| ბიუჯეტის დაფინანსება | 176.56 | 175.20 | 99% | 0.01 |

# პრეზიდენტის უსაფუძვლო ოპტიმიზმი

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის წინ საქართველოს პრეზიდენტი მეტისმეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი. ამჯერად პრეზიდენტის ოპტიმიზმს საფუძველს აძლევს სსფ-ში სიღარიბის დაძლევის პროგრამისთვის დადებითი შეფასების მიცემა. "24 საათი" გუშინ უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ნიშნავს საქართველოსადმი სსფ-ს მხარდაჭერას პარიზის კლუბში და არც სსფ-ს პროგრამის აღდგენას. ამისათვის სავალუტო ფონდს სხვა სერიოზული პირობები აქვს წამოყენებული ქვეყნისათვის. მათ შორის უმთავრესი - ბიუჯეტის შესრულება - დღეს აშკარად შეუსრულებელიც არის და, როგორც ჩანს, შეუსრულებადიც.*

თამარ ხორბალაძე

ინფორმაციისთვის: ცენტრალური ბიუჯეტის ცხრა თვის შემოსავლების და გრანტების გეგმა შესრულებულია 85,3 პროცენტით, გარღვევა 86,6 მილიონი ლარია. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები გაირღვა 43,1 მილიონი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 9,8 მილიონი ლარით, ხოლო გრანტები 33,7 მილიონი ლარით. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში გარღვევა ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში წლის ბოლომდე მიაღწევს 85-90 მილიონ ლარს, არასაგადასახადო შემოსავლებში - 22-25 მილიონ ლარს, ხოლო გრანტებში კი 70-75 მილიონ ლარს.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ეს ტენდენციები არ უხსენებია:

ედუარდ შევარდნაძის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ, საქართველოს სიღარიბის დაძლევის პროგრამასთან დაკავშირებით გასულ კვირას მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს კრედიტორებთან ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად გზას გაუხსნის.

როგორც შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან უკანასკნელ ხანებში **"აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერის გარეშე უწევდა ფონდთან ურთიერთობების მოგვარება"**.

თუმცა, ქვეყნის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ: **"სიღარიბის დაძლევის პროგრამა იმდენად სრულყოფილი და მრავლისმომცველია, რომ ფონდის დირექტორთა საბჭომ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც დაამტკიცა, რომ საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ მართალია, ეს ბევრისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ საქართველოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ (კრედიტორებთან ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხებზე მოლაპარაკების დროს) გზა ხსნილი ექნება.

**"ვალის რესტრუქტურიზაციის შემდეგ შევძლებთ, რომ მომავალი წლის საბიუჯეტო რესურსები სოციალური დახმარებებისა და შიდა ინვესტიციებისთვის დავზოგოთ. 6 ნოემბერს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაა დაგეგმილი, სადაც ასევე მაღალი წარმოდგენის არიან საქართველოში განხორციელებულ სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე,"** - განაცხადა შევარდნაძემ.

საინტერესო დეტალი: 2004 წლის იმ ბიუჯეტში, რომელიც ისედაც საკმაოდ ოპტიმისტურად არის დაგეგმილი და რომლის ძირითადი პარამეტრები ხელისუფლებამ სსფ-სთან თავიდან უნდა შეაჯეროს, სავარაუდოდ, შემცირების მიმართულებით - პარიზის კლუბში გადასავადებელი ვალების მომსახურების ხარჯები გათვალისწინებული ისედაც არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "დასაზოგი" სახსრები მომავალ წლის ბიუჯეტში ნამდვილად არ იქნება. სსფ-ს არაკეთილგანწყობის შემთხვევაში კი, მასში ვალების მომსახურების თანხების გათვალისწინების აუცილებლობამ წარმატებით შეიძლება "შეჭამოს" სხვა დაცული მუხლების სახსრები.

# ჩინეთი სავალუტო პოლიტიკას გადახედავს?

ადამ მჭედლიძე

როგორც ჩანს, ვაშინგტონის მხრიდან დაწოლამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი შეისწავლის, თუ როგორ შეიძლება ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრა "უფრო მალე მიანდოს" თავისუფალ ბაზარს. თუმცა, ამავე დროს ჩინეთის პრეზიდენტმა ჰუ ძინტაომ იუანის კურსის სწრაფი შეცვლა გამორიცხა იმ მოტივით, რომ ამან შეიძლება სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს აზიაში. ეს საგულისხმო გამოსვლა ჰუ ძინტაომ პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრისას გააკეთა. შეგახსენებთ, ბუშმა აზიაში თავისი ვიზიტის წინ თავის ხალხს აღუქვა, რომ აუცილებლად დააყენებდა პეკინის წინაშე იუანის პრობლემას. ჩინეთი უკვე დიდი ხანია არაბუნებრივად დაბალ კურსს აფიქსირებს საკუთარი ეროვნული ვალუტისათვის, რის ხარჯზეც არნახულად ზრდის თავის ექსპორტს. ეს მკვეთრად აღრმავებს აშშ-ის სავაჭრო დეფიციტს და აზარალებს ამერიკულ მრეწველობას, სადაც ბოლო ხანს სამუშაო ადგილების შემცირებებს აქვს ადგილი. პრეზიდენტ ბუშს, რომელსაც მომავალ წელს არჩევნები ელის, არანაირად არ შეეძლო ამ საკითხისთვის გვერდი აევლო.

თუმცა, ჯერჯერობით, საკითხავია მართლაც რამდენად სწრაფად განახორციელებს პეკინი თავის დანაპირებს და დაწევს იუანის კურსს. ჩინეთმა აქამდე არაერთხელ (თუმცა, არა პრეზიდენტის დონეზე) გაკეთა ანალოგიური განცხადება, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია. სულ ახლახან კი ქვეყნის პრემიერმა იუანის კურსის შეცვლა საერთოდ გამორიცხა. გარდა ამისა, თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა ძინტაომ ისიც განაცხადა, რომ ჩინეთის ეკონომიკა სერიოზულად არის დამოკიდებული იუანის კურსზე, ხოლო ჩინეთის ეკონიმიკას მთელი რეგიონისთვის (რომლის მოსახლეობაც 2,8 მილიარდს აჭარბებს) და მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დღეს 1 დოლარი 8,3-8,7 იუანს უტოლდება, რაც, ამერიკელ ბიზნესმენთა აზრით, არაბუნებრივად დაბალი კურსია და სწორედ მისი წყალობითაა, რომ აშშ-ის ბაზარი ჩინურმა საქონელმა წალეკა.

პრეზიდენტმა ძინტაომ განაცხადა, რომ იუანის კურსის საკითხი აუცილებლად დააინტერესებს ჩინეთის მეზობელ ქვეყნებს. მისი თქმით, ამ ქვეყანათა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ "იუანის კურსის გადახედვა ამ ეტაპზე არც ისე მიზანშეწონილია."

არადა, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, იუანის კურსის გარკვეული ცვლა თავად პეკინს უნდა აწყობდეს, ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 9 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ექსპორტის დამსახურება იყო, ამ მონაცემმა საგრძნობლად შეაშფოთა ეკონომისტები, რადგან, მათი აზრით, ჩინეთი ამგვარი ტემპებით შეიძლება "გადახურდეს." მსგავსი საშიშროება 90-იანების მიწურულს აშშ-საც ემუქრებოდა, სადაც ასევე ეკონომიკური ზრდის არნახული ტემპები დაფიქსირდა. სპეციალისტები შიშობდნენ, რომ ზრდას სამუშაო ადგილების მასიური შექმნა, ხელფასების მატება და ინფლაცია მოჰყვებოდა. აშშ-ის ფედერალური რეზერვი ამის თავიდან ასაცილებლად მეთოდურად სწევდა მაღლა საპროცენტო განაკვეთს და, საბოლოოდ, "გადახურება", შეიძლება ითქვას, არ მომხდარა. თუმცა, თავად ჩინელი სპეციალისტები მათი ქვეყნის ეკონომიკის "გადახურების" საშიშროებას გამორიცხავენ, რადგან ჩინეთში აშშ-სგან ერთობ განსხვავებული ვითარებაა. აქ კვლავაც საკმაოდ მაღალია უმუშევრობა და ადგილი აქვს ენერგოდეფიციტს.

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების ანალიზსა და კომენტარებს შეგიძლიათ ყოველდღე გაეცნოთ გაზეთში „24 საათი".

გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე დაწარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.

გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და სამეწარმეო სამართალში.

WWW.DVNK.GE

ტელ.: +995 32 751054 ფაქსი.: +995 32 751056 ელ-ფოსტა.: office@dvnk.ge

მოკლედ

## ფრანგი მეთამბაქოეები აჯანყდნენ

გუშინ, საფრანგეთში, თამბაქოს ჯიხურების მფლობელები პირველად აჯანყდნენ. ისინი აპროტესტებენ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის 20-პროცენტიან ზრდას. 34 ათასი მეთამბაქოე ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ ის ნიკოტინის საწინააღმდეგო კამპანიას ბიუჯეტის შესავსებად იყენებს.

ადრე საფრანგეთში თამბაქოს ნაწარმი ყველაზე იაფი იყო ევროპის მასშტაბით. 6 თვის წინ აქციზის პირველმა გაზრდამ თამბაქოს ჯიხურების 57 პროცენტის დახურვა გამოიწვია. ახლანდელი მატებით კი სიგარეტის ფასი საფრანგეთში მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს გადააჭარბებს.

სხვათა შორის, საფრანგეთის მთავრობა აქციზის კიდევ ერთხელ მომატებას გეგმავს.

## მილიარდიანი ზარალი "სონის" "სამსუნგთან" დაამეგობრებს

იაპონური კონცერნი "სონი" უახლოეს სამ წელიწადში 15-20 ათასი თანამშრომლის დათხოვნას და თავისი წარმოებების ნაწილის დახურვას აპირებს. მომავალ კვირაში კონცერნმა რესტრუქტურიზაციის გეგმა უნდა წარადგინოს. ჯერჯერობით, საიდუმლოდ დარჩება მოსალოდნელი მასობრივი დათხოვნის ვადები.

2003 წლის პირველი კვარტალი კონცერნმა თითქმის მილიარდიანი ზარალით დახურა. ტელეტექნიკის მწარმოებელი ყოფილი ლიდერი ახლა აშკარად ველარ უძლებს კონკურენტების შემოტევას. გარდა ამისა, "სონის" ფინანსურ მდგომარეობაზე მისი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორის – აშშ-ის საერთო ეკონომიკურმა ვარდნამაც იმოქმედა.

იმისათვის, რომ თხევადკრისტალიანი მონიტორების ბაზარზე გაძლოს, "სონი" უახლოეს მომავალში თავის "დაუძინებელ მტერთან" – "სამსუნგთან" ერთობლივი საწარმოს შექმნას აპირებს.

ორი სიტყვით

**ბაქო.** აზერბაიჯანის სახელმწიფო ავიაკონცერნმა „აზერბაიჯან ჰავა იოლარიმ" („აზალ") ლიზინგით შეიძინა ახალი ავიალაინერი „ბოინგ-757". ახალი ავიალაინერი კონცერნმა შეიძინა თვითმფრინავების პარკის განახლების პროგრამით და მისი ტექნიკური მახასიათებლები ევროკონტროლის მოთხოვნებს შეესაბამება. ავიალაინერი შეიძინეს კომპანია „ბოინგისგან", თუმცა მის ღირებულებასა და გასაღების პირობებზე არაფერს იტყობინებიან. დღეისათვის „აზალის" პარკშია „ბოინგის" ოთხი ავიალაინერი: ორი – „ბოინგ-727" და ორი – „ბოინგ-757". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 ოქტომბრიდან ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონები ელექტროენერგიას სომხეთიდან იღებენ. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა და „არმენენერგოს" შორის ელექტროენერგიის იმპორტის შესახებ ხელშეკრულება 6 ოქტომბერს გაფორმდა. სომხურმა მხარემ ზამთრის განმავლობაში (აპრილის თვის ჩათვლით) - 2,5 მეგავატი, პიკის საათებში კი 8 მეგავატი ელექტროენერგიის მოწოდება უნდა უზრუნველყოს, ენერგოკომპანიის ორივე ფილიალმა კი მოწოდებული ელექტროენერგიის საფასური სრულად უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმპორტი შეწყდება. დანარჩენი რაიონები საბითუმო ბაზრის დაწესებული ლიმიტით (საჭირო 3,8 მილიონი კილოვატსაათის ნაცვლად) 1 მილიარდ 289 მილიონ კილოვატსაათს ინაწილებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის რეალიზაცია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებში შედის, თუმცა, მისი თქმით, ქართული მხარე არანაკლებ მნიშვნელობას ქვეყნის სრულ გაზიფიკაციას, ანუ ისეთი პროექტების ხორცშესხმასაც ანიჭებს, როგორც რუსული და შუა აზიის გაზის საქართველოზე ტრანზიტია. "ამ შემთხვევაში ჩვენ ორ საქმეს ვაკეთებთ: გზის ტრანზიტიდან შემოსული თანხებით ქვეყნის ბიუჯეტს შევავსებთ, ხოლო ქვეყნის სრული გაზიფიკაციით საქართველოს ტყეებს განადგურებისაგან გადავარჩენთ," - განაცხადა დღევანდელ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდის რაიონი ბუნებრივი აირით სრულად ამ კვირის ბოლომდე დაიტვირთება. "ინჟმშენი" ორ დღეში დაასრულებს გაზსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. "თბილგაზი" მოსახლეობას ბოდიშს უხდის შექმნილი დისკომფორტისათვის. "ინჟმშენმა" თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები 26 ივლისს დაიწყო, თუმცა ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი თანხების მიუღებლობის გამო მათ დასრულებას ველარ ახერხებდა. ახლა "ინჟმშენმა" საკუთარი სახსრებით სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების პირობა დადო. უახლოეს დღეებში ბუნებრივ აირს ავლაბარიც მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე "საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის" წარმომადგენელთა 10-კაციანი ჯგუფი ხვალ ორი კვირით ყირგიზეთში გაემგზავრება. პროექტის ინჟინერმა იაკობ მაისაშვილმა განაცხადა, რომ ჯგუფი ყირგიზეთში ანალოგიური პროექტის მიმდინარეობას გაეცნობა. ყირგიზეთში ეს პროგრამა 1998 წლიდან მიმდინარეობს, საქართველოში კი მისი განხორციელება 2001 წლის ბოლოდან დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22 ოქტომბერს, თბილისში, მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია გაიმართება. კონფერენციაში, რომელიც მეტალურგიის, შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემებს მიეძღვნება, უკრაინელი, პოლონელი, რუსი და ბულგარელი მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

# ისრაელის ავიაციამ ქალაქი ღაზა დაბომბა



ისრაელის ავიაცია ღაზას სექტორზე იერიშებს განაგრძობს.

გუშინ დილით ისრაელის სამხედრო ავიაციამ ქალაქ ღაზაში ერთ-ერთ სამიზნეზე საჰაერო დარტყმა განახორციელა. სააგენტო "ბიბისი" თავის წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ისრაელის ავიაციის მიზანს რადიკალური დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" ერთ-ერთი ლიდერი აბდულა შამის განადგურება წარმოადგენდა. თუმცა, როგორც თავად "ისლამური ჯიჰადის" წარმომადგენელმა განაცხადა, ავიაციის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მათ აბდულა შამის სახლის მახლობლად განლაგებული საცხოვრებელი შენობა დაანგრიეს. სააგენტო "როიტერი" კი ისრაელის სამხედროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ისრაელის ავიაციის მიზანს აბდულა შამის სახლის დანგრევა კი არა, იარაღის საწყობის განადგურება წარმოადგენდა, რომელიც სწორედ შამის სახლის გვერდით მდებარეობს. ისრაელის მთავრობის ინფორმაციით, ამ იარაღის საწყობში "ქასამის" ტიპის რაკეტები და სხვა შეიარაღება იწარმოებოდა. სააგენტო "ასოშეიტედ პრესი" კი იუწყება, რომ სახლი, რომელზედაც ავიადარტყმა განხორციელდა, ეკუთვნის ვინმე მუშტაჰას ოჯახს, რომლის წევრებიც "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტები არიან.

ასეა თუ ისე, ისრაელის ავიაციის მიზანს "ისლამური ჯიჰადი" წარმოადგენდა.

ოქტომბრის დასაწყისში ამ ორგანიზაციამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ჰაიფაში განხორციელებულ ტერორისტულ აქტზე, რომელსაც 21 ებრაელის სიცოცხლე შეეწირა. გარდა ამისა, ავიადარტყმის განხორციელებამდე რამდენიმე საათით ადრე ისრაელის არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პალესტინელმა ტერორისტებმა სამი ებრაელი ჯარისკაცი მოკლეს. ისრაელის არმიის ჯარისკაცები ქალაქ რამალაში პალესტინელების მიერ მოწყობილ ალყაში მოხვდნენ. ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა კი "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადებმა" აიღეს.

ამ აქციის შემდეგ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა 5 ათასამდე რეზერვისტის მობილიზაცია გამოაცხადა. მოსალოდნელია, რომ რეზერვისტები პალესტინურ ტერიტორიებზე განლაგდებიან, რადგან თავდაცვის სამინისტრო ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პალესტინელები ახალი ტერაქტების სერიას გეგმავენ. ისრაელის იუსტიციის მინისტრი კი აცხადებს, რომ "პალსეტინელები ვერ აცნობიერებენ კატასტროფის იმ მასშტაბებს, რომელიც მათ საკუთარ თავს დაატეხეს."

გასული კვირა კი პალესტინელებისათვის მართლაც სისხლიანი და ტრაგიკული იყო. რაფაჰასთან მდებარე ლტოლვილთა ბანაკში ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული რეიდის დროს 14 პალესტინელი დაიღუპა.

გუშინ, დღის ბოლოს ისრაელის ავიაციამ კვლავ მიიტანა იერიში ღაზას სექტორზე, რის შედეგადაც სამი პალესტინელი დაიღუპა, მათ შორის ორი - დაჯგუფება "ჰამასის" წევრია.

# შვეიცარიელებს იმიგრანტები მობეზრდათ

ალბანელ მაფიოზებთან და აფრიკელ ნარკოვაჭრებთან შეუპოვარმა მებრძოლმა, შვეიცარიელმა მილიარდერმა კრისტოფ ბლოხერმა ამ ქვეყანაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ბლოხერმა 200-კაციან პარლამენტში სულ 8 კაცით გაზარდა თავის წარმომადგენელთა რიცხვი. მაგრამ შვეიცარიისათვის, რომელსაც 1959 წლიდან მოყოლებული, ერთი და იგივე 4-პარტიიანი კოალიცია მართავს, რომლებიც ყველა არჩევნებზე ხმათა ერთსა და იმავე რაოდენობას იღებენ, ეს დიდი ამბავია.

7-კაციან კაბინეტში ბლოხერის პარტიას ყოველთვის ერთი მინისტრი ჰყავდა. ახლა, როდესაც მისმა პარტიამ ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მოიპოვა, იგი კიდევ ერთ ადგილს მოითხოვს. ზესტაბილური პოლიტიკური სისტემისათვის ეს ცვლილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ როგორც ამბობენ, მან, შესაძლოა, ქვეყნის განვითარების მიმართულება მთლიანად შეცვალოს.

ბლოხერმა, რომელიც შვეიცარიის უდიდეს ქიმიური მრეწველობის კომპანიას ფლობს, პოპულარობა უცხოელი იმიგრანტების კრიტიკის ხარჯზე მოიპოვა. წლითი-წლობით, უცხოელი იმიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მისი რეიტინგი იზრდებოდა და ერთ დროს მარგინალური პარტია დღეს შვეიცარიაში უმნიშვნელოვანესი ძალა გახდა.

"იმის ნაცვლად, რომ დავსაჯოთ კრიმინალი უცხოელი თავშესაფრის მაძიებლები, ჩვენ მათ ბინებს, სამუშაოსა და სოციალურ დახმარებას ვაძლევთ", "ალბანელ მაფიოზებზე უფრო მეტად ვზრუნავთ, ვიდრე ჩვენს პენსიონერებზე," – ეწერა სახალხო პარტიის პლაკატებზე. ამ ლოზუნგებმა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღშფოთება გამოიწვია. ბლოხერი რამდენჯერმე რასიზმშიც დაადანაშაულეს, თუმცა მან ბრალდებების თავიდან არიდება მოახერხა.

გარდა იმისა, რომ ქვეყანაში უცხოელების შემოშვება არ სურს, ბლოხერი დანარჩენი მსოფლიოდან შვეიცარიის იზოლირებასაც უჭერს მხარს. მისი პარტიის მცდელობით არ შევიდა შვეიცარია ევროკავშირში, მის გამო არ მონაწილეობს ეს ქვეყანა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში და, ამავე დროს, ინარჩუნებს არმიას, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არაფერში სჭირდება. ბლოხერი უშედეგოდ ცდილობდა შვეიცარიის ევროკავშირში განევრიანების დაბლოკვასაც.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში სახალხო პარტიის წარმატება ევროპაში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის გაძლიერების კიდევ ერთი დასტურია. ჰაიდერის წარმატება ავსტრიაში, ლე პენისა – საფრანგეთში, ფორტუინისა – ჰოლანდიაში აშკარად მოწმობს იმას, რომ უცხოელი იმიგრანტების საწინააღმდეგო, იზოლაციონისტური განწყობილება ევროპაში სულ უფრო იზრდება.

## ორი სიტყვით

**ჩრდილოეთ კორეა.** გუშინ საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის "ხმელეთი-წყალი" გამოცდა შესაძლოა, უკვე განახორციელა. ამის თაობაზე მასმედიას ინფორმაცია იაპონიის ხელისუფლებამ მიაწოდა. ტოკიოს ოფიციალური წარმომადგენლის იუკონორი მორიტის თქმით, იაპონიის თავდაცვის უწყებას ამის შესახებ გადაუმოწმებელი ინფორმაცია გააჩნია.

■ ■ ■

**ერაყი.** გუშინ ერაყის ქალაქ ფალუჯასთან ერაყელმა პარტიზანებმა ამერიკელების სამხედრო პატრულზე მიიტანეს იერიში, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. 1 მაისის შემდეგ ერაყში დაღუპულ ამერიკელთა რიცხვმა 104-ს მიაღწია.

■ ■ ■

**ნიგერია.** დანიური მაშველი გემი, რომელიც ნიგერიის სანაპიროებთან მეორე ხომალდის გადარჩენას ცდილობდა, თვითონ ჩაიძირა.

გემ "სტევნს პაუერზე" 11 მეზღვაური იმყოფებოდა და ყველა მათგანი დაიღუპა. მის შორიახლოს რამდენიმე სხვა გემიც იმოფებოდა, მაგრამ მათ ეკიპაჟის გადარჩენა ვერ შეძლეს.

კატასტროფის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. დანიის ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.






# ბეგმავდნენ თუ არა რუსი „კაგებეშნიკები" პუტინის ლიკვიდაციას?

პირველი გვერდიდან



ვლადიმირ პუტინი.

ამ ვიზიტის შესახებ ლიტვინენკომ ბორის ბერეზოვსკის აუწყა, რომელმაც, თავის მხრივ, ურჩია, რომ ეს ინფორმაცია ბრიტანეთის პოლიციისათვის გადაეცა. ლიტვინენკოს განცხადებით, მას მოსკოვიდან ჩასულმა სტუმრებმა ბერეზოვსკისთან შეხვედრის ორგანიზებაც სთხოვეს, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ამ საქმეში პუტინთან დაპირისპირებული ოლიგარქიც ჩაერთვებოდა. "სანდი ტაიმსის" ცნობით, ლიტვინენკოს განცხადების საფუძველზე რუსეთის ორივე მოქალაქე დააპატიმრეს.

**"ის, რაც "სანდი ტაიმსში" წერია, სიმართლესთან ძალზე ახლოა,"** - განუცხადა გაზეთ "კომერსანტს" თავად ბორის ბერეზოვსკიმ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მაიორი ანდრეი პონკინი და ვინმე ბ-ნ ალიოხინი, ლიტვინენკოს 9 ოქტომბერს შეხვდნენ.

ალექსანდრ ლიტვინენკო და პონკინი უშიშროებაში ერთად მსახურობდნენ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ევალებოდათ. ჯერ კიდევ 1998 წელს, ვიცე-პოლკოვნიკმა ლიტვინენკომ, პოლკოვნიკმა ვიქტორ შებალინმა, მაიორმა ანდრეი პონკინმა, მაიორმა გერმან შეგლოვმა და უფროსმა ლეიტენანტმა კონსტანტინ ლატიშონოვმა სახალხოდ განაცხადეს, რომ უშიშროების ხელმძღვანელობამ მათ იმჟამინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბორის ბერეზოვსკის მკვლელობა დაავალა. გარდა ამისა, მათ ებრძანათ გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით მოეტაცათ "ინტურისტ რადამერის - სასტუმროს და საქმიანი ცენტრის" გენერალური დირექტორის უმარ ჯაბრაილოვის ძმა. მათი ტელეეთერში გამოსვლის შემდეგ ისინი კონტრდაზვერვიდან გაათავისუფლეს. ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი ლიტვინენკო ამის შემდეგ ლონდონში დასახლდა.

პონკინთან და ალიოხინთან შეხვედრის შემდეგ, ლიტვინენკო მაშინვე ბორის ბერეზოვსკის მოსანახულებლად გაეშურა და ეს ყველაფერი დეტალურად აუწყა. ლიტვინენკოს თქმით, მისი სტუმრები ლონდონში ბერეზოვსკისთან და იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელთან აჰმედ ზაკაევთან შესახვედრად ჩამოვიდნენ, რათა პუტინის ლიკვიდაციისათვის მათგან დახმარება და მხარდაჭერა მიეღოთ. **"უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლების პუტინისადმი უკმაყოფილება იზრდება. ისინი მიიჩნევენ, რომ როგორც კი პუტინი ოლიგარქებს გაუსწორდება, მათი ჯერიც დადგება. ამიტომ არსებობს გეგმა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩენმა სეპარატისტმა სნაიპერის კარაბინით მოკლას საზღვარგარეთ მისი ერთ-ერთი ვიზიტის დროს,"** - განუცხადებია პონკინს ლიტვინენკოსათვის. მათ ასევე უთქვამთ, რომ ამის შესახებ ინფორმირებულია ფედერალური უშიშროების ამჟამინდელი მაღალჩინოსანი, გენერალ-მაიორი იური კალუგინი და ასევე მაღალჩინოსანი ვადიმ მედვედევი. თურმე, ამ უკანასკნელს პრეზიდენტის საზღვარგარეთული ვოიაჟების დეტალებზეც მიუწვდება ხელი და ინფორმირებულია ამ ვიზიტების გრაფიკის შესახებ. პონკინს ლიტვინენკოსათვის შეუხსენებია, რომ მას უფლება აქვს, ასეთი თხოვნით მიმართოს ბერეზოვსკის, რადგან ის თავდასხმისაგან 1998 წელს სწორედ ლიტვინენკოს სახალხო განცხადებამ იხსნა. **"ბერეზოვსკის და ზაკაევს კი შემსრულებელთა პოვნა შეუძლიათ,"** - განუცხადებია ლიტვინენკოსათვის პონკინს.

ბერეზოვსკის რჩევით კი, ლიტვინენკომ რუსი სტუმრები სკოტლანდ-იარდში "ჩაუშვა." პონკინი და ალიოხინი სკოტლანდ-იარდმა იმავე დღეს დააპატიმრა, თუმცა როგორც ირკვევა, ისინი სამხილის არარსებობის გამო გაათავისუფლეს და თავიანთი სურვილის თანახმად, უკვე რუსეთში იმყოფებიან.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ლიტვინენკოს კომენტარი სთხოვა სააგენტო "ასოშეიტედ პრესმა." ფედერალური უშიშროების ყოფილი თანამშრომელი დარწმუნებულია, რომ შეთქმულება პუტინის წინააღმდეგ არ იგეგმებოდა. ასეთ შემთხვევაში კი, პონკინის და ალიოხინის ლონდონში ვიზიტის მიზანი მხოლოდ ერთი იყო: ბერეზოვსკის და ზაკაევის პროვოცირება და, ოპერაციის წარმატების შემთხვევაში, ორივე ძებნილის რუსეთში ექსტრადირება.

# შიმშილობა მილიონ დოლარად

ამერიკელმა ილუზიონისტმა დევიდ ბლეინმა 44-დღიანი შიმშილობა დაასრულა. თემზის თავზე ჩამოკიდებული გამჭვირვალე ყუთიდან იგი პირდაპირ ლონდონის საავადმყოფოში მოხვდა. ამ ხნის მანძილზე მას, წყლის გარდა, არაფერი მიუღია.

ექიმების თქმით, 44 დღე, პრაქტიკულად, მაქსიმალური ვადაა, რომლის განმავლობაშიც ადამიანმა შეიძლება მშიერმა გაძლოს. კიდევ რამდენიმე დღე და იგი მოკვდებოდა, – აცხადებენ ბრიტანელი ექიმები. ბოლო დღეებში მას კუნთები თითქმის დაელია, მათ შორის - გულის კუნთიც.

44 დღის განმავლობაში ბლეინს არც დაცინვა და არც მხარდაჭერა არ მოჰკლებია. ხალხის ერთი ნაწილი მას ოვაციებით ხვდებოდა. სხვები კი ყუთში მჯდარ ბლეინს კვერცხებსა და ჰამბურგერებს ესროდნენ.

ბლეინის მარხულობამ მესამე მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მთელი ცხოვრება შიმშილობს, პროტესტი გამოიწვია. მას ცინიზმში დასდეს ბრალი.

ყუთიდან ბლეინი გამხდარი, მაგრამ დაბრძენებული ჩამოვიდა: "მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანია, გქონდეს იუმორის გრძნობა და ყველაფერზე შეგეძლოს სიცილი, რადგან ამ ცხოვრებაში არაფერს არა აქვს აზრი".

თუმცა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ილუზიონისტს, ცხადია, უარი არ უთქვამს მილიონამდე დოლარზე, რომელიც მან ტელეკომპანიებისაგან, მისი მარხულობის ტელეტრანსლაციის უფლებისათვის მიიღო.

# ევროპული დესანტი ირანში

ევროპის სამი უდიდესი სახელმწიფოს - ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ თეირანში ჩავიდნენ. ისინი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას შეეცდებიან.

იმის შესახებ, რომ ირანი ატომური ბომბის დამზადებას ცდილობს, მითქმა-მოთქმა დიდი ხანია, გრძელდება, მაგრამ ირანში გამდიდრებული ურანის ნაკვალევის აღმოჩენამ საერთაშორისო საზოგადოება უკვე სერიოზულად შეაშფოთა. გამდიდრებული ურანი ატომური ბომბის მთავარი კომპონენტია.

გაერო ირანისაგან ითხოვს, ყველა წამოჭრილ კითხვას სასწრაფოდ გაეცეს პასუხი, და ირანის მთელი ბირთვული პროგრამა საერთაშორისო ზედამხედველობას დაექვემდებაროს.

ირანი ყველა ბრალდებას უარყოფს და საერთაშორისო მონიტორინგთან დაკავშირებით ორჭოფულ პოზიციას იკავებს.

ირანის წინააღმდეგ გამოდის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ამ ქვეყანას, სხვა მრავალ ცოდვასთან ერთად, ატომური ბომბის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებს.

ევროპელებმა მოდავე მხარეების შუაში ჩადგომა გადაწყვიტეს.

დიდი სამეული შეეცდება, ირანს ურანის გამდიდრებაზე ხელი აალებინოს და საერთაშორისო მონიტორინგზე დაითანხმოს. სამაგიეროდ, ისინი აღიარებენ, რომ თეირანს მშვიდობიანი ბირთვული პროგრამის განვითარების უფლება აქვს და ამ ქვეყანას გარკვეულ ტექნიკურ დახმარებასაც გაუწევენ.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად არის ეს ვიზიტი ვაშინგტონთან შეთანხმებული. ოფიციალურად, აშშ აცხადებს, რომ ირანთან საუბარს აზრი არა აქვს.

სტრო, დე ვილპენი და ფიშერი დღეს პრეზიდენტ ხათამის, საგარეო საქმეთა მინისტრ ხარაზისა და უშიშროების საბჭოს მდივან რუჰანის შეხვდებიან.



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# კაცი ჩარჩოში

[illegible]

კი მაგრამ, მეტსახელი იმიტომ არ მოუგონეს, მაგარი ყნოსვა აქვსო?!

არა, დადგა დრო, ამ კაცზე სერიოზულად უნდა დავილაპარაკო.

არაადეკვატურიაო, ამბობს ოპოზიცია. ესე იგი, მოვლენებზე ნორმალური, შესატყვისი რეაქცია არა აქვსო.

სწორედაც რომ პირიქით. ეს კაცი ყოველ დროში და ყოველთვის აბსოლუტურად ზუსტად, რომ იტყვიან, ინსტრუქციის მიხედვითო, ისე ფიქრობდა და მოქმედებდა კიდეც. ზღაპარი მის ორიგინალურ სვლებზე მხოლოდ ზღაპარია და მეტი არაფერი. დასმენების ქვეყანაში დასმენით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება; ბრეჟნევის ეგრეთ წოდებულ ტყუილის ეპოქაში ყველაზე მეტსა და ყველაზე ფანტასტიკურ ტყუილებს თხზავდა ასიათასობით ტონა ჩაისა და ყურძნის შესახებ. იქვე შეითვისა მიწერებისა და გაყალბების – მათ შორის, არჩევნების – ხელოვნება; გორბაჩოვის რეფორმებისეულ ეპოქაში პირველ რეფორმატორად იქცა; ოცდაჩვიდმეტს რომ მოსწრებოდა, დარწმუნებული იყავით, ბერიაზე ნაკლებ სახელს არ დაიგდებდა.

სწორედ რომ ადეკვატური. ამგვარ ადეკვატურ აზროვნებასა და მოქმედებას კი სხვაგვარად შაბლონურსაც უწოდებენ. ეს არის საკმაოდ გავრცელებული ტიპი, რომელსაც დამოუკიდებლად სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი არ გააჩნია. ეს არის უნიჭო ადამიანის ტიპი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში, თუ, რა თქმა უნდა, მაგალითი არ უდევს ცხვირწინ, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს და ნიჩბებდამტვრეული ნავივით მიჰყვება დინებას.

ახლა კი, ალბათ, დროა, ჩვენს მიერ მიტოვებულ წყვილს – შიმპანზესა და პროფესორს დავუბრუნდეთ. არა, ნუ აჩქარდებით, არავითარი პარალელები და ასოციაციები მაიმუნებთან. ამ შემთხვევაში ზევით ნახსენები ტიპი ანუ პრეზიდენტი, პროფესორის ზუსტი ასლია, რაც, ჩემი მხრიდან, ცხადია, სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა აღიქვან, თუმცაღა, ეს სასიამოვნო მომენტი საბოლოოდ არც ისე სასიამოვნოა, რადგან, მაიმუნისგან განსხვავებით, სწორედ პროფესორი აზროვნებდა შაბლონურად.

ამას კიდევ უფრო სხვანაირად აზროვნების ინერციასაც დავარქმევდი, თუ, რა თქმა უნდა, უკვე არ ჰქვია – მე ხომ ჩვეულებრივი მოყვარული ვარ ამ საქმეში.

გახსოვთ, როგორ გაიკვირვა ყველამ, ეს რა თქვა, საბჭოთა კავშირის მინისტრობა საქართველოს პრეზიდენტობაზე მაღლა როგორ დააყენაო. სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც ადეკვატური იყო პრეზიდენტი. აბა, რას ელოდით? ბავშვობიდან მაგ კაცის მისაბაძი ადამიანი რუსი იყო, ყველაზე დიდ ომში გამარჯვებული რუსი იყო, მოსკოვი იყო მისი ქვეყნის დედაქალაქი და უფროსებიც მოსკოვში ჰყავდა. არაფერი არაადეკვატური და, მით უფრო, მოღალატე ეგ არ არის, უბრალოდ, მაგ შესაძლებლობების პატრონს მაგ შაბლონიდან გამოძრომა არ შეუძლია, ვერ წარმოუდგენია, რომ სხვამ კი არა, დროდადრო შიმპანზემაც შეიძლება აჯობოს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, რომ ამ, მაგისი ფიქრით, პატარა ქვეყანამ ურუსეთოდაც შეიძლება გაძლოს.

მე დასავლეთისა არ მიკვირს.

კუდი კი აქვთ ყავარზე გადებული, მაგრამ ხანდახან ისეთ წრეში და ისეთ დონეზე გამოერევათ ხოლმე კომუნისტი, პირი ღია დაგრჩება.

მე ქართველების ყოვლად გაუმართლებელი მოთმინება და პასიურობა მაკვირვებს.

ხომ ნათელია, რომ ეს კაცი და მის გარშემო შეგროვებული ტურების ხროვა საბოლოოდ დაღუპავს ამ ქვეყანას.

ხომ ნათელია, რომ ამ და სხვა ათასი მიზეზის გამო დროა, დასრულდეს ყველაფერი.

დროა, დასრულდეს მმართველობა იმ კაცისა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არც არავინ სთხოვს და ვერც იზამს იმას, რომ ტყვიების წვიმაში დროშით ხელში გავარდეს არკოლეს ხიდზე, მაგრამ დროდადრო ხომ მაინც შეეძლო, “არა” ეთქვა თავისი აგრესიული მეზობლისთვის.

ვერ ეტყოდა.

იმიტომ, რომ კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ყველაზე ძალიან ერთადერთი რამის – რუსული ენის სწავლა უნდოდა და ისიც ვერ ისწავლა, ამას ვერ შეძლებს.

ვერ ეტყოდა.

იმიტომ, რომ ფიზიოლოგიური შიში და რიდი აქვს რუსეთის სახელმწიფოსი და, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ შიშის გამო რუსიც ეჯავრება.

პირიქით კი უნდა იყოს. აქ ბევრ სხვა რამესაც ვგულისხმობ და თუ ვინმე გონიერმა რაიმე გონივრული არ ურჩია, ცხადზე უცხადესია, რომ, უკეთეს შემთხვევაში, სევდიანად დასრულდება ყველაფერი.

უარეს შემთხვევაში კი... არც მინდა ვიფიქრო.

ახლა ხელისუფლება ცაიტნოტშია და ათასი სისულელე შეიძლება ჩაიდინოს. ძალიან მინდა, იქნებ ბოლო წუთებში მაინც მიხვდნენ – საჭესთან მაგათი ადგილი აღარ არის, რადგან, ადრე იქნება თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდება გამწარებული ხალხით შეგულიანებული კაცი, რომელიც ზეაღმართავს ხელს და დაიძახებს:

- მომეცით ნაჯახი!

# საგანგებო შეკრება ერთი საგანგებო საკითხისთვის

გუშინ თბილისის საკრებულომ საგანგებო სხდომა ჩაატარა.

ამ ცხელ სეზონში, პარლამენტმა ვერ მოახერხა სხდომის ჩატარება, ჩვენ კი მოვახერხეთო, - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. გუშინდელივით სრული წარმომადგენლობით საკრებულო კარგა ხანია არ შეკრებილა, ალბათ, ამიტომაც უწოდეს “საგანგებო”. სხდომაზე ერთი საკითხი განიხილეს - ქალაქ თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგების, ტექნიკური მუშაკებისა და მუსიკალური სკოლების მასწავლებლებისთვის ბუნებრივი აირის უფასოდ მიწოდების პროგრამის მეორე ეტაპის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებთან ერთად 50 ლარის ეკვივალენტ ვაუჩერს მიიღებენ პირველი ჯგუფის ინვალიდებიც. რაც შეეხება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების ვაუჩერით უზრუნველყოფის წინადადებას, რომელიც "დემოკრატმა" ოგბაიძემ შემოიტანა, კობა ბექაურმა აღნიშნა, რომ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან, თბილისის საკრებულო კი ქალაქის ბიუჯეტზე მყოფებს აფინანსებს.



კიდევ ერთი სხდომა - ამჯერად საგანგებო.

ვინაიდან, ყველა უბანი გაზიფიცირებული არ არის, დაისვა საკითხი, რომ შესაძლებელია თუ არა, რომ ვაუჩერის ღირებულებამ ელენერგიის გადასახადი დაფაროს. შეუძლებელიაო, უპასუხა ბექაურმა, რადგან საკრებულო მხოლოდ “თბილგაზს” აძლევს სუბსიდიას. იმ პედაგოგებს, რომლებიც არაგაზიფიცირებულ უბნებში ცხოვრობენ, ვაუჩერები ჩაეთვლებათ მომავალი გაზიფიცირების თანხის ნაწილად, ღირებულების ეკვივალენტით. ვაუჩერის გაყალბება, ან უკანონოდ სარგებლობა გამორიცხულია, რადგან ორი სახელობითი ეგზემპლარიდან ერთი დაწესებულების ხელმძღვანელთან რჩება და მეორე - თბილგაზში. ვაუჩერი უვადოა, ანუ, მანამ, ვიდრე არ დაფარავს 180 კუბური მეტრი გაზის ღირებულებას.

*24საათი*

# ხუთი წლის იუბილარის წარმატებები

ირინე სანებლიძე

*როგორც ცნობილია, ზოგიერთი ფასიანი სასწავლებლის კურსდამთავრებულები უფრო ადვილად საქმდებიან, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო სასწავლებლების მიერ გამოშვებული სპეციალისტები. ფასიანი სასწავლებლების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით, პირიქით, მათი რაოდენობა, თითქმის, ყოველწლიურად იზრდება და ხარისხიც, თითქოს, თანდათან უმჯობესდება. ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო "კავკასიის ბიზნეს სკოლამ", რომელმაც წელს 5 წლის იუბილე საინტერესო ღონისძიებებით აღნიშნა.*



"კავკასიის ბიზნეს სკოლამ" 5 წლის იუბილე საინტერესო ღონისძიებებით აღნიშნა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"კავკასიის ბიზნეს სკოლა" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) კონსორციუმის მიერ 5 წლის წინათ შეიქმნა. მცირე სტაჟის მიუხედავად, სკოლა დსთ-ს ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სასწავლებლად არის აღიარებული. ის, ასევე, ლიდერობს მსგავსი ტიპის სხვა საერთაშორისო ბიზნეს სკოლებს შორის.

"კავკასიის ბიზნეს სკოლაში" ერთი პროფილის სპეციალობები ბაკალავრისა და მაგისტრის პროგრამებით ისწავლება: მენეჯმენტი, მარკეტინგი, საერთაშორისო ბიზნესი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბიზნესის, ტურიზმისა და ჯანდაცვის ადმინისტრირება. ამ სპეციალობათა არჩევითობა სკოლაში თავისუფალია. სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება იმით, თუ რომელ და რამდენ სპეციალობას ირჩევს სტუდენტი. ისე კი, როგორც გავიგეთ, "კავკასიის ბიზნეს სკოლაში" სწავლების საკმაოდ მკაცრი და დატვირთული რეჟიმია, ამიტომ ბევრი ვერ უძლებს და იქაურობას ეცლება. "ჩვენი მოთხოვნები ძალიან მაღალია და მათი შესრულება ზოგიერთისთვის რთულია," - გულახდილად გვითხრა სასწავლებლის დეკანის მოადგილემ გიორგი სიმონგულაშვილმა.

21-მა სტუდენტმა, როგორც ჩანს, თავი გაართვა მკაცრ მოთხოვნებს და სწავლა წარმატებით დაასრულა. ფინანსების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალისტების, 16 ბაკალავრისა და ხუთი მაგისტრის დიპლომებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი სკოლის ხელმძღვანელობამ სასწავლებლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს სპეციალურად დაამთხვია.

საზეიმო ღონისძიებათა პროგრამა, მართლაც, შთამბეჭდავი იყო: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და ე.წ. მაღლივ კორპუსებში ჩატარდა ღია გაკვეთილები. დასწრება თავისუფალი იყო. ღია გაკვეთილებზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემა, რასაც "კავკასიის ბიზნეს სკოლის" პროფესორ-მასწავლებლები მხოლოდ ამ სკოლაში კითხულობენ. **"ღია გაკვეთილები გათვალისწინებული იყო ფართო საზოგადოებისთვის, რათა გვეჩვენებინა, სწავლების რა ხარისხია ჩვენთან - რა და როგორ ისწავლება,"** - გვითხრა გიორგი სიმონგულაშვილმა. საიუბილეო ღონისძიებების დროს დაფუძნდა სამხრეთ კავკასიის განათლებისა და დასაქმების ასოციაცია, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმებას და დამსაქმებელ კომპანიებს შორის კონტაქტებს უფრო კარგად წარმართავს.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი კურსდამთავრებულები უკვე დასაქმებულები არიან, თანაც, უმეტესობა - პრესტიჟულ და მაღალანაზღაურებად სამსახურებში. სულ უფრო დიდი წარმატება და პროფესიული მიღწევები უსურვეს მათ დიპლომების გადაცემის საზეიმო ღონისძიებაზე სპეციალურად ამ დღისთვის მიწვეულმა სტუმრებმა. მასპინძელმა რონ მეტრეველმა, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბიჯან ფაზლოლაჰმა, საქართველოში აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ მაილსმა, "კავკასიის ბიზნეს სკოლის" ხელმძღვანელობამ, როგორც მსგავს სიტუაციებში ხდება ხოლმე, ბევრი ისაუბრეს კონკრეტულად "კავკასიის ბიზნეს სკოლაზე", ზოგადად - განათლების მნიშვნელობაზე, ინტელექტუალურ ინვესტიციებზე და ა.შ.

ბუნებრივია, საიუბილეო პროგრამას თან ახლდა უფრო მსუბუქი დატვირთვის გასართობი ღონისძიებებიც - ახალგაზრდების მოსალხენად "აჭარა მიუზიქ ჰოლში" დისკოთეკა მოეწყო, შემდეგ კი "მარიოტში" სოლიდური მიღება გაიმართა, რითაც "კავკასიის ბიზნეს სკოლის" საიუბილეო ღონისძიებები დასრულდა.

# თავისუფლება ბაქოელ ჟურნალისტებს!

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბაქოში განვითარებული მოვლენების შედეგად ოპოზიციასთან ერთად დაზარალდა 73 აზერბაიჯანელი ჟურნალისტიც. დღემდე ციხეში ზის ხუთი მათგანი, რომელთა ბედი, ჯერჯერობით, სრულიად გაურკვეველია.*

შარშან დსთ-ს ჟურნალისტთა სემინარზე აზერბაიჯანის ერთ-ერთი ოპოზიციური გამოცემის "ზერკალო"-ს კორესპონდენტმა რაუფ მირკადიროვმა განაცხადა, - ჩვენთან სიტყვის თავისუფლება იმით გამოიხატება, რომ ალიევი ერთი წელია, აღარ გვცემსო.

მას შემდეგ სემინარზე დამკვიდრდა საყოველთაო ლოზუნგი – "აზერბაიჯანი დემოკრატიის ბურჯია!" ეს იყო ჰეიდარ ალიევის დროს, მაგრამ, როგორც აზერბაიჯანის არჩევნებმა გვანახეს, ამ მიმართულებით მამას არც ახალი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჩამოუვარდება.

ბაქოში დაზარალებული 73 აზერბაიჯანელი ჟურნალისტიდან ცხვირ-პირი და ტექნიკა ყველას დაუმტვრიეს, ბევრი დააკავეს და გამოუშვეს კიდეც, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს დღემდე ციხეში ამყოფებდნენ, ცივილიზებული სამყაროსთვის ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა.

ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო, გუშინ აზერბაიჯანის საელჩოსთან შეიკრიბნენ ქართული დამოუკიდებელი მასმედიის წარმომადგენლები და უკანონობის ყველა ფორმასთან მებრძოლი "კმარა". ქართველმა ჟურნალისტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს დაპატიმრებულ აზერბაიჯანელ კოლეგებს – მუხტარ ნაბიევს (კრიმინალური ჟურნალი), კენან რახიმოვს ( გაზეთი "ბაქო ქაბერი"), ხაიალ ბაბაევს ( გაზეთი "აზადლაიქი"), ჰაფიზ ასლანოვს (გაზეთი "აზადლაიქი"), მაჰირ მამედლის ( გაზეთი "იენი მუსავათი") – მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს.



"კმარას" დროშები აზერბაიჯანის საელჩოსთან.

**"ჩვენი საპროტესტო აქცია გამოწვეულია ბაქოელი ჟურნალისტების დაპატიმრებით და გვინდა, რომ დიპლომატიური არხებით ამის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ოფიციალურმა ბაქომაც. აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს აქცია თავდაცვასაც ემსახურება, რათა საქართველოს ხელისუფლებამ ბაქოს გამოცდილების კოპირება არ მოახდინოს,"** – განაცხადა "60 წუთის" ავტორმა აკაკი გოგიჩაიშვილმა.

საელჩოს წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს შეჰპირდნენ, რომ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მიაწვდიან ბაქოს.

# მერიის ბუღალტერიაში ვიღაც უწესოდ იქცევა

*ქალაქის მთავრობის თანამდებობებიდან, თითქმის, დათხოვნის შემდეგ თბილისის მერს არც საკრებულო დავიწყებია და მის წევრებს მერიის ბუღალტერიაში ჩადენილი ცოდვები გაუხსენა.*

ნანა ქადაგიშვილი

მერია და საკრებულო ერთმანეთთან დასაპირისპირებლად შანსს ხელიდან არ უშვებენ, მით უმეტეს, თუ ეს შანსი ფულთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არ დატოვა უყურადღებოდ ვანო ზოდელავამ მერიის ბუღალტერიიდან მიღებული ინფორმაცია.

**“მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ხელმძღვანელობა უარს აცხადებს კუთვნილ ჯამაგირზე, ყოველი თვის ხელფასის აღების წინ საკრებულოს თანამშრომლები მერიის ბუღალტერიაში ხელფასების ურიგოდ გაცემას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო გამოსვლებითა და პრესკონფერენციებით იმუქრებიან. წარმოუდგენელია, ხელფასები საკრებულომ აიღოს, მერიის თანამშრომლებმა კი – ვერა,”** – განაცხადა გუშინ გამართულ ტრადიციულ თათბირზე ქალაქის მერმა. ამ ინფორმაციას მერიის თანამშრომლებიც ადასტურებენ. **“საკრებულოს წარმომადგენლები ყოველთვის პირველნი იღებენ ხელფასს; მუდმივად პრეტენზიები აქვთ,”** – გვითხრეს მერიის პრესცენტრში.

საკრებულოს წევრები კი მერის განცხადებას კატეგორიულად უარყოფენ და ყველაფერს შეცდომაში შემყვან ინფორმატორს აბრალებენ. **“გამორიცხულია, რომ მე და მიშა სააკაშვილმა მერიას ასეთი პრეტენზიები წავუყენოთ. ჩვენი ხელფასის ნახევარი ისედაც, ავტომატურად, დაცული მუხლების დასაფინანსებლად ირიცხება. თუკი საჭირო იქნება, საერთოდაც არ ავიღებთ ხელფასებს. ზოდელავა ვიღაცამ შეიყვანა შეცდომაში,”** – განგვიცხადა ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობის” წევრმა კობა ბექაურმა, რომელსაც ხელფასი 147 ლარი ჰქონია. თუკი ამის ნახევარს ბიუჯეტშივე ტოვებს, 73 ლარისთვის მერიის ბუღალტერიაში უწესოდ მოქცევა ნამდვილად არ უნდა უღირდეს.

ზოდელავას გუშინდელმა განცხადებამ “ლეიბორისტებიც” აღაშფოთა და საქმის გასარჩევად ზოდელავას მიხეილ სააკაშვილის მისამართი მიასწავლეს. **“ჩვენ მერიას საპროტესტო გამოსვლებითა და პრესკონფერენციებით არასოდეს დავმუქრებივართ. ჩვენი ფრაქციიდან ხელფასი ურიგოდ არასოდეს არავის მოუთხოვია. მერმა უნდა დააკონკრეტოს, ასეთ განცხადებებს ვისი მისამართით აკეთებს. ეს საკითხი საკრებულოს თავმჯდომარემ და ზოდელავამ გაარკვიონ ერთმანეთში - გვერდიგვერდ სხედან და არ გაუჭირდებათ,”** – გვითხრა ფრაქცია “ლეიბორისტების” ლიდერმა გიორგი გუგავამ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქართველებს რწმენის გაღრმავებისაკენ მოუწოდებს: “მორწმუნე ადამიანი სრულიად განსხვავდება ურწმუნოსაგან. ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი არის ის, ვინც გრძნობს ღვთის სიყვარულს და თვითონაც სავსეა ამ სიყვარულით. ბედნიერია ის, ვინც დაჯილდოებულია ამ ღვთაებრივი თვისებით”. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დღეს ტერენტი გრანელის ქუჩაზე მშენებარე წმინდანებად შერაცხული მეფეების - არჩილისა და ლუარსაბის სახელობის ეკლესიის საფუძველს აკურთხებს. ორნავიანი ეკლესია ბაზილიკურ სტილში აიგება ქართული აგურით. მის მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისობის დღესასწაულისათვის რუსთაველისა და კოსტავას ქუჩების საავტომობილო გზის სავალი ნაწილი დაიხაზება; დამონტაჟდება საგზაო ნიშნები; ცენტრალურ გამზირებზე: რუსთაველზე, ჭავჭავაძეზე, აღმაშენებელზე გადაიბელება ხეები, ხოლო ვარკეთილისა და მთაწმინდის მიმართულებით დაწყებული გზის მშენებლობები უახლოეს დღეებში დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისობის დღესასწაულისათვის სანიტარული ზედამხედველობისა და ვეტერინარიის სამსახურები საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ. ბაზრობებზე გატანილი პროდუქტის ვარგისიანობის შემოწმებაზე მათი ექიმი-სპეციალისტები იზრუნებენ, ხოლო ქუჩებში სისუფთავის დასაცავად მორიგე ბრიგადა იმუშავებს. მოხდება რეგიონებიდან ჩამოტანილი პროდუქტის ხარისხის შემოწმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტის (GIPA) ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები, ბრიტანეთის საელჩოს ხელშეწყობით, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით სემინარებს გაივლიან. 20-24 ოქტომბერს ბრიტანელი პედაგოგი-კონსულტანტები - თომ გროუთ-სმიტი და ლილია პრობერჟსკაია მათ სპეციალურ მეცადინეობებს ჩაუტარებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით აღდგენილი ცირკი სეზონს 24 ოქტომბერს გახსნის. ცირკი სეზონს მსოფლიოში ცნობილი რუსეთისა და უკრაინის საცირკო დასების წარმოდგენით დაიწყებს. დასები დედაქალაქში ერთ თვეს დარჩებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბრის პენსიების გაცემა, ჯერჯერობით, მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, სექტემბრის თვეში სოციალური და სადაზღვევო პენსიები დაფინანსებულია მხოლოდ 1,29 მილიონი ლარით, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები პენსიონერებისთვისაა განკუთვნილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერიის შენობაში გუშინ შეკრებილი აღშფოთებული პენსიონერები ქალაქის მერისაგან დანაპირების შესრულებას ითხოვდნენ. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი რუსთაველ პენსიონერებს 10 ოქტომბრიდან ორი თვის საპენსიო დავალიანების გასტუმრებას ჰპირდებოდა „სახალხო ბანკის“ მიერ გამოყოფილი კრედიტით. საჭირო თანხა კი საბანკო ანგარიშზე ჯერ არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები წელს 9 თვეში 42,19 მილიონი ლარითაა დაფინანსებული. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, ეს 9 თვის გეგმის მხოლოდ 76,9 პროცენტია. ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისთვის უკვე დაგროვილი დავალიანების დასაფარად წელს 12,6 მილიონი ლარია საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის შენობის წინ გუშინ აქცია გამართეს ქვემო ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრებმა უსინათლოებმა (480 ოჯახი). ისინი დედაქალაქის მთავრობისგან ქვემო ფონიჭალაში ბუნებრივი აირის გაყვანილობის დამონტაჟების დაწყებას ითხოვდნენ. ოთხსაათიანი აქციის შემდეგ შეკრებილებს გაზგაყვანილობის დამონტაჟების სამუშაოების ორსამ დღეში დაწყებას დაჰპირდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის მიმდინარე წლის 23 სექტემბრის დადგენილებით, უკვე გამოვლინდნენ კონკურსის - „იაკობ გოგებაშვილის სახელობის საუკეთესო კლას-კაბინეტი,“ გამარჯვებულები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლებით დაჯილდოვდნენ. საიუბილეო მედლები 19 პედაგოგს გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პედაგოგთა დახელოვნებისა და მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტი არასამთავრობო ორგანიზაციასთან, „ბუნების შენარჩუნების ცენტრი – ბუდე,“ თანამშრომლობის საფუძველზე და ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, აცხადებს სასკოლო კონკურსს თემაზე - „ჩემი პირველი წიგნი ბუნებაზე“. კონკურსი მხოლოდ თბილისის მასშტაბით გაიმართება. **მედია-ნიუსი**

*მოკლედ*

## საერთაშორისო-სამოქალაქო პოლიციელები სოხუმში დაიდებენ ბინას

ოქტომბრის ბოლოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ჩავა საერთაშორისო- სამოქალაქო პოლიციელების პირველი ჯგუფი და დაპირისპირებულ მხარეთა სამართალდამცველ ორგანოებს დახმარებას გაუწევს. ამის შესახებ განაცხადა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ.

"სულ კონფლიქტის ზონაში 20 სამოქალაქო პოლიციელი იქნება, ამასთან მათი შერჩევისას გათვალისწინებულია "გეოგრაფიული ბალანსი", - თქვა მან.

სამოქალაქო პოლიციელთა შტაბი სოხუმში განთავსდება.

საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ინიციატივით ბალკანეთში ჩატარებული ქართულ და აფხაზურ დელეგაციათა შეხვედრის შედეგების კომენტირებისას დიპლომატმა აღნიშნა, ამ რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის ბევრი რამ საერთოა.

"ეს განსაკუთრებით ეხება ომის შემდგომ სიტუაციას და ისეთი საკითხებისადმი მიდგომებს, როგორიცაა დევნილებისა და უსაფრთხოების პრობლემები",- თქვა ჰაიდი ტალიავინიმ.

მისი თქმით, განსაკუთრებით სასარგებლო იყო მხარეთა დელეგაციების მიერ ბოსნია - ჰერცოგოვინასა და კოსოვოში პოლიციის მუშაობის გაცნობა.

დიპლომატმა ასევე აღნიშნა კოსოვოს პოლიციის აკადემიაში ვიზიტი. "ეს იყო საერთაშორისო პოლიციური სტანდარტების სწავლების მაგალითი, რაშიც ორივე მხარი დაინტერესებულია", - აღნიშნა მან.

მისივე თქმით, საერთაშორისო-სამოქალაქო პოლიციელებისათვის მანდატის გაგრძელების საკითხი გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ყოველ ექვს თვეში ერთხელ განიხილება.

როგორც ცნობილია, ბალკანეთში ვიზიტისას ქართულ დელეგაციას განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე ხელმძღვანელობდა, აფხაზურს - თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

*პრაიმ-ნიუსი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და რუსთავის №2-ე კოლონიის თანამშრომლებმა ამავე კოლონიიდან 10 სექტემბერს გაქცეული ალექსი დიმიტრიშვილი დააკავეს. 30 წლის დიმიტრიშვილი ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და ექვსი წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. გაქცეული მისივე საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. დიმიტრიშვილი მე-80 პატიმარია, რომლის დაკავება 129 გაქცეულიდან დღემდე მოხერხდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 47 წლის ქეთევან ირემაშვილი პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. მას აღმოაჩნდა 0.04 გრამი ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება, 3 აბი სუბუტექსი და 400 აშშ დოლარი, რომელიც ნარკოტიკების რეალიზაციით ჰქონდა მიღებული.

ამავე ბრალდებით არის დაკავებული 44 წლის გალინა გევორქიანი, რომელსაც ჩამოართვეს ნარკოტიკული ნივთიერების დიდი ოდენობა, 0.56 გრამი ბუპრენორფინი და შვიდი აბი სუბუტექსი. ამ ფაქტებზე აღძრულ საქმეებს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით სახანძრო შეტყობინების 37 შემთხვევა აღირიცხა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, დაიწვა თორმეტი საცხოვრებელი სახლი, ორი ავტოტრანსპორტი. ამასთანავე გასულ კვირას სულ ექვსი ფიქტიური გამოძახება დაფიქსირდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 42 დანაშაული, გახსნილია — 41. მკვლელობის, ყაჩაღობისა და ძარცვის თითო შემთხვევა. ასევე გაიხსნა ჯანმრთელობის დაზიანების ოთხი შემთხვევა; ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; ქურდობის ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა სამი; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი 17-ივე დანაშაული გაიხსნა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა 30 შემთხვევა; ამოღებულია ხუთი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია რვა ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ორი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებმა, 62 წლის სერგო ოსიაშვილმა, ურთიერთშელაპარაკებისას რეგისტრირებული თოფით ფეხსა და გულმკერდში დაჭრა ძმისშვილი, იქვე მცხოვრები გენადი ოსიაშვილი. ამ უკანასკნელმა იმავე თოფიდან გასროლით გულმკერდში დაჭრა სერგო ოსიაშვილი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. გენადი ოსიაშვილი მოთავსებულია საავადმყოფოში. თოფი ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტოლიატში დააკავეს ქურდობისათვის ჭიათურის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 42 წლის გურამ ციცვიძე. მზადდება მასალები ციცვიძის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული რეზო წიკლაურის ბინიდან პოლიციელებმა 0.23 გრამი ჰეროინი და 0.13 გრამი მეტადონი ამოიღეს. დაკავებულის ბინიდან, ნარკოტიკული ნივთიერების გარდა, ამოღებულია ფოლგის ნაჭრები და სამედიცინო სასწორი, რომლის გამოყენებითაც ხდება ნარკოტიკული ნივთიერების დაფასოება. წიკლაურს ბრალდების დადასტურების შემთხვევაში 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უბედური შემთხვევა მოხდა თემქის დასახლების მე-2 მიკრორაიონში. 27 წლის ირმა ბექაური მე-7 სართულზე მდებარე საკუთარი ბინის აივნიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა. ამ ფაქტზე მოკვლევას პროკურატურა ატარებს. **მედია-ნიუსი**

# პანკისის ხეობაში ყოფილი მეჩეთი დაარბიეს

პირველი გვერდიდან

უშიშროების სამინისტრო მომხდართან დაკავშირებით აცხადებს, რომ სოფელ დუისში მდებარე მეჩეთის ყოფილ შენობაში ოპერატიული ინფორმაციის შესამოწმებლად ჩხრეკა ჩაატარა, მაგრამ იგი არ დაურბევია.

**"პანკისის ხეობაში მდებარე ყოფილი მეჩეთის შენობაში უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები ოპერატიული ინფორმაციის შემოწმების მიზნით შევიდნენ. ჩატარებული შემოწმებისას სარწმუნოების შემლახავ რაიმე ქმედებას ადგილი არ ჰქონია, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები საერთოდ არ შეხებიან და, შესაბამისად, არც შეურაცხყოფა მიუყენებიათ რელიგიური ატრიბუტიკისთვის,"** — განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორმა ნიკა ლალიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ყოფილი მეჩეთის შენობაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ის საჭირო მტკიცებულებები, რომლებიც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ეგულებოდათ შენობაში. თუმცა, უშიშროების სამინისტრო არ აკონკრეტებს, რა ნივთები ამოიღეს ყოფილი მეჩეთის შენობიდან და ვის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული მოპოვებული მტკიცებულებები.

*24 საათი*



*პანკისის ხეობაში შესაძლოა სიტუაცია კვლავ დაიძაბოს.*

# ზუგდიდში მესტიის პოლიციის ყოფილი უფროსი მოკლეს

ხათუნა ჭანბირაშვილი

ზუგდიდში გრძელდება მკვლელობა-ყაჩაღობის სერიალი. ამჯერად, თავდამსხმელთა მსხვერპლი მესტიის პოლიციის ყოფილი უფროსი გია თორდია აღმოჩნდა.

სამძებროს ყოფილი თანამშრომელი, მოგვიანებით მესტიის პოლიციის უფროსი, რომელმაც ამ თანამდებობის დატოვების შემდეგ საქართველო დატოვა და მოსკოვში ცხოვრობდა, ჩვენი ინფორმაციით, საკუთარ სოფელში, ბაშში, რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და საცხოვრებელი სახლის გარემონტება დაიწყო.

გუშინწინ, საღამოს ათ საათზე, იმ დროს, როდესაც გია თორდია საკუთარ სახლში ტახტზე იყო წამოწოლილი, მისი მეუღლე და მოხუცი დედა კი ბუხარს უსხდნენ, ყაჩაღებმა თორდიების საცხოვრებელი სახლის კარის შემტვრევა სცადეს. თავდამსხმელებმა კარი ვერ შეამტვრიეს და ხმაურზე წამომხტარ გია თორდიას რამდენიმე წუთში ცეცხლი ფანჯრებიდან გაუხსნეს. სახის არეში მიყენებული - სამი, გულმკერდის არეში - ორი და ფეხის არეში მიყენებული ერთი ჭრილობის შედეგად გია თორდია ადგილზევე გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა სახლი დაცხრილეს და გაიქცნენ. საბედნიეროდ, ოჯახში მყოფი ქალბატონები ტყვიებს გადაურჩნენ.

მკვლელობა ყაჩაღობის მიზნით — ასე დაკვალიფიცირდა მომხდარი. ყაჩაღობის ვერსიის საფუძველს, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ის აძლევთ, რომ მესტიის პოლიციის ყოფილი უფროსი მოსკოვიდან ახალი ჩამოსული იყო და, შესაძლოა, ვინმეს ეჭვი ჰქონდა, რომ ის საკუთარ სახლში დიდძალი ფულით დაბრუნდა.

თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავდამსხმელებს თორდიების სახლიდან არაფერი წაუღიათ. მკვლელობის შემდეგ მათ სახლში შესვლა არც კი უცდიათ, ისე დატოვეს იქაურობა.

არაოფიციალურ საუბრებში სამართალდამცველები ყოფილი პოლიციის უფროსის მკვლელობის სხვა მოტივს გაკვრით ახსენებდნენ. შურისძიება-ანგარიშსწორება – შესაძლოა, სწორედ ეს გახლავთ პოლიციის ყოფილი უფროსის სასტიკი მკვლელობის მიზეზი.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები თავდამსხმელთა რიცხვს ვერ ასახელებენ. მართალია, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც აქტიურად ისროდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, გარდაცვლილის მეუღლემ ფანჯარაში დაინახა, მაგრამ მის ზუსტ აღწერილობას მაინც ვერ იძლევა. სამართალდამცველები სხვადასხვა იარაღიდან გასროლილი ტყვიების რაოდენობის მიხედვით ვარაუდობენ, რომ თავდამსხმელი მინიმუმ ოთხი უნდა ყოფილიყო.

**"სამწუხაროდ, ეჭვმიტანილთა სავარაუდო ვინაობის შესახებ ჯერ არანაირი მონაცემები არ გვაქვს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ თავდასხმისას სოფელი ბაში მთლიანად ჩაბნელებული იყო და ვერც დაზარალებულებმა და ვერც მეზობლებმა ვერ დაინახეს მკვლელები. თუმცა, გაგვაჩნია სხვა ხელმოსაჭიდი მტკიცებულებები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას ჯერ ვერ გავცემთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს საქმე სწრაფად გაიხსნას",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ.

# იმერელი კრიმინალები ჯეიმს ბეიკერის რეკომენდაციებს ასრულებენ

*ბოლო ორი წლის განმავლობაში, კრიმინალური მდგომარეობის მხრივ, იმერეთის რეგიონი საქართველოში ერთ-ერთი ცხელი წერტილი გახდა. ადამიანთა გახშირებული გატაცებების გამო, მას ხშირად პანკისის ხეობასაც ადარებდნენ და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც იმერეთში ადამიანის გატაცების 20-მდე ფაქტია დაფიქსირებული.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

თუმცა, წინასაარჩევნოდ იმერეთში დამნაშავეთა სამყარომ გასაოცარი სიწყნარე გამოავლინა. ზესტაფონის გამგებლის გატაცების შემდეგ მხარეში სერიოზული დანაშაული, ფაქტობრივად, არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცველებს კრიმინალური ფაქტები რეგისტრირებული არა აქვთ. ქუთაისში ამ "მოვლენის" გამო უკვე ხუმრობენ კიდეც. ენამოსწრებული ქუთაისელები ირწმუნებიან, რომ იმერელი კრიმინალები, თურმე, ამერიკელი ჯეიმს ბეიკერის წინასაარჩევნო რეკომენდაციებს ასრულებენ და საარჩევნო პერიოდში სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე იმით ზრუნავენ, რომ დანაშაულის ჩადენაზე, ჯერჯერობით, მორატორიუმი გამოაცხადეს.

იმერეთში რომ კრიმინალური თვალსაზრისით მართლაც სიწყნარეა, ამაზე სამართალდამცველების მიერ მომზადებული, გასული კვირის კრიმინალური ცნობარი მეტყველებს.

15 ოქტომბერს, ქუთაისელმა სამართალდამცველებმა ავტომშენებლის ქუჩაზე ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ მყოფი კახა კაცაძე დააკავეს. ეტყობა, კაცაძისთვის ეს პირველი შემთხვევა იყო და სასამართლოს მისთვის მხოლოდ 75-ლარიანი ჯარიმა დაუკისრებია. წვრილმანი ნარკომანიის ფაქტებს პოლიციის "კრებსებში", ტრადიციულად, მრავლად შეხვდებით, სამაგიეროდ, მსხვილ ნარკოსაქმეებს ვერსად ნახავთ. **"პოლიციელები "ბარიგებთან" შეკრულები არიან და მათ ხელს იმიტომ არ ჰკიდებენ. ხანდახან თვითონ "ბარიგა" აძლევს მათ "ნაკოლს," ვინ უნდა დაიჭირონ. მე რამდენჯერაც დამიჭირეს, არასდროს არ უკითხავთ - წამალი საიდან მქონდა. მათ ეს არც აინტერესებთ, ჩემგან ფულს აიღებენ და მორჩა. ზოგიერთი "ბარიგა" თვითონაა პოლიციელი, ასეთ ნარკოტიკს პოლიციის წამალს ვეძახით,"** - ასეთია ერთ-ერთი ნარკომანის მოსაზრება, რომლის დამტკიცება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. მაგრამ პოლიციის სტატისტიკა, რომელიც მხოლოდ ნარკოტიკების მომხმარებლების გამოვლენითაა სავსე, გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

გასულ კვირას იმერელმა სამართალდამცველებმა ეკონომიკური დანაშაულის ფაქტებიც გამოავლინეს. **"შსს-ს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მიერ დაკავებული იქნა ქუთაისში, ინდმეწარმე "თაბაგარის" სასურსათო მაღაზიის გამყიდველი ნარგიზა გივის ასული ზედაშიძე, რომელსაც 225 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტი და სასმელები აღმოაჩნდა,"** - პოლიციის კრიმინალურ ცნობარში ათეულობით ასეთ შეტყობინებას იპოვით. კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო, ძირითადად, უაქციზო სიგარეტების გამსაღებელ წვრილ მეწარმეებზე ნადირობს და, თუკი ბოროტ ხმებსაც დავუჯერებთ, ალაგ-ალაგ ხელსაც ითბობს. მსხვილი ეკონომიკური დანაშაულისა და კონტრაბანდის ფაქტების გამოვლენა კი, ფაქტობრივად, ნულზეა დასული. იმერელ სამართალდამცველებს კორუფციის შემთხვევებიც აქვთ გამოვლენილი, თუმცა გამოვლენილი ქრთამის რაოდენობა თითქმის არასდროს აღემატება 100 ან 200 დოლარს, მექრთამე ჩინოვნიკის რანგი სკოლის პედაგოგსა თუ რიგითი არქიტექტორისას არ სცილდება.

"კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ საბრძოლველად იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოში სპეციალური სამსახური მქუხარე სათაურით: "დამნაშავეთა ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება" შეიქმნა. გასულ კვირას აღნიშნულმა განყოფილებამ კრიმინალურ ავტორიტეტებს მედგრად "შეუტია". **"დამნაშავეთა ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და თერჯოლის პოლიციის მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა ქვედა სიმონეთში მცხოვრები გიორგი ბოჭორიშვილი, რომელმაც ღვინის ქარხნის შენობიდან მოიპარა 40 ცალი შიფერი..."** - ნათქვამია პოლიციის ცნობარში.

პოლიციის მიერ შედგენილ, გასული კვირის კრიმინალურ ცნობარში სხვა წვრილ-წვრილ კრიმინალურ ფაქტებსაც შეხვდებით, მაგალითად, იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევებს. **"წყალტუბოს რაიონის პოლიციაში გამოცხადდა სოფელ გეგუთში მცხოვრები მოქალაქე ჟანა თელია, რომელმაც განყოფილებას მსხვილკალიბრიანი ავტომატური ტყვიამფრქვევი ჩააბარა, ზესტაფონელმა ივანე ბაძგარაძემ კი - "რგდ"-ს სამი ხელყუმბარა და ავტომატის 22 ვაზნა."** ჭიათურაში სამართალდამცველებს 74 წლის ჟენია ბუცხრიკიძის საცხოვრებელი ბინის ქურდობის ფაქტიც გაუხსნიათ. საცხოვრებელი სახლიდან სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთებია წაღებული. აღნიშნულ დანაშაულში კი ვინმე ხათუნა ხიხაძეა მხილებული, რომელმაც, თურმე, ქურდობა ნებაყოფლობით აღიარა.

აი, ასეთი გახლდათ გასულ კვირას იმერეთში დაფიქსირებული დანაშაულებრივი ფაქტები. ანუ, გასული კვირა იმერეთში, კრიმინალური თვალსაზრისით, გამორჩეული პერიოდი იყო.

# გენერალური პროკურორი ენერგოსაქმეზე ალაპარაკდა

გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ პროკურატურის კომისიის პირველი შედეგები გამოაქვეყნა. კომისია, რომელიც გენპროკურატურაში პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა, საქართველოს ენერგეტიკაში არსებულ ვითარებას იკვლევს. უფრო ზუსტად, იმ კანონდარღვევებს, რომელთაც ენერგოსფეროში ჰქონდა ადგილი. გენერალური პროკურორის განცხადებით, ენერგეტიკის სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებზე 87 საქმეა აღძრული, აქედან 36 საქმე სასამართლოშია განსახილველად გადაგზავნილი, 35-ზე კი, ჯერჯერობით, კვლავ გამოძიება მიმდინარეობს. ეჭვმიტანილთა ძებნის მოტივით გამოძიება ხუთ საქმეზეა შეჩერებული.

ნუგზარ გაბრიჩიძის მტკიცებით, ენერგეტიკის სფეროში ჩადენილი დანაშაულისთვის პატიმრობა აქვს მისჯილი 27 პირს, მათ შორის დაპატიმრებულია „იმპერია ტრას-კაპიტალის“ დირექტორი მირიან ცხვარაძე, რომელიც 4 მილიონ 710 ათასი ლარის მითვისებაშია მხილებული, აგრეთვე 3 მილიონ 308 ათასი ლარის მითვისებისათვის „ორლანდო ჰოლდინგ კორპორაციის“ დირექტორი გელა ჭონიაშვილი და „ინტერბიზნესის“ დირექტორი გოჩა ბალახაძე - 540 ათასი ლარის მითვისების გამო.

გენერალური პროკურორის ინფორმაციით, შაორის ჰიდროელექტროსადგურის კუთვნილი 150 ათასი ლარის ოდენობის თანხის მითვისების ფაქტზე პასუხისგებაშია მიცემული მერაბ ბაზაძე და ნანული კიუტი.

გენერალური პროკურორის განცხადებით, ქვეყნის ენერგოობიექტების რეაბილიტაციისათვის გრანტებისა და კრედიტების სახით დღემდე გამოყოფილმა თანხამ 330 მლნ 336 ათასი დოლარი შეადგინა, ხოლო გრანტების სახით გამოყოფილი 26 მლნ 402 ათასი ეკიუდან ათვისებულია 10 მლნ 493 ათასი ეკიუ. გენერალური პროკურორი პირობას დებს, რომ ენერგოსაქმის გამოძიება გაგრძელდება და ის ლოგიკურ დასასრულამდე მივა - ქვეყნის "დამაბნელებლები" რკინის გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან.

სხვათა შორის, ენერგომაფიის საქმის გამოძიება, ტრადიციულად, გენერალური პროკურორებისთვის ყოველთვის იყო "ქულების ჩამწერი". ალბათ, ყველას კარგად ახსოვს ყოფილი გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის მიერ "გახსნილი" ენერგოსაქმეები, რომელთა ირგვლივაც თავის დროზე დიდი სკანდალი ატყდა და რამდენიმე "ენერგომამა" ორთაჭალის ციხისკენ გაამგზავრეს კიდეც. თუმცა, "ენერგობოსად" გამოცხადებული ემზარ ჩაჩხიანი და მისი პარტნიორები პატიმრობიდან ძალზე მალე გათავისუფლდნენ.

მოგვიანებით ახალმა გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმაც ძირითადი აქცენტი ენერგოსაქმეზე გააკეთა. თუმცა, მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით შემოიფარგლა.

ამჟამინდელი გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომლის უწყებასაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აქამდე თავი არ გამოუჩენია, ახლა ენერგოსაქმეზე აქტიურად ალაპარაკდა. **მედია-ნიუსი**


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
## სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 13-17 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8 668.6 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 732.5 ათასი ლარი:**
■ **სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 732.5 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 751.9 ათასი ლარი;**
**შინაგან საქმეთა სამინისტროს აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება - 53.0 ათასი ლარი:**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება - 4 131.6 ათასი ლარი:**
■ უმაღლესი სასწავლებლები - 1 290.0 ათასი ლარი;
■ მეცნიერებათა აკადემია - 991.2 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 700.0 ათასი ლარი;
■ სასამართლოები - 660.5 ათასი ლარი;
■ სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები - 310.5 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი - 92.0 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა) - 87.4 ათასი ლარი;
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია (შრომის ანაზღაურება) - 600.0 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის კვების ხარჯები - 1 382.6 ათასი ლარი:**
■ თავდაცვის სამინისტრო - 545.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 340.0 ათასი ლარი;
■ სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები - 263.6 ათასი ლარი ლარი ;
■ იუსტიციის სამინისტრო - 225.2 ათასი ლარი ;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;
■ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი - 0.8 ათასი ლარი;
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა სექტემბრის თვის შემწეობა) - 1 000.0 ათასი ლარი;**
**სექტემბრის თვის სოციალური ტრანსფერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს - 45.0 ათასი ლარი:**
**ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 48.0 ათასი ლარი:**
**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის პროგრამები) - 100.0 ათასი ლარი:**
**იუსტიციის სამინისტრო (მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება) - 7.0 ათასი ლარი;**
**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 216.0 ათასი ლარი;**
■ ჩოხატაურის რაიონის გამგეობა (საქართველოს პრეზიდენტის 14.09.03 N1119 განკარგულების თანახმად ნ.დუმბაძის სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოებისათვის) - 10.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში (საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს N1036 განკარგულების თანახმად "სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის) - 206.0 ათასი ლარი;
**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 168.7 ათასი ლარი;**
■ კულტურის სამინისტრო (ხელოვნების მუშაკთა სტიპენდიები) - 142.2 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო (ნ. დუმბაძის საიუბილეო ღონისძიების დასაფინანსებლად) - 12.0 ათასი ლარი;
■ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი (ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიები) - 12.0 ათასი ლარი;
■ თავდაცვის სამინისტრო (კ. ბასილაშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებისათვის) - 0.6 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (ბ. ექიზაშვილის ჯილდო) - 0.6 ათასი ლარი;
■ უშიშროების საბჭო (მივლინება) - 1.3 ათასი ლარი;
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 184.2 ათასი ლარი;**
**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამული ხარჯები - 48.0 ათასი ლარი;**
**ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამული ხარჯები - 1.2 ათასი ლარი;**
**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 30.0 ათასი ლარი;**
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია) - 20.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პროკურატურა - 10.0 ათასი ლარი;
**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამივლინებო ხარჯები - 5.0 ათასი ლარი;**
**სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სუბსიადია (ს.ს. "ტყიბულნახშირი") - 100.0 ათასი ლარი;**
**სულ ხარჯი: 8 668.6 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები**
■ **732.5 ათასი ლარი:**
■ **სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 732.5 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 751.9 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 184.2 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 79.2 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 5.0 ათასი ლარი;**
■ **სუბსიდია - 100.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1** **ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## "მრეწველები" პროქართული ორიენტაციის ადამიანებს ეძებენ

მაია მოსიაშვილი

**"ბოლო 8-9 წლის მანძილზე ხელისუფლებას ნაბიჯი არ გადაუდგამს ქართული მრეწველობის დასახმარებლად. დამღუპველია ხელისუფლების კაპიტულანტური პოზიცია იმ რეკომენდაციების მიმართ, რომელსაც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები გვაძლევენ. ეს არის დიქტატი, რომელსაც დღევანდელი პრეზიდენტი და მისი გუნდი წინ ვერ აღუდგება. თუ მომავალი 4 წლის განმავლობაშიც ამ ტემპით გაგრძელდა ქვეყნის ძარცვა, დღევანდელი გაჭირვება ხვალ სანატრელი გვექნება,"** - ასე "დაამშვიდა" რუსთაველები მათთან წინასაარჩევნოდ ჩასულმა გოგი თოფაძემ. "მრეწველთა" ლიდერის აზრით, საქართველოში წინასაარჩევნო დღეებში სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი იმას ნიშნავს, რომ ისინი არჩევნებზე ზეწოლას ცდილობენ. **"თუ პარლამენტში არ შეიკრიბა პროამერიკულად კი არა, პროქართულად მოაზროვნე 90-100 ადამიანი და წინ არ აღუდგა ამ წარღვნას, 2007 წელს უკვე მთლიანად გაყიდულები ვიქნებით. უნდა მოვნახოთ ის ხალხი, რომელიც პროქართული ორიენტაციის იქნება,"** - განაცხადა თოფაძემ. მისი აზრით, პროამერიკული პარტიების მხარდაჭერა ხალხს გაუჭირდება და არც რუსეთის ხელაღებით ლანძღვა-გინება მოიტანს სიკეთეს, რადგან **"ის ლომია, ჩვენ - კატა და რა გინდა აკეთო?!"**

"მრეწველების" ლიდერები გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე და ბადრი შოშიტაიშვილი მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობასა და მუშამოსამსახურეებს შეხვდნენ.

**"თავიანთი მუშაობით პარლამენტში ისინი ჩვენს ქარხანას წაადგებიან. მეტალურგიულ კომბინატს 50 მილიონი სახელმწიფო ვალი აქვს. ფიქრი იმაზე, რომ ეს თანხა ოდესმე ბიუჯეტს დაუბრუნდება, არასერიოზულად მიმაჩნია. მთავარია, ქარხანა ამუშავდეს, ხელფასები დარიგდეს, ქვეყანაში საინვესტიციო გარემო გამოსწორდეს. ამ მხრივ მრეწველების მიერ შემუშავებული საგადასახადო კოდექსი ჩვენთვის მისაღებია,"** - განაცხადა კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ. თავის მხრივ თოფაძემაც დაადასტურა, რომ "მრეწველები" საწარმოო ვალების ჩამოწერის მომხრენი არიან.

მეტალურგიული კომბინატის შემდეგ თოფაძემ მეგობრებთან ერთად საკუთარ ლუდის ქარხანაში შეიარა. **"ეს ასი პროცენტით ქართული კაპიტალით შექმნილი ერთადერთი წარმოებაა და მას ბიუჯეტში ყოველწლიურად 7 მილიონი ლარი შეაქვს. ქალაქ რუსთავის ბიუჯეტი სულ 12 მილიონია და მის ძირითად შემავსებლად ლუდის ქარხანა ითვლება. წინა არჩევნებზე რუსთავის ხელმძღვანელობამ დაგვიჩაგრა და დავემუქრე - წარმოების ოფისი რუსთავის ბალანსზეა და თუ ასე გაგრძელდა, დიდუბის ბალანსზე გადავიყვან-მეთქი. ამ მუქარას აუცილებლად შევასრულებ, თუ კიდევ დაგვჩაგრეს,"** - ჯერჯერობით უცნობია რა გავლენას მოახდენს გოგი თოფაძის ეს გადაწყვეტილება რუსთავში "მრეწველების" საარჩევნო შედეგებზე, თუმცა ის კი ფაქტია, რომ "მრეწველებს" რუსთავში მაჟორიტარი კანდიდატი არ ჰყავთ და არც იმას ამხელენ, თუ ვის დაუჭერენ მხარს. თოფაძის თქმით, პარტიაში ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს და ერთიანი პოზიცია ჯერ გამოკვეთილი არ არის. მთელი ქვემო ქართლის მასშტაბით "მრეწველებს" მხოლოდ ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ჰყავთ წალკის რაიონში. **"ქვემო ქართლში რა აზრი აქვს მაჟორიტარს, კაცო,"** - ამბობს თოფაძე და, ვაი, თუ მართალია.

## მაისაშვილის პროგრამა ადენაუერის ფონდში

სოფო ბუკია

"ნაციონალური მოძრაობის" ეკონომიკური კონცეფციის ავტორმა გია მაისაშვილმა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მისეული კონცეფცია გუშინ კონრად ადენაუერის სახელობის პოლიტიკური ფონდის ტრიბუნასთან წაიკითხა.

პროგრამა, რომელსაც თავად ავტორი "ინოვაციურს" უწოდებს და რომლითაც "ნაციონალები" მთელი საქართველოს გადარჩენას გეგმავენ, ორ ძირითად მიმართულებას შეიცავს: პირველი, მინიმალური უსაფრთხოების ბადის შექმნა, რაც გულისხმობს იმას, რომ უახლოეს წლებში საქართველოში არც ერთი უსახლკარო და უმუშევარი ადამიანი არ უნდა ირიცხებოდეს და მეორე, თანამედროვე ტექნოლოგიების და უნარ-ჩვევების დანერგვა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს მაისაშვილი ინტელექტუალური კაპიტალისა და ახალი ინსტიტუციონალური ბაზის შექმნაში ხედავს.

"ნაციონალური მოძრაობა" - "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "მრეწველების" შემდეგ, რიგით მესამე პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელმაც კონრად ადენაუერის ფონდს საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო.

როგორც ფონდის წარმომადგენელი ლევან იზორია აღნიშნავს, მაისაშვილი საკმაოდ ცნობილი და ნიჭიერი ეკონომისტია, რაც მის მიერ მომზადებულ პროგრამასაც ეტყობა.

ადენაუერის სახელობის ფონდი 2 ნოემბრის არჩევნებამდე სახელისუფლებო ბლოკისა და "ლეიბორისტების" წინასაარჩევნო სტრატეგიას გაეცნობა, ხოლო საარჩევნო ციებ-ცხელების შემდეგ, დაახლოებით 3-4 ნოემბერს, ფონდი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოუყრის თავს და მათთან ერთად არჩევნების შედეგებს გააანალიზებს.

## დმანისიდან თბილისამდე - ერთიანი ფრონტი არჩევნების "გადასარჩენად"

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ ხელისუფლებასა და უბრალო ადამიანებს რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. თუ მმართველი ძალის მხრიდან ნინო ბურჯანაძე ლამის ყოველდღიურად განიცდის შანტაჟსა და ზეწოლას, რიგითი მოქალაქეები ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს "სოლიდარობას უცხადებენ" და 2 ნოემბრის არჩევნებში მხარდაჭერას ჰპირდებიან. ასეა არა მარტო "ოპოზიციურ" და შედარებით "ნეიტრალურ" რეგიონებში, არამედ ქვემო ქართლშიც კი, რომელიც ბოლო დრომდე ხელისუფლების ციტადელად იყო მიჩნეული. გუშინ მარნეულსა და დმანისში სტუმრობის დროს, პარლამენტის სპიკერი თავად დარწმუნდა იმაში, რომ ხალხს ის "თავისიანად" მიაჩნია და ხელისუფლებასთან არ აიგივებს. ამის დასტურია თუნდაც ის აპლოდისმენტები, რომელიც პარლამენტის ხელმძღვანელმა არაერთხელ დაიმსახურა. ეს, ძირითადად, მაშინ ხდებოდა, როდესაც ნინო ბურჯანაძე შევარდნაძის გუნდის უნიათობაზე საუბრობდა.*


იური მეჩითოვის ფოტო

*ნინო ბურჯანაძე მარნეულელებმა თბილად მიიღეს.*

**"ხელისუფლებამ ღირსება დაკარგა. კანონიერება და სამართალი მისთვის მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. მეტიც - რაც ბევრს მოიპარავ, ამ ხელისუფლების ხელში მით უფრო დაფასებული ხარ,"** - დმანისელებთან შეხვედრისას აღშფოთებას ვერ მალავდა პარლამენტის სპიკერი. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მას მარკ ტვენის გამონათქვამს ახსენებს, რომ "თუ ერთ დოლარს მოიპარავ, ქურდი ხარ, ხოლო თუ მილიონს - საპატიო მოქალაქე."

ნინო ბურჯანაძის თქმით, დღეს მთავარ პრობლემას კანონიერების აღდგენა წარმოადგენს და თუ უსამართლობას ლაგამი ამოედება და ქვეყნის დამაქცევარნი საკადრისად დაისჯებიან, მაშინ სხვა პრობლემები შედარებით იოლად მოგვარდება.

ხელისუფლების ქმედითუუნარობის "ნიმუშად" ოპოზიციონერი სპიკერი იმ შეუსრულებელ დაპირებას ასახელებს, რომლის თანახმადაც, 1 სექტემბრისთვის საპენსიო დავალიანება მთლიანად უნდა დაფარულიყო.

ნინო ბურჯანაძე ხელისუფლების უუნარობის მიაწერს იმასაც, რომ მარნეულშიც და დმანისშიც მას რუსულ ენაზე უწევდა მოსახლეობასთან საუბარი. **"ის, რომ სახელმწიფო ენას ვერ ფლობთ, სულაც არ არის თქვენი ბრალი. ამაში უფრო ცენტრალური ხელისუფლებაა დამნაშავე, რომელიც თითს თითზე არ აკარებს იმისთვის, რომ სახელმწიფო ენის პროგრამა შესრულდეს,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

მის მოსაზრებას მარნეულის კულტურის სახლში მოყოლილი ერთი ისტორიაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობა ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ინსტანციებში აგზავნიდა თხოვნას, რომ აზერბაიჯანულ სკოლაში ქართული სექცია გახსნილიყო. ამ წერილმა, თურმე, არაერთი ბიუროკრატი მოხელის კაბინეტი მოიარა და ბოლოს, ამავე სოფელს ისე დაუბრუნდა, რომ აზერბაიჯანელების თხოვნის შესასრულებლად ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს არავის.

**"მომრავლებული პრობლემების მოუგვარებლობა, საბოლოო ჯამში, მთავრობის არაეფექტურობაზე დაიყვანება,"** - ასეთ დასკვნამდე მარნეულში "ერთად მივიდნენ" სტუმარ-მასპინძლები.

თუმცა, გუშინდელი შეხვედრების დროს საარჩევნო თემატიკამ ყველა სხვა პრობლემური საკითხი გადაფარა. ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი აფრთხილებს ქვემოქართლელებს, რომ ხელისუფლება არჩევნების ჩაშლას, გადადებას ან გაყალბებას შეეცდება. ამიტომ, სპიკერი ლამის ხვეწნაზე გადადის და "პირობას ადებინებს" ადგილობრივ მოსახლეობას, რომ შეამოწმებენ - არიან თუ არა შეტანილნი საარჩევნო სიებში და, მათი გვარის სიებში არარსებობის შემთხვევაში, 26 ოქტომბრამდე საარჩევნო უბნებს მიაკითხავენ ხმის მიცემის უფლების აღსადგენად.

2 ნოემბრის არჩევნებზე საუბარს რეგიონიდან თბილისში დაბრუნებული პარლამენტის სპიკერი უკვე საგანგებო ბრიფინგზე განაგრძობს. ნინო ბურჯანაძე ამჯერად უფრო იმედიანადაა და დაბეჯითებით აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმების ვადის 26 ოქტომბრამდე გადაწევით დაინგრა ხელისუფლების სქემა, რომელიც არჩევნების ჩაშლას ითვალისწინებდა.

**"ან არჩევნები ჩაიშლებოდა, ან დესტაბილიზაცია დაიწყებოდა, რადგან ასეულ ათასობით მოქალაქეს მთავარი პოლიტიკური და კონსტიტუციური უფლება ერთმეოდა. ახლა კი ადამიანებს საშუალება აქვთ, სიები ნახონ და თუ შესაბამისი სურვილი ექნებათ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე.

მისივე განცხადებით, საარჩევნო სიების გაყალბება შეგნებულად, მიზანმიმართულად ხდებოდა და ამიტომ, გამყალბებლები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ხოლო რომელ წრეში არიან დამნაშავენი მოსაძებნი, ძნელი მისახვედრი არ არის: პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით, ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენა, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა დავალებული, რომელმაც ისინი ცესკო-ს იმ პერიოდში გადასცა, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან უკვე გამოსულები იყვნენ.

**"როგორ უნდა გაეყალბებინა ამომრჩეველთა სიები ოპოზიციას, როდესაც მას მათზე ხელი არ მიუწვდებოდა?"** - ჯორბენაძისა და ნარჩემაშვილის "აღმოჩენით" პარლამენტის თავმჯდომარე ერთობ გაოცებულია.

რაც შეეხება გუშინდელ ტრადიციულ რადიოინტერვიუში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართულ გამონათქვამებს, ნინო ბურჯანაძე მათზე უკვე აღარ რეაგირებს. **"ეს ისეთი განცხადებებია, რომ მათზე კომენტარების გაკეთება შეუძლებელია,"** - ორაზროვნად შენიშნავს ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი.

## დედაქალაქის მერი მთავრობის გადადგომას ითხოვს

*მერიაში გამართულ თათბირზე დედაქალაქის მერმა თბილისის მთავრობის მთელ შემადგენლობას გადადგომა მოსთხოვა. ვანო ზოდელავას ასეთი განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. სხვადასხვა მიზეზისა თუ მოტივის გამო, თბილისის ხელისუფლებისადმი თავის უკმაყოფილებას ზოდელავა, კარგა ხანია, არ მალავს. თანაც, ბოლო დროს დედაქალაქში გამეფებული ანტისანიტარია, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის მეთაურსაც მოხვდა თვალში, რომელმაც ამის გამო შენიშვნა მისცა ზოდელავას.*

გარდა ამისა, ზოდელავა აცხადებს, რომ **"მას შემდეგ, რაც ქალაქის პრემიერმა გია შერაძემ, არჩევნებში მონაწილეობის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა, საჭირო გახდა ახალი პრემიერის წარდგენა, რომელსაც მხარი პრეზიდენტმა უნდა დაუჭიროს. მისი დანიშვნის შესახებ კი გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ უნდა მიიღოს, რასაც დედაქალაქის მთავრობის გადადგომა მოჰყვება".**

საბოლოოდ, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საკითხის ასე დასმა მაინც პოლიტიკურ მანევრად შეფასდა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი, ისე ის ვიცე-პრემიერები, ვისაც თანამდებობიდან გადადგომა ზოდელავამ არაეფექტიანი მუშაობის გამო მოსთხოვა, მიიჩნევენ, რომ თბილისის ხელისუფლება გადასახალისებელია, თუმცა, ხელისუფლების გადაყენების შესახებ ზოდელავას განცხადება, საკრებულოს თავმჯდომარესაც და საკრებულოს მდივანსაც რეალობას მოკლებულად მიაჩნიათ. სააკაშვილი ზოდელავას ურჩევს, მაგალითის მისაცემად თანამდებობა პირველმა დატოვოს. "ლეიბორისტ" ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ქალაქის მთავრობის გადადგომის საკითხზე, "დედაქალაქის შესახებ" კანონის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც დედაქალაქის საკრებულომ უნდა მიიღოს. ამგვარი განცხადებით კი ვანო ზოდელავას საკრებულოსთვის არ მიუმართავს და, მით უფრო, არც შესაბამისი არგუმენტაცია და მოტივაცია დაურთავს თან. **"შევარდნაძე ზოდელავას ხელით ცდილობს საკრებულოს მიერ დანიშნული მთავრობის წარმომადგენლების მოშორებას,"** - აცხადებს სააკაშვილი. "ახალი მემარჯვენეების" ფრაქციის ლიდერ მამუკა კაციტაძეს კი მიაჩნია, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყნის მეთაურს ადგილობრივი ხელისუფლება საკმარისად მორჩილად არ ეჩვენება და ამიტომ შესაბამის ზომებსაც იღებს. მერიის იურიდიული განყოფილების უფროსის თემურ ჯიჯიაშვილის განმარტებით, პროცედურულად პრემიერის გადაყენება ქალაქის მთელი მთავრობის ავტომატურად გადაყენებას არ იწვევს.

ყველაზე ნაკლები სასაყვედურო, როგორც ამბობენ, ზოდელავას ფინანსურ სფეროში ქალაქის ვიცე-პრემიერ თემურ ქურხულთან აქვს, რომელიც ახლა საარჩევნო ბატალიებში ჩართული პრემიერის გია შერაძის შემცვლელად ითვლება. ყველაზე მეტი პრეტენზია კი ბატონ ვანოს საქალაქო საკითხებში ვიცე-პრემიერ გიორგი კარბელაშვილსა და სოციალურ სფეროთი დაკავებულ ვიცე-პრემიერ კახა შენგელიასადმი ეთქმის. როგორც კარბელაშვილი, ისე შენგელია "ნაციონალური" მოძრაობის წარმომადგენლები არიან. თუმცა, კახა შენგელია დარწმუნებულია, რომ მას ქალაქის საკრებულო ადვილად არ გაწირავს.

*24 საათი*

ახალი პუბლიკაცია - " დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში "
ქართული დემოკრატიის სრულფასოვანი შეფასების პირველი მცდელობა

[illegible]

არმინე არაკელიანი
საერთაშორისო იდეა-ს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და პროგრამის ხელმძღვანელი

გია ნოდია
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარე

პუბლიკაციის ოფიციალური პრეზენტაცია, რომელსაც უმასპინძლებენ საერთაშორისო იდეა და ნიდერლანდების სამეფო საქართველოში შედგება 2003 წლის 22 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქ. თბილისში, სასტუმრო მარიოტი-თბილისის საკონფერენციო დარბაზში

ნაშრომი შედგება შემდეგი თემებისაგან:

1. დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობა საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე
2. კონსტიტუციური სისტემა საქართველოში, გია გეწაძე, გია ნოდია
3. რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, დავით ლოსაბერიძე
4. საარჩევნო პროცესები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გია ნოდია
5. ძალოვანი სტრუქტურები, სუსტი სახელმწიფოს სინდრომი და კორუფცია საქართველოში, დავით დარჩიაშვილი და გია ნოდია
6. ადამიანის უფლებები საქართველოში, თინა ხიდაშელი, არნოლდ სტეპანიანი, დავით ზურაბიშვილი, ლელა ხომერიკი
7. დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში, გია ნოდია, გიგი თევზაძე, მარინა მუსხელიშვილი, ნანა სუმბაძე
8. დემოკრატიზაცია საქართველოში: ეკონომიკური გარდაქმნები და სოციალური დაცვა, მარინა მუსხელიშვილი, ანა ახვლედიანი
9. ეთნიკური კონფლიქტები და განდგომილი რეგიონები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გიგი თევზაძე
10. საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები, თამარ ბერეკაშვილი, დავით ლოსაბერიძე, დავით მელუა, გია ნოდია
11. საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე, ჯაბა დევდარიანი
12. საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში, დავით დარჩიაშვილი

საერთაშორისო იდეას სამხრეთ კავკასიის პროგრამა - სამხრეთ კავკასია: მდგრადი დემოკრატიის წინაშე არსებული სირთულეები

1995 წელს სტოკჰოლმში დაფუძნებული დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი (იდეა) [illegible]

[illegible]

პროგრამაზე და მის მიმდინარეობაზე დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად გთხოვთ დაუკავშირდეთ

ქალბატონ არმინე არაკელიანს
წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და პროგრამის ხელმძღვანელს
(a.arakelian@idea.int), [illegible] (idea@cipdd.org ან idea@arminco.com). [illegible] www.idea.int/southcaucasus

პუბლიკაცია შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო იდეას თბილისის წარმომადგენლობაში: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი, 380093, საქართველო. ტელ: 334081, ფაქსი: 334163, ელ-ფოსტა idea@cipdd.org, მობილური: 899 230145, დოკუმენტი ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი მისამართიდან:
http://www.idea.int/southcaucasus/papers.htm

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# კიდევ ერთხელ - გზის გასაყარზე

## ევროპაში ღელავენ იმის გამო, რომ აზერბაიჯანის მოვლენები ჩვენთან არ განმეორდეს

მაია ჭალაგანიძე

***"ძნელია ნდობის პოზიციაზე დადგომა, მაგრამ თუ მოახერხებ და დადგები, ეს რაღაცას განსაზღვრავს შენს ცხოვრებაში,"*** *- ამბობს ლანა ღოღობერიძე. ვფიქრობთ, ნდობის პოზიციაზე ის ჯერ კიდევ მაშინ მოხვდა, როდესაც ფილმებს იღებდა, მერე - როდესაც მთარგმნელობით საქმიანობას მოჰკიდა ხელი, შემდეგ - დიპლომატიით, როდესაც ევროსაბჭოში ჩვენს წარმომადგენლად დაინიშნა. ახლა კი საკუთარი ბიოგრაფიული წიგნით - "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება" - ნდობის ყველა ეს ნიშა წარადგინა მკითხველის წინაშე... პრინციპში, ორ გურამს (პეტრიაშვილს და შარაძეს) თუ არ ჩავთვლით, უნდობლობა მისთვის სხვას არავის გამოუცხადებია... ადამიანის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როდესაც სხვისი ყველაზე მკაცრი შემფასებლებიც კი ვერაფერს დააკლებენ მის ცხოვრებას (ვერც ვეღარაფერს შესძენენ)... რეპრესირებული ოჯახი, მძიმე ბავშვობა, შეუცნობელი თავისუფლება, ომი, შიმშილი, იმედგაცრუება, ბრძოლა, წარმატება, სიყვარული, სევდა, შეურაცხყოფა, აღიარება - გასული საუკუნის ყველა შეგრძნებამ მოიცვა ამ ქალბატონის ცხოვრება. როგორც ჩანს, გაირკვა, რა არის მთავარი და რა - ისე რა. ახლა სრულიად თავისუფლად შეიძლება შინაგანი ტაბუს ახსნა. ახლა უკვე შეიძლება, საკუთარი შეგრძნებების თანამონაწილედ გიხადო ყველა...*

**- არის თუ არა თქვენი თბილისში ჩამოსვლა ყოველთვის რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული?**

- საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის საქმის გამო. ხან სამინისტროშია ჩასატარებელი კონსულტაციები, ხან დელეგაციას მოვყვები. ამჯერად ჩემი წიგნის - "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება" - პრეზენტაციასთან არის დაკავშირებული.

**- როგორც ვიცი, წიგნი მემუარული ჟანრისაა. როდის დგება ბიოგრაფიის გამომზეურების მომენტი?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა წიგნში ვცადე. მართლაც, უცბად დგება ეს მომენტი და არ ვიცი, რასთან არის დაკავშირებული - ეტყობა, როცა ადამიანის ცხოვრებაში ნაფიქრი, განცდილი, ტკივილი და სიხარული გროვდება...

**- ამ დაგროვილ გრძნობებს ადრე კამერით გამოხატავდით, შემდეგ - ფუნჯით... რატომ - სიტყვა?**

- სიტყვა თავიდანვე იყო ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი. ყოველთვის ვიყავი ჩემი ფილმების სცენარების თანაავტორი.

არც კი ვიცი, რამ მიბიძგა, როდესაც აღსარებასავით (შეიძლება, ეს ხმამაღლი სიტყვაც იყოს) რაღაცის დაწერა მომინდა...

გარკვეული ტაბუ ყოველთვის მქონდა - ეს ადამიანს ყოველთვის აქვს - რაზე შეიძლება საუბარი და რაზე - არა... უცბად, თავადვე მოვხსენი ეს აკრძალვები და მკითხველთან საუბარი მომინდა. თუმცა, ამ მკითხველთა შორის აუცილებლად იქნებიან წინასწარ მტრულად განწყობილი ადამიანები. ესეც დავძლიე - იმათთვისაც დავწერე და მათაც მოყვასს ვუწოდებ. ისე, საბოლოოდ, მართლაც რომ ყველა მოყვასია.

**- წიგნის მთავარ გმირსაც ისე მიუდექით, როგორც თქვენი ფილმების პერსონაჟებს, რომელთა შინაგანი სამყაროს გამომზეურებას ცდილობდით?**

- ალბათ. მნიშვნელოვანი იცით, რა იყო? ცხოვრების გზაზე მრავალი და სხვადასხვაგვარი ადამიანი შემხვედრია, მაგრამ, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ისინი დამამახსოვრდა, ვინც კარგი გამიკეთა და არა ისინი, ვინც - ცუდი (და ბევრმა ცუდიც გამიკეთა). ამიტომაც დავარქვი ამ წიგნს "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება". ადამიანის ნამდვილი ცხოვრება ის არის, რასაც თავად აღიქვამს. ჰოდა, როგორც აღვიქვამდი ჩემს ცხოვრებას, მოვლენებს, ადამიანებს - ისე დავწერე. გამოვიდა, რომ წიგნში ისინი მოხვდნენ, ვინც კარგად მახსოვს... არ ვიცი, ეს რამდენად ობიექტურია, მაგრამ ასე გამოვიდა.

**- როგორ ფიქრობთ, გამოდგება თუ არა ეს წიგნი ჩვენი ეპოქით დაინტერესებული მომავალი თაობებისთვის?**

- მკითხველმა უნდა თქვას.

ეს წიგნი მხოლოდ ჩემთვის არ დამიწერია. დავწერე ახლობლებისთვის, შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის და ძალიან მიხარია, რომ ჩემი 20 წლის შვილიშვილი, ლადო რიგვავა, დიდი ინტერესით კითხულობს მას.

**- პირველი შენიშვნები ხომ არ დაგიმსახურებიათ?**

- არა. აღელვებული იყო იმით, რაც ამ წიგნის საშუალებით გაიგო.

**- რა ეპოქას მოიცავს წიგნი?**

- ისე გამოდის, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე. ეს, მართლაც, კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაა და, ვფიქრობ, ამითაც არის საინტერესო. რაც კი ქარტეხილები იყო, ყველაფერმა ჩემს თავზე გადაიარა. ასე იყო ბავშვობიდან დღემდე. სწორედ ამის შესახებ ვწერ წიგნში.

საბჭოთა ცხოვრება იმ თვალით არის დანახული, თუ რამდენად დამთრგუნველი იყო ეს ტოტალიტარიზმი პიროვნებისთვის, ადამიანისთვის.

**- თქვენს ფილმებში ოსტატურად არიდებდით თავს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც საბჭოთა კინორეჟისორს უყენებდნენ და, ძირითადად, ერთი ადამიანის ბედზე, მის შინაგან სამყაროზე ამახვილებდით ყურადღებას...**

- ეს, მართლაც, ასე იყო.

მიმაჩნია, რომ ქართული კინო დისიდენტური იყო. რა თქმა უნდა, ყოველთვის და ყველგან არის გამონაკლისი, მაგრამ, ძირითადად, ეს იყო სწრაფვა თავისუფლებისკენ. თუ რაიმე გამჭოლი ხაზია ჩემს წიგნში, ეს სწორედ თავისუფლებისადმი სწრაფვაა. ამას ვერაფერი კლავს.

**- და ეს მუდმივი სწრაფვა ტოტალურმა რეჟიმმა გამოიწვია?**

- ეს შეფარულად, მაგრამ მაინც გამოხატული იყო შემოქმედებაში. ამ სულის გარეშე ადამიანი ამქვეყნად ვერც იცოცხლებდა.

რა გვასულდგმულებდა ბავშვებს ომის პერიოდში, იმ სულის შემხუთველ ატმოსფეროში - სიცივეში, შიმშილში?! სწორედ თავისუფლებისკენ სწრაფვა. პოეზიაც ამ თვალსაზრისით გვიყვარდა და მოგვწონდა... ნამდვილად საინტერესო იყო ამის გამოხატვის პროცესი.

მეორე ასპექტი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის და რაც, ჩემის აზრით, ამ წიგნის განმსაზღვრელია - იმ პერიოდში თავსდამტყდარი მოვლენების მიუხედავად, თუ - საპირისპიროდ, სიცოცხლის სიყვარული და სიხარულისკენ სწრაფვა გვახასიათებდა. სულ ვიცინოდით, სულ რაღაც გვიხაროდა. მაოცებს იმდროინდელი სურათები - რა მაცინებდა იმ დროს, როდესაც ყველა გადასახლებული და დახვრეტილი იყო?! ვიყავით მარტო, არა - საჭმელი, არა - ჩასაცმელი, არა - პატრონი...

**- პასუხი თუ იპოვეთ კითხვაზე, რატომ?**

- ნამდვილად შევეცადე. ჯერ ერთი, სულ ყურში მედგა ვაჟას სიტყვები: "ცხოვრებამ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შევირგე..." ეს ზუსტად გამოხატავს იმდროინდელ ჩვენს განწყობას და მთელი თაობა ასეთი იყო.

ჩემთვის საინტერესო კიდევ იცით, რა იყო? მამარდაშვილის ბევრი რამ მოგვიანებით წავიკითხე და იქ ამოვიკითხე ამ ყველაფრის ახსნა - ეს ფენომენი ქართველების თანდაყოლილი თვისება ყოფილა: ერთი მხრივ - თვისება და მეორე მხრივ - სასოწარკვეთილების გადალახვის საშუალება. როდესაც სასოწარკვეთილების რაღაც ზღვარს მიაღწევ, შენს წინ "სივრცე სიხარულისა" გადაიშლება - ასე წერს მამარდაშვილი. მივხვდი, რომ ჩვენ სულ ამ ზღვარზე ვიყავით. სასოწარკვეთილების გადალახვა ჩვენთვის სიხარული იყო...

და კიდევ ერთი: ახლახან წავიკითხე თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვები. ის წერს, როგორ ტრაგიკულად აღიქვა ერმა თამარის გარდაცვალება - "იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებამ..." ეს სიტყვები გულზე მომხვდა. ამის შესახებ ამდენს ვფიქრობდი და ეს ცნება ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში არსებობდა. "ქართული მხიარულება"... ესეც ფენომენია. ჩემი წიგნი ამის შესახებაც არის.

**- ბრძანეთ, გასული საუკუნე აღვწერეო. ამგვარი ზღვარის წინაშე ჩვენ ახლაც ვდგავართ...**

- რა თქმა უნდა, ახლაც ვდგავართ და, დარწმუნებული ვარ, ამასაც გადავლახავთ. ამის პოტენცია მართლა გვაქვს.

არ მივეკუთვნები ისეთ ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი ქართული გადასარევი ჰგონიათ, მაგრამ "ჭირთა შიგან გამაგრების" უნარი ნამდვილად გვაქვს და დიდ იმედს გამოვთქვამ, რომ სწორედ ეს უნარი გამოგვიყვანს სასოწარკვეთიდან.

**- რამდენად შეეხო თავისუფლად მოაზროვნე ადამიანთა უკომპრომისობას კატაკლიზმები, რამდენად დააზიანა ეს გრძნობა?**

- ვფიქრობ, რომ კონფორმიზმი ქართული ხელოვნების არსშივე დაძლეული იყო.

ქართული კინო არ ყოფილა საბჭოთა კინო. მოსკოვში სულ იმას გვიკიჟინებდნენ - რატომ არ არის საბჭოთა სინამდვილის ამსახველი დეტალებიო... ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ვიღებდით ფილმებს... ამის გამო რამდენიმე სურათი დამიხურეს კიდეც. გვეხვეწებოდნენ, გვთხოვდნენ, სიტყვა "საბჭოთა" ან "კომუნისტი" გვეხსენებინა...



ლანა ღოღობერიძე

როგორღაც მოვახერხე გვერდის ავლა. ყოველთვის ვცდილობდი, ადამიანის შინაგან სამყაროზე გადამეტანა ყურადღება. ჩემთვის საინტერესო იყო ადამიანთა ურთიერთობები, შინაგანი სამყარო... თუმცა, რაღაცის დათმობა ნამდვილად გვიხდებოდა...

**- ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, პოლიტიკაში ხართ. რამდენად ძლიერი იყო თქვენში ნონკონფორმიზმის, პროტესტის განცდა?**

- პოლიტიკაში გონიერი კომპრომისი, უბრალოდ, აუცილებლად მიმაჩნია. ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ნაკლი სწორედ ეს არის. კომპრომისი სხვისი გაგების უნარია - რამდენად შეგიძლია გაიგო და გაიზიარო სხვისი ფიქრები, დამოკიდებულება სამყაროსადმი - სწორედ ეს არის კომპრომისი (კარგი გაგებით). ეს, მართლაც, აუცილებელია.

პოლიტიკაში ჩემი აშკარა პოზიცია შეურიგებლობისადმი შეურიგებლობაა. საშინელებაა, როცა შეურიგებლობა ერის მამოძრავებელ თვისებად იქცევა. ეს იწვევს აგრესიას. ასე მოხდა 90-იან წლებში და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

**- რა გხვდებათ თვალში, როდესაც ევროპიდან უყურებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?**

- იცით, რამ შემაშფოთა ყველაზე ძალიან და რა მომხვდა გულზე? (თანაც, ჩავთვალე, რომ ეს არ არის ჩემი პირადი საქმე) - ისევ ამოტივტივდა ცნებები "ერის მოღალატე", "აგენტი." ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ერის მოღალატედ ითვლება - ეს დამღუპველია. იმედი მაქვს, ეს საერთო ტენდენცია კი არ არის, არამედ ცალკეული პიროვნებებისგან მომდინარეობს. ეს გზა ჩვენ გავლილი გვაქვს. მტრის ხატის ძიება საშინელებაა...

**- თქვენ იცით, რას ნიშნავს ამ დამღით ცხოვრება...**

- თუ რაიმე ტკივილიან მოგონებად დამრჩა, სწორედ ეს იყო. მგონია, რომ დღეს ყავლი გაუვიდა ამ ცნებებს, სრული ანაქრონიზმი, ატავიზმია... ჩვენს ქვეყანაში ასეთი "აგენტები" საერთოდ აღარ მეგულება...

ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ შენი ქვეყანა გიყვარს, მხოლოდ კარგი უნდა ილაპარაკო მასზე და განსაკურებით - ქვეყნის გარეთ. ეს ზუსტად ის არის, რაც ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის პოზიციას.

**- უკვე დიდი ხანია, დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევით. როგორ ახერხებთ, დააინტერესოთ ევროპა ჩვენი პატარა ქვეყნით? რამდენად მნიშვნელოვანია ეს თქვენთვის, როგორც დიპლომატისთვის და რა გზები არსებობს ამისთვის?**

- როდესაც პირველად ჩავედი ევროპის საბჭოში (მალე ოთხი წელი გავა მას შემდეგ, რაც ელჩი ვარ და იქამდეც ხომ დავდიოდი), უმრავლესობამ არც კი იცოდა, სად არის საქართველო. ახლა ყველაფერი იციან საქართველოს შესახებ.

**- საიდან დაიწყეთ მათთვის საქართველოს გაცნობა?**

- ამისთვის სხვადასხვა გზა არსებობს. ოფიციალურის გარდა, ევროსაბჭოში არსებობს "ევროპული წრე" - ფაქტობრივად, ეს არის კლუბი, სადაც ელჩების გარდა პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები არიან გაწევრიანებულნი. სწორედ მათ მთხოვეს საქართველოს შესახებ მოხსენების გაკეთება. საკმაოდ გრძელი, 40-წუთიანი მოხსენება მოვამზადე. საქართველოს ისტორია, კულტურა, დღევანდელობა, ხასიათი - ყველაფერი მოიცვა ამ მოხსენებამ, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა (მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე საუბარი მერიდება, ეს, მართლაც, ასე იყო). ამავე დროს, ჩვენი ისტორიის, სიძველეების შესახებ დოკუმენტური ფილმი ვაჩვენე. ეს გაცნობის მხოლოდ ერთი საშუალებაა.

ევროპის საბჭოში ყველა პრობლემა და ყველა ის საკითხი დგება, რაც საქართველოს აწუხებს. ჩემი გამოსვლები საგარეო საქმეთა სამინისტროში დევს და, რომ აიკინძოს, ერთი მოზრდილი ტომი გამოვა - ეს ოფიციალური საშუალებაა.

გარდა ამისა, არის პირადი ურთიერთობები, შეხვედრები, მოწვევები სახლში, მიღებები - ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. რაოდენ სამწუხაროა ჩემთვის, რომ წელს შეზღუდული ბიუჯეტის გამო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი მიღებაც კი ვერ გავმართეთ. სხვათა შორის, ამ მიღებას ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ძალიან მოსწონთ ჩვენი ღვინოები, კერძები...

**- ანუ ეს, მართლაც, დიდი ევროპული ოჯახია...**

- ნამდვილად.

საქართველოს გაცნობის კიდევ ერთი გზა აქ ჩამოსვლაა. რა გაჭირვებაც უნდა გვადგეს და რა დღეშიც არ უნდა იყოს საქართველო, აქედან ყველა მოხიბლული მიდის. რაღაც აუხსნელი ხიბლი საქართველოს ნამდვილად აქვს.

**- თქვენ იქ წარმოადგენთ სახელმწიფოს, რომელიც ხშირად უხეშ შეცდომებს უშვებს, არადემოკრატიულ ნაბიჯებს დგამს. როგორ აღიქვამენ ამას ევროსტრუქტურები და როგორ გამოდიხართ ასეთ დროს სიტუაციიდან?**

- ის, რომ დღეს საქართველოში რეალურად არსებობს ოპოზიცია და თავისუფალი მედია - ყველაზე მეტად არის მისაღები ევროპული აზროვნებისთვის. არავის აზრად არ მოუვა, დაგადანაშაულოს იმაში, რომ არ ჰკიცხავ ოპოზიციას. როგორ შეიძლება, ელჩმა თითი უქნიოს ოპოზიციას...

**- ხელისუფლების შეცდომებს როგორ "ასწორებთ"?**

- იმ ევროპულ ოჯახში საკმაოდ ტაქტიანი ადამიანები ცხოვრობენ და არც ცდილობენ, რაღაცა წამოგძახონ. პირიქით, მათ ესმით ჩვენი გასაჭირი, ოღონდ, ძალიან უნდათ, დაგვეხმარონ, რათა მართლა გავიდეთ დემოკრატიის შენების გზაზე...

**- გვერდს ვერ ავუქცევთ იმ პროცესებს, რაც აქ ხდება. როგორ უყურებენ არჩევნებს?**

- საქართველოს შესახებ მათ მუდმივი და სრული ინფორმაცია აქვთ.

ნამდვილად ღელავენ იმის გამო, რომ აზერბაიჯანის მოვლენები ჩვენთან არ განმეორდეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - კიდევ ერთხელ ვდგავართ გზის გასაყარზე და თუ არჩევნები მართლაც დემოკრატიულად და თავისუფლად არ ჩატარდა, არ ვიცი, რა დამოკიდებულება იქნება ჩვენს მიმართ. ამაზე ვერაფერს გეტყვით.

**- აზერბაიჯანის მოვლენებზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაინც დახუჭეს თვალი. იგივე გველის?**

- იცით, ილჰამ ალიევს სტაბილურობის გარანტად აღიქვამენ. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის დემოკრატიულობის მიმართ დიდი პრეტენზიები არც ჰქონიათ. იქ ყველამ იცის, რომ აზერბაიჯანში სხვა ტიპის სისტემა ჩამოყალიბდა და ნამდვილ დემოკრატიაზე საუბარი, ჯერჯერობით, ძნელია. გარდა ამისა, მუშაობს ნავთობის ფაქტორი.

ჩვენი მთავარი კოზირი დემოკრატიაა. სწორედ ამით იწვევს საქართველო ინტერესს. ჩვენ თუ ამას ახლა არ განვამტკიცებთ, მართლა არ ვიცი, როგორი იქნება პირადად ჩემი როლი.

**- საქართველოში პერიოდულად პოპულარული ხდება ევროსაბჭოდან ჩვენი გარიცხვის თემა. თუმცა, ალბათ, ევროსტრუქტურებში ამის შესახებ ასე ხშირად არ საუბრობენ...**

- დიახ, ეს ადგილობრივი თემაა. ერთხელ გენერალურმა მდივანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ საქართველოში დემოკრატიული, თავისუფალი, საყოველთაო არჩევნები არ ჩატარდება, ევროპის საბჭოსთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი დადგებოდა. გარიცხვაზე საუბარი კი არასდროს ყოფილა. იმედი მაქვს, არჩევნები ნორმალურად ჩატარდება და ევროსაბჭოში ეს საკითხი არც დადგება.

**- ოპოზიციონერ პარლამენტართა ევროსაბჭოში ვიზიტები, გარკვეულ წრეებში, მითქმა-მოთქმას იწვევს. რა ხდება სინამდვილეში, მართლა იმართება "საიდუმლო სერობები?"**

- ესეც ამ ტენდენციის გამომხატველია: "თუ სხვაგვარად ფიქრობ, მტერი ხარ". საიდუმლო შეხვედრების თემა აბსურდია. ასამბლეის ოფიციალურ სხდომებზე ხელისუფლების ნამდვილი კრიტიკით არც ერთი ოპოზიციონერი არ გამოსულა. კერძო შეხვედრებში, შეიძლება, საკუთარ შეხედულებას გამოთქვამენ, მაგრამ მე მათ არ ვესწრები. თურმე რაღაც საიდუმლო შეხვედრები რომ იმართება და ამისთვის ევროსაბჭოს იყენებენ - ამის კომენტირებაც არ მსურს.

ევროსაბჭოს ქართული დელეგაცია ხელისუფლების მომხრეებისა და ოპოზიციისგან შედგება და ეს მხოლოდ პლუსია. ოპოზიციის არსებობა ჩვენთან გამოკვეთილია.

შედარებისთვის საფრანგეთის მაგალითს მოვიტან - საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება მემარჯვენეებისა და მემარცხენეების ბრძოლაში მიმდინარეობს. ხელისუფლებაში მყოფ მემარჯვენეებს ოპონენტები აკრიტიკებენ კი არა, ყველანაირად ძირს უთხრიან. ამით ისინი მოსახლეობის ნდობის მოპოვებას და შემდგომ არჩევნებში გამარჯვებას ცდილობენ. ეს ელემენტარული დემოკრატიული წესია. თუ ეს წესი ირღვევა, მართლა ტოტალიტარიზმის საშიშროება არსებობს.

**- რამდენად პოლიტიზებულია საზოგადოება არჩევნებისას საფრანგეთში?**

- ეს წინა არჩევნებმა აჩვენა, როდესაც ლე პენი გავიდა და გამარჯვების რეალური შანსის მქონე სოციალისტ ჟოსპენს სულ რამდენიმე ხმით აჯობა, ლე პენის გამარჯვების შიშით, მთელმა სოციალისტებმა შირაკს მისცეს ხმა. საზოგადოების მობილიზება მოხდა, ყველა პოლიტიკაში იყო ჩართული, ყველა არჩევნებზე მივიდა. შირაკმა ხმების 82 პროცენტი მიიღო - ეს არც საფრანგეთში და არც სხვა ევროპულ ქვეყნებში არ ხდება...

**- საფრანგეთში საზოგადოების მობილიზებისთვის ხელისუფლებამ იზრუნა თუ ოპოზიციამ?**

- დიდი მღელვარება სწორედ სოციალისტებში იყო.

**- თბილისში ჩამოსულს, როგორი განწყობით გხვდებათ ჩვენი საზოგადოება, ახლობლები?**

- დათრგუნვას ნამდვილად ვხედავ. შეხება ახლობლებთან მაქვს - ეს ინტელიგენციაა და ძალზე მძიმე მდგომარეობაში არიან. ერთმანეთის დახმარებით არსებობენ და მეც, რა თქმა უნდა, ჩაბმული ვარ ამაში.

მეორე მხრივ, მგონია, რომ ხალხი საკუთარი ხმის დასაცავად მართლა გააქტიურდა. საქართველოს მოქალაქე არჩევანის უფლებას სულ უფრო და უფრო გაიაზრებს და ესმის, რომ ეს არჩევანი კონკრეტულად ახლა უნდა მოხდეს.

**- მოგეხსენებათ, ენერგომატარებლები რუსეთის ხელში გადავიდა და ერთიან ეკონომიკურ სივრცეზეც აქტიურად საუბრობენ. ამ იდეის მომხრეები და ინიციატორები სახელისუფლო ბლოკიდან არიან. ემუქრება თუ არა რაიმე საფრთხე ევროპის ქვეყნების დაინტერესებას ჩვენი ქვეყნით?**

- ევროსაბჭოში კონკრეტულად ამ საკითხებზე საუბარი არ ყოფილა.

ევროპელი ყოველგვარ ინტეგრაციას დადებითად უყურებს. სხვა საქმეა ჩვენი ინტეგრაცია მასთან, ვინც ნამდვილი დამპყრობელი იყო და ახლაც დამპყრობელია. ეს ყველას ესმის. ჩვენი მუშაობით, გამოსვლებით, ანალიზით გამოიკვეთა, რომ საფრთხე ემუქრება ჩვენს დამოუკიდებლობას და ენერგეტიკული დაპყრობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ევროპაში ამის შესახებ წერდნენ კიდეც და ამბობდნენ, რომ გამოსავალი შეიძლება იყოს ნავთობსადენისა და გაზსადენის ამოქმედება, რაც მართლა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ, ასე თუ ისე, ენერგეტიკულად დამოუკიდებელნი ვიყოთ.

ხშირად ვსაუბრობთ ჩვენი წყლისა და ქარის რესურსების მძლავრად ამუშავებაზე - ეს მომავლის ტენდენციაა და უსათუოდ უნდა მოხდეს იმისათვის, რომ "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს".

**- თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი ფრაზა ან თავი წიგნიდან - "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება..."**

- "...და მეჩვენება, რომ თვით ეს სურვილი, სიტყვით გამოთქვა და გაუნაწილო სხვას ის, რასაც შენი წუთისოფელი ჰქვია, უკვე თავისთავად ნდობის აქტია მოყვასის მიმართ..." - თუ არსებობს ლოგო, ჩემთვის სწორედ ეს არის.

**- უკმარისობის გრძნობა ხომ არ გაქვთ?**

- რაღაც ისეთები დავუშვი, რაც არ უნდა დამეშვა. სინანული ისეთი რამ არის, რაც ადამიანის არსებობასთან ახლავს. ადამიანი რაღაცას უფიქრდება და ნანობს - ამით მთელი ჩემი ცხოვრებაა გამსჭვალული და ამ წუთსაც ეს მახლავს.

თუმცა, წიგნი სულ ახლახან გამოვიდა, ამიტომაც გატაცებული ვარ და, უბრალოდ, მიყვარს იგი.

> პოლიტიკაში ჩემი აშკარა პოზიცია შეურიგებლობისადმი შეურიგებლობაა. საშინელებაა, როცა შეურიგებლობა ერის მამოძრავებელ თვისებად იქცევა. ეს იწვევს აგრესიას.



> ისევ ამოტივტივდა ცნებები "ერის მოღალატე", "აგენტი." ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ერის მოღალატედ ითვლება - ეს დამღუპველია.



> ჩვენი მთავარი კოზირი დემოკრატიაა. სწორედ ამით იწვევს საქართველო ინტერესს.

სვეტი



# სიზმარი ცხელი ზაფხულის ღამეს

ბორის ცოცხალაშვილი

სიზმარი მესიზმრა...

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2 ნოემბერს დაენიშნათ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 20 მილიონი ლარი გამოუყვეს, - არაფერი მოიკლოთ, თუ დაგჭირდათ, კიდევ დაგიმატებთო.

პოლიტიკური ორგანიზაციები საარჩევნო კომისიებიდან თავიანთ წარმომადგენლებს ხსნიდნენ, - შედეგების განსაზღვრაში შემთხვევით არ შეცდნენ, საქვეყნოდ თავი მოგვეჭრებაო, - და ამომრჩეველს ემუდარებოდნენ: "ხალხო, არ დაგვლუპოთ, არ აგვირჩიოთ, სხვები ჩვენზე ღირსეულები არიანო!"

დეპუტატობის კანდიდატები ერთმანეთს გადაემტერნენ, - სიაში ბოლო ადგილების განაწილებისათვის, მაჟორიტარები კი საკუთარ კანდიდატურებს ხსნიდნენ და სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვადასხვა ინსტანციაში ასაჩივრებდნენ, - არ გვინდა დეპუტატობაო, უცაბედად პარლამენტში არ მოვხვდეთო. "აღორძინება" აჭარის მოსახლეობას დაემუქრა, - ხმების 20 პროცენტზე მეტს თუ მოგვცემთ, თვითლიკვიდაციას გამოვაცხადებთო. სახელისუფლო ბლოკმა კი ქვემო ქართლის მოსახლეობას მოწოდებით მიმართა, – ყველა ხმა გაერთიანებულ დემოკრატებსო! ნაციონალებმა და ლეიბორისტებმა ბლოკი შეკრეს და ადგილების ნახევარი სახელისუფლოს კანდიდატს დაუთმეს, - ვაითუ, თავისი სიით ვერ გავიდნენო. მსხვილი ბიზნესმენები რიგში ჩადგნენ, - ბიუჯეტში გადასახადები არ დავაგვიანოთო. ბენზინისა და სიგარეტების იმპორტიორებმა კი კოლექტიური საჩივარი დააწესეს, - საბაჟოს აღრიცხვა ეშლება, ნაკლებს გვახდევინებენო. საგადასახადოს მუშაკებმა ბაზრობებზე თავიანთი პრემიებით ნაყიდი აქციზირებული საქონელი მიიტანეს, - თუ ვინმეს შემთხვევით უაქციზო აღმოაჩნდა, იქვე შეცვალეთო.

საგზაო ინსპექტორები მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს საკუთარი ჯიბიდან ხუთ ლარს უხდიდნენ, მთვრალებს კი თუმანს უმატებდნენ "პახმელიაზე" გამოსასვლელად.

ქვეყნის ბიუჯეტი 50 მილიარდამდე ავიდა, სოციალური დახმარებების სიმრავლე კი მოსახლეობისათვის აუტანელი გახდა. საყოველთაო აქციები მხოლოდ იმის შემდეგ დაიშალა, როცა შეჰპირდნენ – კარგით, თქვენებურად იყოს, დენის ტარიფს 3 თეთრზე ნაკლებს არ დავაწესებთო.

ნავთობისა და გაზსადენებიდან მიღებული მოგება თანაბრად იყოფოდა და მოსახლეობას პირად საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდა. საქართველოს ენერგო კომპანიებმა რუსეთის "გაზპრომის", "იტერასა" და "რაო აესის" აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინეს.

"იმედის ქალაქი" მთელს ზღვისპირეთში გაშენდა. მსურველებს ბინებს უფასოდ ურიგებდნენ, - ოღონდ საქართველოს მოქალაქე იყავიო.

რუსეთი ჩვენს მთავრობას ეხვეწებოდა, - ბაზები გაგვაყვანინეთ და, რამდენსაც იტყვით, იმხელა კომპენსაციას მოგცემთო.

არძინბამ გაერო საჩივრებით აიკლო, - საქართველოს შემადგენლობაში ჩხორონწყუს სტატუსით არ მაბრუნებენ, ავტონომიას მეტი ეკუთვნისო. სამაჩაბლოში რეფერენდუმი ჩატარდა, - სახელწოდება "სამხრეთ ოსეთი" "ჩრდილოეთ ქართლით" შევცვალოთო. კოკოითი დაიმუქრა, - ხალხის ნებას თუ არ აღასრულებთ, ყველანი როკის გვირაბში შევალთ და თავს ავიფეთქებთო.

ხელისუფლებამ მინიმალური ხელფასი 1000 ლარით განსაზღვრა და მილიონ ნახევარი სამუშაო ადგილი შექმნა - ნაირ-ნაირი ორგანიზაციის პრეზიდენტის და დირექტორის თანამდებობებით. უცხოეთში საშოვარზე წასულები სამშობლოში გამოქანდნენ, - სხვებმა არ დაგვასწრონ ამ ადგილების დაკავებაო.

მინისტრებმა და ჩინოვნიკებმა განცხადებები დაწერეს სამსახურიდან წასვლაზე, - არაკომპეტენტურები და კორუმპირებულები ვართო. ფინანსთა სამინისტროს გრაფიკის მიხედვით, მოსახლეობას დაგვიანებული პენსია-ხელფასები ორ დღეში დაუფარეს და კიდევ ერთი წლის დაუმატეს, – აი, ასე, ახია თქვენზეო!

გმირთა მოედანზე დატაცებული და მითვისებული ხალხის ქონების "სბორნი" პუნქტი გახსნეს და დაბრუნებული ველარ ეტეოდა. მეგაფონებით აცხადებდნენ, - რა მოგივიდათ, ხვალამდე მოითმინეთ, თავისუფლებისა და რესპუბლიკის მოედნებზე ფილიალებს მოვაწყობთ და ყველას გეშველებათო. გაერო-მ და ნატო-მ თავიანთი შტაბ-ბინები ზემო სურამში და ქვემო მაჩხაანში გადმოიტანეს, - აქ საუკეთესო სამუშაო პირობებიაო. ევროკავშირს კი უარი ეთქვა, - თქვენი დემოკრატიულობის დონე არ გვაკმაყოფილებსო. მსოფლიო ბანკმა დოლარისა და ევროს კურსი ლარს მიაბა, როგორც ყველაზე სანდო და სტაბილურ ვალუტას, და სესხი გვთხოვა მსოფლიოში კრიზისული მოვლენების მოსაგვარებლად.

თბილისის "დინამომ" კახა კალაძის ორი ავტოგოლის შედეგად ევროლიგის თასი მოუგო „მილანს", ბოლნისის "სიონმა" კი თავისი შვეიცარიელი "სეხნია" უეფა-ს ტურნირის ფინალში გაანადგურა. ბექჰემი და რონალდო გორის "დილას" მწვრთნელ მარჩელო ლიპიზე განაწყენდნენ, - გუნდში არ გვიღებს, ქინქლაძე და ჯანაშია ურჩევნიაო. ნახალოვკელებმა ფული შეაგროვეს და მადრიდის "რეალი" იყიდეს, ვაკელებმა კი, მათ ჯინაზე - „ფერარის" ფორმულა-1-ის საჯინიბო "ვაგონკავებთ" ვაკე-საბურთალოს გზაზე.

საპარლამენტო ოპოზიციამ ერთხმად დაუჭირა მხარი უმრავლესობის წინადადებას - პრეზიდენტის მმართველობის ვადის გაგრძელებას 2020 წლამდე...

ქართველმა კოსმოსურმა ექსპედიციამ მარსზე და ვენერაზე ახალი რეფლექტორები გაშალა...

...უცებ გამეღვიძა...

"ღამის კურიერის" გამოშვებაში სახელისუფლო ბლოკი და ოპოზიცია ერთმანეთს ლანძღავდნენ. ეკრანის ქვემოთ მორბენალი სტრიქონი იუწყებოდა, რომ საპარლამენტო არჩევნები 2 ნოემბერს დაუნიშნავთ.

# დასავლურად შეფუთული ქართული ფოტოსკოლა

*ლონდონური „ტაიმსის" საკვირაო ჟურნალის The Sunday Times Magazine –ის 2003 წლის 20 ივლისის ნომერი იუწყება, რომ იან პერის სახელობის, პრესტიჟული ფოტოჟურნალისტიკის კონკურსის გამარჯვებულია ლონდონის ხელოვნებისა და დიზაინის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბესო უზნაძე; და იქვე აქვეყნებს კონკურსში გამარჯვებულ ფოტოებს. გამარჯვებულის უკვე სავიზიტო ფოტო-ნამუშევარს კი ჟურნალი ასე ასათაურებს: "შესაძლებლობების ფანჯარა" (window of opportunity). მაინც, როგორ გაეხსნა ქართველ ფოტოგრაფს შესაძლებლობების ფანჯარა დასავლეთში? - გაზეთი „24 საათი" შეხვდა და ესაუბრა სამშობლოში სტუმრად ჩამოსულ ფოტოჟურნალისტს.*

თეონა ჯაფარიძე

"აქ ფოტოს გადაღების სწავლა შეიძლება, დასავლეთში კი მხოლოდ მის გაყიდვას ისწავლის კაცი," – დაასკვნა ბესომ მას შემდეგ, რაც ბევრი ვისაუბრეთ ქართულ თუ უცხოურ ფოტო-სკოლებზე, ლონდონში მის ორწლიან ცხოვრებასა და უკვე საინტერესო შემოთავაზებებზე.

ყველაფერი დაიწყო "სექენდ ჰენდში" ნაყიდი ფოტოაპარატითა და დიზაინერ გუგა კოტეტიშვილის რჩევით, რომ იმხანად ახლად გახსნილ დათო ცხადაძის ფოტოსკოლაში მისულიყო. "ცხადაძის ფოტოსკოლაში სწავლის პერიოდში მივხვდი, რომ ფოტოგრაფია იყო ერთადერთი საქმე, რაც მთელი ცხოვრება უნდა მეკეთებინა. ჩვენ ფოტოსკოლის პირველი, 1999 წლის გამოშვება ვიყავით. თბილისში იმ წელს, თითქმის, ყველა გამოფენასა თუ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ მე უფრო მეტი და მეტი მინდოდა. სერიოზულ ფოტოგრაფად რომ შევმდგარიყავი, გადავწყვიტე ევროპაში მესწავლა, რაც, მოგეხსენებათ, ადვილი საქმე არ არის. მალე შევიტყე ლონდონის ხელოვნებისა და დიზაინის ინსტიტუტის შესახებ და ჩემი მონაცემები სწორედ იქ გავაგზავნე." მონაცემებში იგულისხმებოდა თბილისური ფოტოსკოლის სერთიფიკატი და ფოტონამუშევრები. მომავალში სწორედ ამ პერიოდის ერთ-ერთი ფოტო (რომელზედაც აღბეჭდილია ჩეჩენი გოგონა, რომელიც ომში დაკარგული ახლობლების ფოტოს გვიჩვენებს) ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ გამოცემაში დაიბეჭდება სააგენტოების - Magnum-ის, Panos Pictures-ის, Reuters-ის და Associated





*ბესო უზნაძის ფოტონამუშევრები ციკლიდან "სტალინი", რომლებიც "ტაიმსში" გამოქვეყნდა*

Press-ის ფოტოების გვერდით. სოციალური და პაციფისტური შინაარსის მიუხედავად, ამ ნამუშევარს მხატვრული ფოტოს კატეგორიას მიაკუთვნებენ. მაგრამ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ....

2000 წელს ქართველი ფოტოგრაფი ყველაზე პრესტიჟული ინსტიტუტის არტისა და დიზაინის კოლეჯში ჩაირიცხა. ცნობისათვის: ლონდონის ხელოვნებისა და დიზაინის ინსტიტუტი ხუთ კოლეჯს მოიცავს. სწორედ ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით კომპლექტდება ყოველწლიურად დასავლური არტ-ინდუსტრია და ცნობილი დიდი გამომცემლობები. თავის დროზე სწორედ ლონდონის ეს ინსტიტუტი დაუმთავრებიათ ისეთ ცნობილ პიროვნებებს, როგორებიც არიან: პირს ბროსნანი, ჯონ ჰარტი, სტელა მაკარტნი, ჯონ გალიანო და სხვები.

"სულ ცოტა ხანში მივხვდი, რომ იქ ახალს ვერაფერს ვისწავლიდი. სტუდიური ფოტო-არტი ჩემი სტიქია არ იყო. მე დოკუმენტური ფოტო უნდა მეკეთებინა და ფოტოჟურნალისტიკაში მემუშავა. ამიტომ ერთი წლის შემდეგ სწავლა იმავე ინსტიტუტში, ოღონდ საგამომცემლო კოლეჯში, გავაგრძელე. დავალებების შესასრულებლად ყოველ დღე გავდიოდი, რეპორტაჟი კი კვირის ბოლოს მიმქონდა პედაგოგთან. ეს ჩემთვის უფრო ადაპტაციის პერიოდი იყო. ფოტოს გადაღებისას კი ისევ ცხადაძის პრინციპებით ვხელმძღვანელობდი. საერთოდ, ძნელია, ჩასწვდე დასავლურ პრინციპს და გააკეთო დოკუმენტური ფოტო ისე, რომ თან კომერციულიც გამოვიდეს", - ამბობს ბესო.

მისმა სადიპლომო ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა პროფესიონალთა წრეებში. ეს გახლავთ სოფლის ამბავი, რომელსაც 28 ფერადი ფოტო გვიამბობს. "დიპლომზე სამუშაოდ სპეციალურად საქართველოში ჩამოვედი. გადაღებები ჩემს სოფელში, მეჯვრისხევში დავიწყე. კარგად ვიცნობდი ამ გარემოს და ვიცოდი, ფოტოები აუცილებლად ფერში უნდა გამეკეთებინა. მათზე სამ დღეს ვმუშაობდი და 15 ცალი ფირი დავხარჯე ("ფუჯი-800"). სოფლის სერიის შესახებ ჟურნალი The Sunday Times Magazine წერდა: "მშობლიურ სოფელ მეჯვრისხევში დაბრუნებულ ბესო უზნაძეს დიდი სიურპრიზი დახვდა – ვიღაცის უჩინარ ხელს საბჭოთა კავშირის დამხობის დროს ჩამოგდებული სტალინის ქანდაკება ისევ თავის ადგილზე დაებრუნებინა"; "სტალინი წარმოშობით საქართველოდან იყო და ის აქაურებს, განსაკუთრებით კი მოხუცებს, დღესაც ძალიან უყვართ," – უხსნის ჟურნალის კორესპონდენტს ბესო უზნაძე.



დიპლომისა და იან პერის კონკურსის შემდეგ მომავალ ფოტოჟურნალისტს შესაძლებლობა მიეცა, ცნობილ გაზეთ "გარდიანს" თავისი იდეები და პროექტები შესთავაზოს. სწორედ "გარდიანისთვის" აპირებს ფოტოგრაფი სტალინზე სერიის შექმნას. "ვიდრე ეს კონტაქტები ცხელია, მინდა, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენო. მე უკვე მიყვარს ლონდონი, სადაც მთელი სიმდიდრე – "ფუჯისა" და "კოლორის" ფირები მელოდება", - ამბობს ფოტოჟურნალისტი.

# That`s Right!

ვიქტორ ბეილიმ Jazz-Breake-ის არსებობა გაამართლა

ვერა ნეფარიძე

"ნოა-ნოას" ახლად დამკვიდრებული ტრადიციის "ჯაზ-ბრეიქის" ერთადერთი ოკეანისგაღმელი (იგულისხმება ბეილის ჯგუფი) სტუმრის კონცერტი კლუბში უხვსტუმრიანობით აღინიშნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "კავკასიაში ჯაზის მაღალ დონეზე განვითარების" (როგორც ორგანიზატორებს ეწერათ პრეს-რელიზებში) მიუხედავად, ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს სრულიად სამართლიანად მაინც ამერიკული ჯაზი იმსახურებს. ვიქტორ ბეილიმ გუშინწინ ჩვენი მოლოდინი გაამართლა.

კლუბ "ნოა-ნოას" ჩანაფიქრი – ამიერკავკასიელი ჯაზმენების დემონსტრირება, აზერბაიჯანელი მუსიკოსების "წყალობით," პირველ ეტაპზე, ნაწილობრივ, განხორციელდა. იმედია, ჩვენი მეზობლები შემდეგ ჯერზე აუცილებლად მიიღებენ თბილისიდან მიწვევას და, ყალბი მიზეზების გარეშე, მოისურვებენ "ჯაზ-ბრეიქში" მონაწილეობას. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის "ნოა-ნოას" ტრადიციას გარკვეული წონა ექნება, რაც უკვე მისი პირველი ვარსკვლავის, ამერიკელი მუსიკოსის ვიქტორ ბეილის დამსახურებაა. აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, პირველ "ჯაზ-ბრეიქზე" გამოსვლას უყოყმანოდ დასთანხმდა ვიქტორ ბეილი. ჯაზის პირველი კლასის ბას-გიტარისტი თბილისში მესამედ, ამჯერად საკუთარ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა.

"ჯაზ-ბრეიქის" მესამე ანუ ბოლო დღეს, რამდენიმე მიზეზის გამო, განსაკუთრებულად ელოდნენ ჯაზის მოყვარულები. ეს მიზეზები, რასაკვირველია, მხოლოდ ვიქტორ ბეილის უკავშირდება. პირველ რიგში, ინტერესი გამოწვეული იყო ცნობილი მუსიკოსის ახლად შექმნილი ჯგუფით. როგორც ცნობილია, ბეილიმ ჯგუფი რამდენიმე თვის წინათ ჩამოაყალიბა ისეთი გამოცდილი და უმაღლესი კლასის ჯაზმენებისგან, როგორებიც არიან: ბენი მოპინი (საქსაფონი, ბასკლარნეტი), სკოტ სპიკერი (დრამერი) და პეტერ ჰორვატი (ქიბორდი). აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანის შემოქმედებითი ბიოგრაფია უკავშირდება ჯაზის კორიფეებს, რაც ჯაზმენის ცხოვრებაში, ტრადიციულად, ე.წ. "ტრამპლინის" როლს ასრულებს. სამივე მათგანის პროფესიონალიზმში ქართველი მელომანები გუშინწინ დარწმუნდნენ.

თბილისში ბეილის წინა ორ კონცერტს ვერ დავესწარი და ამიტომაც გუშინწინდელ კონცერტთან მათ შედარებას ვერ შევუდგები. მაგრამ, ბეილის უკანასკნელმა კონცერტმა რომ მოლოდინს გადააჭარბა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ გახლავთ. თუმცა, შედეგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, კლუბში ტექნიკური ხარვეზები რომ არ ყოფილიყო. მართალია, ბეილის პროფესიონალიზმი ამ ხარვეზების უნაკლოდ "გადაფარვაშიც" ნათლად გამოჩნდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ვარსკვლავების იმედად დარჩენას არ ვურჩევდი. ისევ და ისევ ტექნიკური პრობლემების გამო, გუშინწინ დაგეგმილი ამერიკული ვიდეო-არტის ჩვენება ("ქარავან სარაის კოლექციიდან" წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამი ვიდეოფილმი) ჩაიშალა. ეჭვი არ გვეპარება, რომ მომავალი "ჯაზ-ბრეიქისთვის" "ნოა-ნოა" სრულ მზადყოფნაში - ტექნიკურად გამართული იქნება. გუშინწინ კი ამერიკელმა ჯაზმენებმა მოახერხეს და აუდიტორიის მთელი ყურადღება საკუთარ პროფესიონალიზმს მიაჯაჭვეს.

გუშინწინდელი კონცერტი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ის სხვადასხვა მუსიკალური გემოვნების მსმენელის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ეს არცაა გასაკვირი ისეთი მუსიკოსებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში თანამედროვე ჯაზში მუშაობენ. ეს მიმდინარეობა კი თანდათან სწორედ იმით ხიბლავს მსმენელს, რომ აერთიანებს ჯაზის საუკეთესო ტრადიციებს, თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ენერგიასა და ჟღერადობას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ჯაზი ბოლო დროს მსოფლიოს, თითქმის, ყველა ქვეყანაში თაყვანისმცემლების ახალ ნაკადს იკრებს. შეიძლება ითქვას, რომ იგივე სურათია თბილისშიც - ჯაზური მუსიკის კონცერტებზე თანდათანობით იზრდება აუდიტორიის რაოდენობა და მრავალფეროვანი ხდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ამის დადასტურება იყო "ნოა-ნოაში" შეკრებილი აუდიტორიაც.

გუშინწინდელ საღამოს, შეიძლება ითქვას, ორი ტიპის მსმენელი ჰყავდა: ჯაზის თაყვანისმცემლები და ე.წ. "კლუბერები". შავკანიანმა სტუმარმა გამოსვლისთანავე მოიპოვა ორივე ტიპის სტუმართა პატივისცემა, რაც ბეილის სახელგან-





*ცხელი ჯაზი "ნოა-ნოა"-ში*

თქმული ელექტრონული ბას-გიტარის გარდა, თავად მუსიკოსის კომუნიკაბელობის დამსახურებაც იყო. პირველი ათი წუთი, როგორც ხდება ხოლმე, მსმენელის "აზრზე მოყვანას" დაეთმო (სწორედ ამდენი დრო მისცეს პრესას კონცერტის გადასაღებად). შემდეგ კი სცენიდან გამუდმებით ისმოდა საკმაოდ ექსპრესიული ჯაზი, რომელიც, ბენი მოპინის დამსახურებით, დროგამოშვებით მაილს დევისსაც გაგახსენებდათ. სხვათა შორის, მოპინი თავის დროზე, დევისის გარდა, ჰერბი ჰენკოკთანაც თანამშრომლობდა და ის მოდერნ-ჯაზის თვალსაჩინო წარმომადგენლად მიიჩნევა.

ვიქტორ ბეილი ჯაზის ის იშვიათი ბას-გიტარისტია, რომელიც მუსიკაში მელოდიურობას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. თბილისურ კონცერტზე ბეილის კომპოზიტორული შესაძლებლობებიც მოიწონეს. განსაკუთრებული იყო ჯაკო პასტორიუსისადმი მიძღვნილი Continuum, რომელიც ბეილის მუსიკოსის გარდაცვალებიდან ერთ კვირაში დაუწერია. და ბოლოს, კონცერტის დასასრულს საკუთარი სიტყვა თქვა დრამერმა სკოტ პიკერმა. ბისზე გამოსულმა ბეილიმ კი მხოლოდ ჰიტების ინტერპრეტაციები გვაკმარა. მუსიკოსი დაღლილი ჩანდა, თუმცა დასვენება, ალბათ, თვითმფრინავში შეძლო. ამერიკელი ჯაზმენები თბილისიდან ვენაში გაემგზავრნენ - ავსტრიაში მათ ორი კონცერტი აქვთ დაგეგმილი.

შოუბიზნესი

## შინეიდ ო`კონორი მესამე ბავშვს ელოდება



პოპულარულ ირლანდიელ მომღერალს რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი გაუჩნდა იმისათვის, რომ დაასაბუთოს, თუ რამდენად საჭიროა მისთვის შემოქმედებითი პაუზა. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მსოფლიო მასმედიის საშუალებები გვამცნობენ, რომ შინეიდ ო`კონორი მესამე ბავშვს ელოდება. ყველაზე საინტერესო ამ ისტორიაში ისაა, რომ 36 წლის მომღერალი არ არის დარწმუნებული, ვინ არის ბავშვის მამა. თუმცა, ეჭვი აქვს მამაკაცზე, რომელთანაც ამ ზაფხულს ერთდღიანი რომანი ჰქონდა.

მანამდე მომღერალმა იმით მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება, რომ მუსიკალური სცენიდან წასვლის შესახებ განაცხადა. ინფორმაცია დაადასტურა კომპანია Vanguard-მაც, რომელთანაც შინეიდი თანამშრომლობს. ამ გადაწყვეტილების მიზეზად მუსიკოსიც და მისი ახლობლებიც დაღლილობას ასახელებდნენ. ასე რომ, ირლანდიელი მუსიკოსის უკანასკნელ (ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ შემოქმედებით პაუზამდე) ჩანაწერად, შეიძლება, მივიჩნიოთ დოკუმენტური ვიდეო-დისკი სახელწოდებით Goodnight, Thank You. You've Been a Lovely Audience, რომელიც ივლისში გამოვა. "ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ დროისათვის, რომელიც ერთად გავატარეთ; იმ გაკვეთილებისთვის, რომელიც ერთად გავიარეთ", - ასე ასრულებს თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვას თავგადახოტრილი ირლანდიელი ქალბატონი.

## იგლესიასის საქმე სასამართლოშია



ენრიკე იგლესიასსა და მის პროდიუსერს სტივ მორალესს სიმღერის მოპარვაში ადანაშაულებენ. საუბარია 2001 წლის ალბომ Escape-ში შესულ ერთ-ერთ ჩანაწერზე, რომელზეც მითითებული არ არის, რომ მისი ავტორი ჰენრი ლორენცო ჰაინსია.

ჰაინსს იგლესიასმა 2001 წლის დასაწყისში სიმღერების შეთხზვა სთხოვა და მასთან კონტრაქტიც გააფორმა. შემდეგ მისგან სიმღერა Remind Me შეიძინა, მაგრამ ალბომის გამოშვების დროს ეს ფაქტი დაივიწყა და არსად მიუთითა, რომ ავტორი ჰაინსი იყო. მან საკუთარი სიმღერა საავტორო უფლებით 2001 წლის 16 ივლისს დააზღვია, იგლესიასმა კი Remind Me რეგისტრაციაში 2001 წლის 5 დეკემბერს გაატარა. ახლა მტყუან-მართალი უნდა გაირკვეს ფედერალური სარჩელით, რომელიც სასამართლოში ჰაინსმა შეიტანა.

## სიახლე იაპონური ხელოვნების ბაზარზე

ნიუ იორკი თავისი MOMA-თი (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმით) ამაყობს, ლონდონი - ტეიტის თანამედროვე ხელოვნების გალერეით, ტოკიოს დღემდე ამ სფეროში საამაყო არაფერი ჰქონდა. მეტიც, ცნობილი თანამედროვე იაპონელი ხელოვანები - იოკო ონო, მარიკო მორი და ტაკაში მურაკამი კარიერას ნიუ იორკში იწყებდნენ და მშობლიურ ქვეყანაში თავს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე წარმატების მოპოვების შემდეგ იმკვიდრებდნენ.

ტოკიომ შაბათ-კვირას სწორედ ეს შეცდომა გამოასწორა - გაიხსნა მორის მუზეუმი, რომელიც მთლიანად თანამედროვე ხელოვნებას ეძღვნება. დირექტორი აცხადებს: "მსურს, თანამედროვე, განსაკუთრებით კი, იაპონური და აზიური ხელოვნების ნიმუშები გამოვფინო. აზიური ბაზარი ამისთვის მზად არის".

ტოკიოს სხვა მუზეუმები ცენტრიდან შორსაა განთავსებული, მორი კი ქალაქის საქმიანი და გასართობი უბნის "როპონგი ჰილზის" ცენტრშია აღმართული. ამ ადგილას ყოველ დღე, დაახლოებით, მილიონი ადამიანი დადის. 28-აკრიანი გიგანტური ნაგებობის აშენება 1.7 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. მუზეუმს 54-სართულიანი მორის ცათამბჯენში ბოლო ორი სართული უკავია.

ასე რომ, ტოკიოში, სადაც აქამდე თანამედროვე ხელოვნებას დიდ პატივს არ სცემდნენ - მონეს, მანეს, რენუარსა და პიკასოს იქით ვერავის ხედავდნენ, ახლა თანამედროვე ხელოვანების უცნაურ ნამუშევრებს დაათვალიერებენ და, ვინ იცის, იქნებ დააფასონ კიდეც: ტრეისი ემინის აულაგებელი საწოლი და ტაკაში მურაკამის პოპ-არტის სტილში გადაწყვეტილ კარიკატურები...

# მთებს რომ გადაივლი და ზღვებს რომ გადასცურავ...

### ჯადოსნური მხარეები 22-ში

ანა კორძაია-სამადაშვილი

როდესაც კლუბ 22-ში მითხრეს, - გოგა ჩანადირი და მამუკა ბერიკა გამოფენის გამართვას აპირებენ და ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით მომხდარის ჩვენებას გვპირდებიანო, - დარწმუნებული ვიყავი, რომ ზღვების ამბავს, მისი ზღვის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, მამუკა ბერიკა გვიამბობდა. საერთოდ, რასაც უნდა შვრებოდეს და წარმოადგენდეს - მღეროდეს, ფოტოებს იღებდეს თუ სალამურზე უკრავდეს, ბერიკა მაინც მუდამ რაღაცას ჰყვება. მაგრამ შევცდი – მამუკა ბერიკას მიერ წარმოდგენილი ცხრა ფოტოსურათი მთაში, ჰიმალაებში იყო გადაღებული, ხოლო ზღვის, ამ შემთხვევაში ინდოეთის ოკეანის სურათების ხილვას, ფოტოგრაფ გოგა ჩანადირს ვუმადლით.

მამუკა ბერიკამდე, რომელიც ჩინებულად იყო მორთული და თავადაც გამოფენის ექსპონატს ჩამოჰგავდა, იდაყვებით გავიკაფე გზა. პასუხად კითხვაზე, - ზღვა როგორ დათმე-მეთქი, მომიგო, რომ ეს ცალკე თემაა. "ჰო, ზღვა..." ჩაფიქრდა და ჩიბუხს მიეძალა.

გოგა ჩანადირმა კი კონკრეტულად მიამბო გამოფენის ამბავი. როგორც გაირკვა, ეს ორი მამაკაცი "აჭარა მიუზიკლ ჰოლში" შეხვედრია ერთმანეთს და გაურკვევიათ, რომ იმხანად, როცა გოგა ინდოეთის ოკეანეს შესცქეროდა, მამუკა ინდოეთში იყო - ჰიმალაებში. ის, რომ გოგამ ფოტოები გადაიღო, თუნდაც მისი პროფესიიდან გამომდინარე, ბუნებრივი ამბავია. სურათები მამუკასაც გადაუღია და მათი გამოფენაც ჰქონია ჩაფიქრებული. აი, ასე, სულ სხვა გარემოში, არც ზღვის პირას და არც მთის ძირას, არამედ ხმაურიან "აჭარა მიუზიკლ ჰოლში" დაიბადა გამოფენა, რომლის გახსნასაც გუშინ ზანდუკელის ქუჩაზე იმდენი ადამიანი დაეწრო, რამდენიც ამ კლუბში დიდი ხანია, არ მინახავს. ავტორებისთვის ეს, ცხადია, დიდი ქათინაურია, მაგრამ პირადად მე ძალიან გავმწარდი, რადგან ხალხის ნაკადი არ იქნა და არ შეწყდა. ფოტოსურათებამდე მისვლას ვინ ჩიოდა, კარგა ხანს დარბაზშიც კი ვერ შევძვერი.

ეს ხომ ყველამ ვიცით: ცხრათვალა მზე ყველაზე ნათელი მზეა, ცხრათავა დევი – ყველაზე მრისხანე და ამავე დროს - ყველაზე იოლი გასაბრიყვებელი. შხარას ცხრა მწვერვალი ჰქონია და სწორედ ამიტომაა ყველაზე ლამაზი მთა, ხოლო თუ ცხრა ასეთ მთას გადაივლი და მერე ცხრა ზღვას გადასცურავ, უამრავ საოცრებას გადააწყდები: ზაფრანისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ ბრძენებს, ტკბილი, ტკბილი ხილით მოვაჭრეებს, უცხო ღმერთების სალოცავებს – რას აღარა! იმ მხარეებში მზე, მართლაც, ცხრათვალაა, ნაპირს ზურმუხტისფერი ტალღები ასკდება და მეცხრე ტალღაც კი ალერსიანი და თბილია.

თუკი გოგასა და მამუკას გამოფენაზე მოხვდებით, ალბათ, თქვენც ისეთი გრძნობა დაგეუფლებათ, რომ ორ განსხვავებულ მხარეს კი არა, ერთ, ზღაპრულ ქვეყანას ეწვიეთ - ამომავალი მზის მხარეს, ჯადოსნურ აღმოსავლეთს. ამ ტალღებიდან რომ წეროს ბუმბულით შემკული უკვდავი წამოიმართოს, ნამდვილად არავის გაუკვირდება და, რაც მთავარია, იქ ძალიან თბილა. მერე რა, რომ მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები სულ ახლოს ბრჭყვიალებს.



გოგა ჩანადირი და მამუკა ბერიკა 22-ში

# კიდევ ერთხელ ქართული კულტურის დღეებზე

### მოსკოვურ წარმატებებზე კულტურის მინისტრი მონაწილეებთან ერთად საუბრობს

*კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე მოსკოვში გამგზავრებამდე დაგვპირდა, რომ ჩამოსვლისთანავე მონაწილეებთან ერთად მასშტაბურ შეხვედრას მოაწყობდა ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლებთან. მინისტრის თქმით, მოსალოდნელი იყო, შეხვედრა, სამინისტროს შენობის ნაცვლად, სხვაგან გამართულიყო. სესილი გოგიბერიძის მაშინდელი ვარაუდი, ნაწილობრივ, ახდა – მოსკოვში ქართული კულტურის დღეები წარმატებულად დასრულდა, შედეგებზე მოკრძალებული საუბარი კი მონაწილეებსა და ორგანიზატორებს კულტურის სამინისტროში მოუხდათ.*

ვერა ნეფარიძე

"სამი წელიწადია, კულტურის მინისტრი ვარ და ასეთი ტრიუმფი, ასეთი მასშტაბური კულტურის დღეები არსად გვქონია. კმაყოფილები ვართ არამარტო დახვედრით, არამედ - საკუთარი თავითაც. ჩვენ მოსკოვში ღირსეულად წარვდექით", - ასე დაიწყო გუშინდელი შეხვედრა სესილი გოგიბერიძემ, რომელმაც მოსკოვური შთაბეჭდილებები ფესტივალის რამდენიმე მონაწილესთან ერთად გაგვიზიარა. ამჯერად ქართული კულტურის მოღვაწეთა გუნდი მეტად მოკრძალებულად გამოიყურებოდა: ვახტანგ კიკაბიძე, ჯემალ ჭკუასელი და დათო გომართელი. სწორედ მათ დაეკისრათ გუშინ, ესაუბრათ მოსკოვში გამართული ქართული კულტურის დღეების "ტრიუმფზე".

კულტურის მინისტრი კმაყოფილი გახლდათ, რომ კულტურის დღეებს მოსკოვში საუკეთესო დარბაზები დაუთმეს. თუმცა, როგორც საუბარში გაირკვა, დარბაზები არ აღმოჩნდა ტექნიკურ მზადყოფნაში ქართული დელეგაციის საკადრისად მისაღებად. ტექნიკური მომსახურებით (ხმა, განათება და ა.შ) უკმაყოფილება არ დაუმალავს ანსამბლ "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელს. "მოსკოვში ჩვენი საკონცერტო წარმოდგენების 30 პროცენტი არ გვიჩვენებია - არც გახმოვანება ვარგოდა და არც განათება", - თქვა ჯემალ ჭკუასელმა. კონცერტი მოსკოვის ახლად აშენებულ დარბაზში, "მუსიკის სახლში" გაიმართა. "ევროპული სტანდარტებით აშენებულ-გარემონტებულ დარბაზს, მართალია, აკუსტიკასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ჩვენი კონცერტების საერთო აღქმას ეს ხელს დიდად არ უშლიდა", - ასეთი იყო საქართველოს კულტურის მინისტრის კომენტარი დარბაზის ტექნიკურ წუნთან დაკავშირებით.

"ქართულ კულტურას რუსეთში სხვა იმიჯი აქვს. ვუყვარვართ თუ არა რუსებს, ეს კიდევ სხვაა, მაგრამ რუსეთი ხომ მარტო მოსკოვით არ ისაზღვრება", - მოსკოვში გამართული კულტურის დღეებით, ასევე, კმაყოფილია ვახტანგ კიკაბიძე.

საბოლოო ჯამში, ქართული დელეგაცია მოსკოვიდან აღფრთოვანებული დაბრუნდა. მოსკოვის მხრიდან იყო ცალკეული შეთავაზებებიც, თუმცა კონკრეტულად რომელიმე მათგანზე საუბარი ნაადრევია. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი დონის მორიგ ღონისძიებას, სესილი გოგიბერიძის თქმით, ალბათ, მომავალ წელს, შემოდგომაზე თბილისში მსგავსი ტიპის ღონისძიება გაიმართება - რუსული კულტურის დღეები.



ბუბა კიკაბიძე და სესილი გოგიბერიძე კულტურაზე მსჯელობენ




# ევიტას ყელსაბამი აზიაში გაემგზავრა

ნიუ იორკში, "კრისტის" აუქციონზე უზარმაზარ ფასად გაიყიდა ევა პერონის ყელსაბამი. ბრილიანტისა და ლალის თვლებით გაწყობილი სამკაული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშია დამზადებული. დიდი ზომის 11 ლალის თვალს გარს არტყია ბრილიანტები, რომლებიც ერთმანეთს ებმის და ბრილიანტითვე მოოჭვილ ოქროსა და ვერცხლის ყელსაბამს უერთდება. ამ უძვირფასეს სამკაულს არგენტინაში ყველა კარგად იცნობს, რადგან სწორედ ის უკეთია ყელზე ევიტას თავის ერთ-ერთ პორტრეტზე, რომელიც საფოსტო მარკებზეა გამოსახული.

ახლა ევიტას ყელასბამი აზიელი სამკაულების დილერის საკუთრებაა. მან ამ ძვირფას ნივთში 466.700 დოლარი გადაიხადა – თითქმის, ორჯერ მეტი, ვიდრე "კრისტის" ექსპერტები იმედოვნებდნენ აუქციონის გამართვამდე.

# ჯერი ჰოლი - მისის რობინსონი

ლოს ანჯელესში 26 ოქტომბრამდე უჩვენებენ ცნობილი კინოფილმის "კურსდამთავრებულის" სასცენო ვარიანტს, რომელშიც მისის რობინსონის როლს ჯერი ჰოლი ასრულებს. ეს როლი მიკ ჯაგერის ყოფილ მეუღლეს ლონდონის სცენაზეც განუსახიერებია, მაგრამ ლოს ანჯელესელ მაყურებელთან შეხვედრა მას განსაკუთრებით გაუჭირდა. "ძალიან ვნერვიულობდი, მგონი, თვითონ ლოს ანჯელესს აქვს ისეთი აურა, რომ სცენაზე გასვლა აქ ყოველთვის მეშინია", - განუცხადა მან "ლოს ანჯელეს ტაიმსს". პრემიერის შემდეგ გამართულ წვეულებაზე ჯერი ჰოლი თავის გერთან ქერის ჯაგერთან ერთად გამოცხადდა და კოლეგა-მსახიობებისგან ბევრი ქებაც დაიმსახურა.

ჯერი ჰოლამდე ბროდვეიზე მისის რობინსონის როლს ქეთლინ ტერნერი თამაშობდა, 1967 წელს გამოსულ ფილმში კი - ენ ბენკროფტი.



ჯაგერობიდან რობინსონობამდე

ფეხბურთი

# "Adidas"-ი პოზიციებს თმობს

საფეხბურთო ეკიპირებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ნებისმიერი კლუბის ცხოვრებაში. განსაკუთრებით კი ეს ფინანსურად არის საინტერესო და სახარბიელო. მოთამაშეების მაისურებსა თუ ბუცებზე გამოსახულ საფირმო ნიშნებს კლუბების ბიუჯეტში დიდი შემოსავალი მოაქვთ. გერმანიაში, რომელიც სამარკო ნიშან "Adidas"-თან ასოცირდება, ამ სფეროში დიდი მღელვარებაა ატეხილი. "Adidas"-ისა და "Nike"-ს კონკურენციამ პიკს მიაღწია.

გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, კევინ კურანი, რომელიც "შტუტგარტს" წარმოადგენს, ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ფირმა "Puma"-ს ეკიპირებით გამოცხადდა. "ახლავე გამოიცვალე!" – ეს იყო პირველი, რაც მას ნაკრებში უთხრეს. საქმე ის არის, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრები, უკვე 48 წელიწადია, "Adidas"-თან თანამშრომლობს. იმის სანაცვლოდ, რომ გუნდი მხოლოდ ამ ფირმის ეკიპირებით იმოსება, გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია "Adidas"-ისგან ყოველწლიურად 2,5 მილიონ ევროს იღებს. ახლანდელი კონტრაქტი 2010 წლამდე ძალაშია და, სავარაუდოდ, კიდევ გაგრძელდება. შედარებისთვის: ბრაზილიის ნაკრებს ფირმა "Nike" მოსავს და ათწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას 350 მილიონ ევროს უხდის!

დავუბრუნდეთ კურანის. 21 წლის თავდამსხმელს "Puma"-სთან პირადი ხელშეკრულება აკავშირებს და ამ ფირმისგან ყოველწლიურად 50 ათას ევროს იღებს. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის კანონის მიხედვით, ნაკრების ყოველი ფეხბურთელი "Adidas"-ს უნდა ანიჭებდეს პრიორიტეტს.

მალე გერმანელი საფეხბურთო ჩინოვნიკები სერიოზული პრობლემის წინაშე დადგებიან. ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელები, რომლებიც ნელნელა მკვიდრდებიან ნაკრებში, სწორედ "Nike"-ს ანიჭებენ დიდ უპირატესობას. ეს ამერიკული კონცერნი ელვის სისწრაფით იპყრობს გერმანიის საფეხბურთო ბაზარს. უკანასკნელ ხანს "Nike"-მა გერმანიის ნაკრების 7 ფეხბურთელი "წაართვა" "Adidas"-ს. მაგალითად: კრისტოფ მეცელდერმა "Nike"-თან გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც 22 წლის დორტმუნდელი 450 ათასი ევროთი გამდიდრდება. მიროსლავ კლოზე ამერიკელებისგან წელიწადში 150 ათას ევროს იღებს. კლოზესთან დაკავშირებით ასეთი კითხვაც გაისმის: შეძლებს კი ის ოდესმე "ბაიერნში" გადასვლას? მიუნხენური კლუბი ხომ მჭიდროდ თანამშრომლობს "Adidas"-თან. ფეხბურთელის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ ამასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნება და დევიდ ბექჰემის მაგალითი მოაქვთ. შეგახსენებთ, რომ "მანჩესტერში" გამოსვლისას ბექჰემი "Adidas"-ის ბუცებით თამაშობდა, მაშინ როდესაც "მანჩესტერს" "Nike" მოსავს.

სპორტული ეკიპირების ორი გიგანტის დაპირისპირება გრძელდება. "Nike"-ს უახლოეს გეგმებშია "მიუნხენ 1860"-ის პერსპექტიულ თავდამსხმელთან, ბენიამინ ლაუტთან კონტრაქტის გაფორმება. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე დორტმუნდის "ბორუსიასა" და "Nike"-ს შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულების თანახმად, გერმანული კლუბი წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს. რას აკეთებს ამ დროს "Adidas"-ი? გერმანული ფირმა დიდ წინააღმდეგობას უწევს ამერიკელებს. ტორსტენ ფრინგსი, სებასტიან კელი და პაულ ფრაიერი სწორედ "Adidas"-ის ახალი სახეები არიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანულ კონცერნთან ოლივერ კანს და მიხაელ ბალაკსაც აკავშირებთ ხანგრძლივი კონტრაქტები.

მიუხედავად ამისა, ბაზრის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამერიკელ გიგანტთან "Adidas"-ს არავითარი შანსი აღარა აქვს. "Nike" გერმანელებზე გაცილებით დიდ თანხებს ხარჯავს სარეკლამო საქმიანობაზე და სპორტსმენებს ბევრად უფრო დიდ კონტრაქტებს სთავაზობს. თანაც, ნაკრების ფეხბურთელები მოითხოვენ, მათ მისცენ იმ ფირმის ეკიპირების ჩაცმის უფლება, რომელსაც თავად აირჩევენ. ახალი თაობის გერმანელი სპორტსმენები კი "Nike"-ს ანიჭებენ უპირატესობას.

# ჯემბა-ჯემბა: "ვეცდები, ფოე შევცვალო"

*მიმდინარე სეზონის წინ ის "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა და მას შემდეგ ამ გუნდის შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს. ამ ინტერვიუში 22 წლის კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბა თავის ახალ კლუბსა და მარკ-ვივიენ ფოეზე საუბრობს.*


ჯემბა-ჯემბა "მანჩესტერში" დამკვიდრებას ცდილობს

**- მიმდინარე სეზონის დაწყებიდან "მანჩესტერში" თამაშობთ. რას ნიშნავს ეს ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, როგორიც თქვენ ხართ?**

- ცხადია, ეს უდიდესი წარმატებაა. "ნანტთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში უკვე ვითამაშე ორი მატჩი, მაგრამ "მანჩესტერი" სულ სხვა სამყაროა. აქ მე განვითარება შემიძლია და ბევრს ვისწავლი. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. აფრიკის თასზე გავიმარჯვე, ვითამაშე მსოფლიო ჩემპიონატზე და კონფედერაციის თასზე. მადლობას ვწირავ უფალს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი 22 წლის ასაკში განვიცადე.

**- როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება "მანჩესტერზე"?**

- აქ უდიდესი პროფესიონალიზმია. "იუნაიტედი" უდიდესი კლუბია და მისი ყოველი თანამშრომელი გუნდის წარმატებისთვის მუშაობს.

**- როგორია თქვენი უახლოესი მიზნები პირად ცხოვრებაში და გუნდთან ერთად?**

- მინდა, ბევრი რამ ვისწავლო, რომ რაც შეიძლება მეტ მატჩში მივიღო მონაწილეობა. კონკრეტულ ამოცანებს არ ვისახავ.

**- თქვენ "ნანტიდან" გადახვედით "მანჩესტერში". რა განსხვავებაა ფრანგულ და ინგლისურ ფეხბურთს შორის?**

- აქ ყველაფერი უფრო ძნელია. ყველაფერი გაცილებით სწრაფად კეთდება. აგრესიულობა ბევრად მაღალია.

**- ახლა სერ ალექს ფერგიუსონთან მუშაობთ. არის თუ არა ის "დიდი შეფი", თუ უფრო ჩვეულებრივი მწვრთნელის შთაბეჭდილებას ტოვებს?**

- ის "მანჩესტერის" "დიდი ბოსია". ყოველდღიურ ვარჯიშებს უმეტესად მისი ასისტენტი გვიტარებს, მაგრამ ფერგიუსონი ძალიან ხშირად მონაწილეობს ამ ვარჯიშებში და ყველაფერს თავად აკონტროლებს.

**- როგორ უძლებთ ისეთი ფეხბურთელების კონკურენციას, როგორებიც არიან როი კინი, ნიკი ბატი, პოლ სქოულზი, ან, თუნდაც, კლებერსონი?**

- ეს ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. დიდი კონკურენცია მაიძულებს, ბევრი ვიმუშაო. მხოლოდ ასე შეიძლება წინ წასვლა. მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ყველანი ბევრს მეხმარებიან.

**- ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ "მანჩესტერში"?**

- შესანიშნავმა დახვედრამ. ყველამ ძალიან თბილად მიმიღო. ყველაზე მეტად კი იმან გამაკვირვა, რომ სეზონის პირველივე მატჩში მომეცა თამაშის საშუალება, "არსენალის" წინააღმდეგ.

**- მომავალი წლის დასაწყისში კამერუნის ნაკრებთან ერთად აფრიკის თასზე მოპოვებული ჩემპიონის ტიტული დაცვა მოგიწევთ. შეგწევთ ამის უნარი?**

- ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება ტრიუმფის გამეორება. ბევრი გუნდია ჩვენზე "დაგეშილი".

**- კამერუნის ნაკრებში გარდაცვლილი მარკ-ვივიენ ფოეს შემცვლელად მიგიჩნევენ. მზად ხართ, რომ ეს როლი იკისროთ?**

- მარკი დიდი ფეხბურთელი იყო, დიდი სათამაშო ინტელექტით. ამასთან, შესანიშნავი პიროვნებაც. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, თუმცა, ვეცდები, მარკი ღირსეულად შევცვალო, მიუხედავად იმისა, რომ მისნაირი ფიზიკური მონაცემები არასოდეს მექნება. მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი მენდობა და საკუთარ თავშიც საკმაოდ დარწმუნებული ვარ.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" ახლა უკვე "რეალის" ბრაზილიელი მცველის, რობერტო კარლოსის შეძენა მოუნდომებია, თუმცა, თავად კარლოსმა აბრამოვიჩს ყოველგვარი იმედები გაუცრუა. "სრულიად არ მაინტერესებს ის წინადადება, რომელიც ლონდონელებისგან მივიღე. იმედი მაქვს, "რეალთან" დადებულ კონტრაქტს ბოლომდე შევასრულებ და მას კიდევ დიდი ხნით გავაგრძელებ", - განაცხადა კრლოსმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ დაადასტურა ინფორმაცია, რომელიც კატალონიური კლუბის ინგლისურ "ნიუკასლთან", ამ კლუბში პატრიკ კლუივერტის შესაძლო გადასვლის შესახებ მოლაპარაკებას ეხება. ახლა "ნიუკასლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ფრედი შიპერდი ბარსელონაშია, რათა კლუივერტი შეიძინოს. "გასულ კვირას, მართლაც, შევხვდი შიპარდს. ჩვენ პატრიკ კლუივერტის "ნიუკასლში" შესაძლო გადასვლის საკითხს განვიხილავდით. თავად პატრიკს არაერთხელ გამოუთქვამს კლუბის გამოცვლისა და კარიერის ინგლისში გაგრძელების სურვილი. ახლა ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ კლუივერტი "ნიუკასლში" წავა. დეკემბერში კვლავ შევხვდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებთ. თუ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, პატრიკი "ნიუკასლში" გადასვლას შეძლებს", - განაცხადა ლაპორტამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რონალდომ "ინტერის" გულშემატკივრებს მწვრთნელის პოსტიდან ექტორ კუპერის გადაყენება მიულოცა. "მე ვსაუბრობ, როგორც "ინტერის" გულშემატკივარი. დღემდე "ინტერის" ქომაგად დავრჩი და ყოველთვის მქონდა იმედი, რომ კუპერი რაც შეიძლება მალე წავიდოდა კლუბიდან", - განაცხადა რონალდომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მილანის "ინტერის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი კუპერი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მისი გათავისუფლებით საკმაოდ გაკვირვებული დარჩა. ეს ინფორმაცია მან ჟურნალისტებისგან მოისმინა. "ვერაფერს გეტყვით. მოდი, ოფიციალურ განცხადებას დაველოდოთ", - განაცხადა კუპერმა თავდაპირველად. ხოლო როდესაც შეიტყო, რომ ძაკერონის სახით "ინტერს" უკვე ახალი მწვრთნელიც ჰყავდა, თქვა: "ამის შესახებ არაფერი ვიცი. ჩემთვის არაფერი უთქვამთ. თუმცა, ძაკერონის წარმატებებს ვუსურვებ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** FIFA-ს პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს, შესაძლოა, იაპონიამ უმასპინძლოს. FIFA-ს კონგრესზე ბლატერმა იმის სურვილიც გამოთქვა, რომ საკლუბო ჩემპიონატი, 4 წლის ნაცვლად, 2-2 წლის ინტერვალით ჩატარდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შოტლანდიურ "დანდს" ედგარ დავიდსის გადაბირება სურს. ვარაუდობენ, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი "იუვენტუსს" მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვებს. ფეხბურთელის შეძენა ლონდონის "ჩელსის" და იტალიურ "რომასაც" უნდათ. თუმცა, გიორგი ნემსაძის კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს, დავიდსი იჯარის წესით, ხუთი თვით გადაიყვანოს, თანაც, უკვე მომავალი იანვრიდან. "დანდის" "ლაციოს" მცველის, ფრანჩესკო კოლონნეზეს შეძენაც ნდომებია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, "სან პაულუს" თავდამსხმელი ლუის ფაბიანო კვლავ დაუბრუნდა თავის ფსიქოლოგს და თერაპიის ახალი კურსი დაიწყო. ექიმის დახმარება ფეხბურთელს იმისთვის დასჭირდა, რომ საფეხბურთო მატჩებისას მოედანზე ნერვებს ვერ თოკავს და მსაჯები ხშირად სჯიან. მიმდინარე სეზონში ის უკვე შვიდჯერ გააძევეს მოედნიდან. ფაბიანო, ძირითადად, მეტოქეებთან ჩხუბისთვის ისჯება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიური "სან პაულუს" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ კლუბმა მიაღწია შეთანხმებას ჩინელ ბიზნესმენებთან იმის შესახებ, რომ ამ ქვეყანაში "სან პაულუმ" ახალი საფეხბურთო კლუბი ჩამოაყალიბოს. ეს გუნდი ჩინეთის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, თანაც, საკუთარი საფეხბურთო სკოლაც ექნება. კონტრაქტის თანახმად, უახლოეს ხანებში "სან პაულუ" თავის ხუთ ფეხბურთელს ჩინეთში სავარჯიშოდ გაუშვებს.

# შურისძიების საღამო: ელბერი "ბაიერნს" მასპინძლობს

აკა ტონია

*სამკვირიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა გვიბრუნდება. დღეს, საღამოს, ჯგუფური ეტაპის მესამე ტურს გამართავენ A, B, C და D ჯგუფების წევრები. რვა მატჩიდან ძნელად თუ გამოვარჩევთ ისეთს, რომელსაც გრანდების დაპირისპირება შეიძლება უწოდო, თუმცა, ერთ-ერთ მათგანს მაინც აქვს დამატებითი ინტრიგა. რომ არა ჯოვანი ელბერი, ფრანგული "ლიონისა" და მიუნხენის "ბაიერნის" შეხვედრა ერთი ჩვეულებრივი მატჩი იქნებოდა. "ბაიერნის" ყოფილი და ამჟამად "ლიონის" ბრაზილიელი თავდამსხმელი არ მალავს, რომ სურს, ყოფილ კლუბზე შური იძიოს. ამასთან დაკავშირებით ელბერმა უკვე იმდენი განცხადება გააკეთა, რომ საფეხბურთო სამყაროს "ლიონი"-"ბაიერნის" მატჩის მიმართ დიდი ინტერესი გაუჩინა.*

### ჯგუფი A
**ანდერლეხტი – სელტიკი**
**ლიონი – ბაიერნი**

მაშ ასე, დღეს ერთმანეთს შეხვდებიან ძველი "მეგობრები": ჯოვანი ელბერი თავის უწინდელ კლუბს უმასპინძლებს და მის კარში გოლის გატანასაც შეეცდება. ბრაზილიელმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ, მისი აზრით, "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვერ გააღწევს. თავისი მოსაზრების დამტკიცებას კი მიუნხენელთა კარში გატანილი გოლითა და "ბაიერნის" დამარცხებით შეეცდება. დღეს, საღამოს, ელბერს, მართლაც, კარგი შანსი აქვს საამისოდ. მიუნხენელებს უამრავი თავსატკივარი აქვთ და "ლიონის" წინააღმდეგ რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელიც დააკლდებათ. უმთავრესი პრობლემა არგენტინელი მცველის მარტინ დემიხელისის ტრავმაა. მას მუხლი სტკივა და გუნდთან ერთად გუშინაც არ უვარჯიშია. დემიხელისი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და მისი თამაშის საკითხი ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

მუხლის ტრავმა ჰქონდა ოლივერ კანს, რის გამოც მან გასულ შაბათს "ბუნდესლიგის" უკანასკნელი ტურის მატჩიც გამოტოვა. მაგრამ "ბაიერნის" კაპიტანმა გამოჯანმრთელება მოასწრო და დღევანდელ შეხვედრაში მიუნხენელთა კარს დაიცავს. "ბაიერნის" შემადგენლობას დაუბრუნდნენ სებასტიან დაისლერი და იენს იერემიესი, ასევე ზე რობერტოც. სამაგიეროდ სერიოზული დანაკლისია თავდასხმის ხაზში. ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ ითამაშებს კლაუდიო პიზარო. დაშავებულები არიან მეჰმეთ შოლი, ტობიას რაუ, ვილი სანიოლი, ოუენ ჰარგრეივსი, ბასტიან შვაინშტაიგერი და მარკუს ფორმერი.

ტრავმების ეპიდემია შეეყარა A ჯგუფის კიდევ ერთ ბინადარს. ბელგიური "ანდერლეხტი" დღეს გლაზგოს "სელტიკს" უმასპინძლებს. ამ მატჩში დამარცხების უფლება ბელგიელებს არა აქვთ, თორემ ჯგუფიდან გასვლის შანსს ახლავე უნდა გამოემშვიდობონ. არადა, "ანდერლეხტს" დღევანდელ მატჩში ვერ დაეხმარებიან ჰანუ ტიჰინენი, ოლივერ დოლი და კოჰონ სული. ბელგიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში, "შარლერუასთან" მოპოვებული გამარჯვებით (1:0) "ანდერლეხტმა" ქვეყნის პირველობის ლიდერობა შეინარჩუნდა, თუმცა, ძვირად დაუჯდა. "ჩემი თავის ტკივილი გლენ დე ბუკის ტრავმაა, რომელმაც ამ მატჩში ფეხი დაიზიანა", - განაცხადა "ანდერლეხტის" მწვრთნელმა უგო ბროსმა.

### ჯგუფი B
**დინამო – არსენალი**
**ლოკომოტივი – ინტერი**

B ჯგუფში, მართლაც, მოულოდნელი ვითარება შეიქმნა – "არსენალი" უკანასკნელ საფეხურზეა. მოსკოვის "ლოკომოტივს" და "არსენალს" ჯერ მხოლოდ თითო ქულა აქვთ და დღეს წარუმატებლობის შემთხვევაში მეტისმეტად რთულ მდგომარეობაში ჩავარდებიან. ლონდონელებმა ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "ჩელსის" სძლიეს და კარგ გუნებაზე არიან, თუმცა, ის ფაქტი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანიათ, არსენ ვენგერს მოსვენებას არ აძლევს.


ელბერი "ბაიერნის" დასჯას შეეცდება

ჩვენდა სამწუხაროდ, ისევე როგორც მის თანაგუნდელებს, ჯერ გოლი არ გაუტანია მიხეილ აშვეთიას. "არსენალის" მსგავსად, მოსკოვის "ლოკომოტივიც" უგოლოდ ხვდება "ინტერთან" მატჩს. თუმცა, უკანასკნელ დღეებში მილანელთა რიგებში მომხდარი ამბები მოსკოველთა წისქვილზე ასხამს წყალს. "ინტერმა" ექტორ კუპერი გაათავისუფლა, მისი შემცვლელი ალბერტო ძაკერონი კი დღევანდელი მატჩის შემდეგ შეუდგება საქმიანობას. "ლოკომოტივის" წინააღმდეგ "ინტერს" დროებითი მწვრთნელი, კუპერის თანაშემწე კორადო ვერდელი უხელმძღვანელებს.

### ჯგუფი C
**აეკ – ეინდჰოვენი**
**დეპორტივო – მონაკო**

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდებს შორის ჰოლანდიური "ეინდჰოვენი", ალბათ, ყველაზე ცუდ დღეშია. "გალათასარაისა" და "ოლიმპიაკოსთან" ერთად "ეინდჰოვენი" უქულო გუნდებს შორისაა. ჰოლანდიელებს დღეს სტუმრად უწევთ თამაში, თანაც, ბერძნულ "აეკ"-თან. საბერძნეთში თამაში კი "ეინდჰოვენზე" ძლიერ გუნდებსაც უჭირთ. "ეინდჰოვენი" უდიდესი ზეწოლის ქვეშაა - მარცხის შემთხვევაში გუნდი ახლავე დაემშვიდობება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს.

ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიიწევს წინ "მონაკო". თუმცა, პირველი სერიოზული გამოცდა სწორედ დღეს, "დეპორტივოს" წინააღმდეგ მატჩში ელის. ხავიერ ირურეტას გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრაში სტუმრად დაამარცხა "ბარსელონა" და შესანიშნავ გუნებაზეა. "მონაკოს" კი პრობლემა აქვს: ტრავმის გამო მცველი უგო იბარა, ალბათ, ვერ შეძლებს თამაშს.

### ჯგუფი D
**გალათასარაი – ოლიმპიაკოსი**
**იუვენტუსი – სოსიედადი**

D ჯგუფი ორ ნაწილად არის გაყოფილი – აშკარა ფავორიტებად და აშკარა აუტსაიდერებად. "იუვენტუსს" და "რეალ სოსიედადს" ექვსექვსი ქულა აქვთ, "გალათასარაი" და "ოლიმპიაკოსი" კი ჯერჯერობით უქულოდ არიან. დღევანდელ ტურში "იუვენტუსი" და "სოსიედადი" ხვდებიან ერთმანეთს, "გალათასარაი" კი "ოლიმპიაკოსს" მასპინძლობს. სწორედ დღეს გაირკვევა, შეძლებს თუ არა რომელიმე მათგანი მერვედფინალში გასვლის შანსის შენარჩუნებას. "გალათასარაი"-"ოლიმპიაკოსის" წყვილში დამარცხებული გუნდი შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს პრაქტიკულად დაკარგავს. მატჩის ფრედ დასრულება კი არც ერთს არ აწყობს - ერთი ქულა "იუვენტუსის" ან "სოსიედადის" დასაწევად საკმარისი არ იქნება.



## ინფოთეკა

**რაგბი.** ავსტრალიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი რაგბიში. გუშინ გაიმართა ერთი მატჩი. B ჯგუფში შოტლანდია აშშ-ის ნაკრებს დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონატამდე ორჯერ დაამარცხეს ამერიკელები და ორჯერვე დიდი ანგარიშით: 2000 წლის ნოემბერში მერიფილდში - 53:6, ხოლო 2002 წლის ივნისში სან-ფრანცისკოში - 63:25. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. შოტლანდიელებმა 5 უპასუხო ლელო აგემეს ამერიკელებს. თავი გამოიჩინეს: ორჯერ საიმონ დანიელმა, გივენ კერიმ, გრეგორ თაუნსენდმა და კრის პეტერსონმა. საბოლოოდ შოტლანდიის ნაკრებმა - 39:15 გაიმარჯვა და მყარად დამკვიდრდა მეორე ადგილზე. ამ ჯგუფში მეორე საგზურისთვის, ალბათ, შოტლანდია და ფიჯი იბრძოლებენ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ბრძანებით, მოსკოვის ცსკას გამთამაშებელს ჯონ რობერტ ჰოლდენს რუსეთის მოქალაქის სტატუსი მიანიჭეს. ამიერიდან ჰოლდენი რუსეთის შემადგენლობაში ჩართული იქნება ევროლიგისა და სუპერლიგის შეხვედრებში, - განაცხადა მოსკოვური კლუბის პრესსამსახურმა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ფეხის ტრავმის გამო მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი ხუან კარლოს ფერერო არ მონაწილეობს შვეიცარიის ტურნირში Swiss Indoors. შეჯიბრება გუშინ დაიწყო. ტურნირის პირველი ნომერი გახდა ამერიკელი ენდი როდიკი, მეორე - შვეიცარიელი როჟე ფედერერი.

■ ■ ■

**კრივი.** არტურო გატისა და ჯანლუკა ბრანკოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ WBC-ის ვერსიით სუპერმსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მათი კლიენტები 2004 წლის 24 იანვარს იჩხუბებენ. ამ კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც WBC-ის 41-ე კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, კონსტანტინ ცზიუს "დამსახურებული ჩემპიონის" წოდება მიანიჭოს, ხოლო, "უბრალოდ", ჩემპიონის ქამარი კი გატისა და ბრანკოს ორთაბრძოლაში გაათამაშოს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ედი ჯორდანს სასამართლო ხარჯების დასაფარავად კომპანია "ვოდაფონისთვის" მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. შეგახსენებთ: ირლანდიელი შეეცადა, კომპანიისთვის წაეყენებინა სასამართლო სარჩელი იმ მიზეზით, რომ ის არ ასრულებდა პირობას მისი გუნდის სპონსორობის შესახებ. ჯორდანი ცდილობდა, "ვოდაფონისთვის" 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი აეწაპნა.

ჯორდანმა თქვა, რომ სასამართლო ხარჯებისთვის "ვოდაფონი" მხოლოდ 600 000 გირვანქას იმსახურებს. კომპანია კი 1,5 მილიონს ითხოვდა. ბოლოს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით ჯორდანი ორი კვირის განმავლობაში 600 000 გირვანქას გადაიხდის, დანარჩენს კი - 2004 წლის იანვარში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ორი წლის წინათ საშინელი ავარიის გამო ალექს ზანარდიმ ორივე ფეხი დაკარგა. თუმცა, რბოლებში მაინც დაბრუნდა – შაბათს, მონცაში, მონაწილეობა მიიღო ტურისტული მანქანებით ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელ რბოლაში, სადაც კვალიფიკაციაში მე-11 იყო. ზანარდი BMW 320i-ის საჭესთან იჯდა. მან რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა და ერთი ქულა გამოიმუშავა. მისმა თანამემამულემ, ჯანკარლო ფიზიკელამ, კვალიფიკაციაზე ავარია განიცადა და რბოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საბერძნეთის პრესამ გამოაქვეყნა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები. გაირკვა, რომ მოსახლეობას არ აღელვებს მოახლოებული ოლიმპიური თამაშები, რომელიც 2004 წლის ზაფხულში ათენში გაიმართება. აქტიური სარეკლამო კამპანიის მიუხედავად, ბერძნების მხოლოდ 0,8 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოლიმპიური თამაშები ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. იმის მიუხედავად, რომ საბერძნეთის მთავრობა ოლიმპიადის მასპინძლობას პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს, მოსახლეობას უმუშევრობის, ფასების ზრდის, ჯანდაცვისა და განათლების პრობლემები უფრო აწუხებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** შაბათს "ბუფალოსთან" გამართულ მატჩში "კალგარის" მეკარემ, რომან ტურეკმა მარჯვენა მუხლი იტკინა. "კალგარიმ" ეს მატჩი - 0:2 დათმო. ტრავმის მიუხედავად, ჩეხმა ბოლომდე ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ტურეკმა გუნდის წინა მატჩი თავის ტრავმის გამო გამოტოვა. ექიმების საბოლოო დასკვნა ამ დღეებში გახდება ცნობილი, მაგრამ გუნდში ფარმ-კლუბიდან უკვე გამოიძახეს მეკარე დენი საბურენი.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა პლანეტის საუკეთესო ველომრბოლთა ახალი რეიტინგ-ლისტი. მას სათავეში უდგას იტალიელი პაოლო ბეტინი (2 266,75). მეორე ადგილზეა გერმანელი ერიკ ცაბელი (2 087,75). მესამეზე - იტალიელი ალესანდრო პეტაკი (1 989).

## ჩოგბურთი

# ფერერო პირველია... ენინიც



გასული უქმეები საჩოგბურთო სამყაროში უამრავი სიახლით აღინიშნა. გაირკვა, რომ წლეულს კორტზე აღარ გამოვა ერთ დროს პირველი სერენა უილიამსი - მუხლის ტრავმის შემდეგ ზედმეტ რისკს ერიდება. "ერთი სული მაქვს, კორტზე დავბრუნდე, მაგრამ ტრავმის შემდეგ სრული აღდგენა ვერ მოვასწარი, ამიტომ მოსალოდნელ გართულებას მირჩევნია, ცოტა ხანს კიდევ მოვიცადო", - ამბობს სერენა უილიამსი, რომელიც პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდა. არადა, წლევანდელი სეზონი ამერიკელისთვის წარმატებით დაიწყო. ჯერ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, შემდეგ კი უიმბლდონის ტურნირზეც გამოიჩინა თავი და ამით "დიდი სლემის" ტურნირებში გამარჯვების რიცხვი ექვსამდე გაზარდა.

ჟიუსტინ ენინ-არდენი კი WTA-მ სექტემბრის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარა. თუმცა, ბელგიელისთვის ეს არ იყო ერთადერთი მიღწევა. ციურიხში გამარჯვების შემდეგ მას უფრო დიდი აღიარება ხვდა წილად. ჟიუსტინ ენინ-არდენი ქალთა რეიტინგს ჩაუდგა სათავეში და თანამემამულე კიმ კლიისტერსი აიძულა, მეორე პოზიციაზე შემჭიდროებულიყო.

ლიდერი შეიცვალა ვაჟთა თანრიგშიც. მადრიდის მასტერსის სერიის ტურნირმა გადატრიალება მოახდინა - ATP-ის რეიტინგის სათავეში ესპანელი ხუან კარლოს ფერერო მოექცა. ფერერო მადრიდული ტურნირის პირველი ნომერი იყო და თუ გავითვალისწინებთ, რომ გრუნტის კორტებზე ესპანელს ბადალი არ მოეძებნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მიღწევა ლოგიკურია.

ფერერომ სეზონის ბოლო მასტერსი მოიგო. ამ საქმეში დაეხმარა ჩილელი ნიკოლას მასუ, რომელმაც თავის პოულში ყველა ფავორიტი ჩამოიცილა და ამით ფერეროს პირველ საფეხურზე აღზევებას შეუწყო ხელი. ფერერო ჩილელისთვის მეტისმეტად სერიოზული მეტოქე აღმოჩნდა და მასუს ფინალამდე რა სასწაულებიც არ უნდა ჩაედინა, მათი მარაგი კვირისთვის აშკარად ამოიწურა. დარჩა მასუ ფერეროს წინაშე აბსოლუტურად უმწეო მდგომარეობაში.

ყოველი სეტი იმით იწყებოდა, რომ ესპანელი მეტოქის მოწოდებას იგებდა, რამაც უზრუნველყო კიდეც ფერეროს იოლი გამარჯვება სამ სეტში - 6:3, 6:4, 6:3. ესპანელი მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი გახდა.

"ვისურვებდი, რომ სეზონის დასრულების შემდეგაც პირველ საფეხურზე დავრჩენილიყავი. იმედი მაქვს, ეს გამომივა", - განაცხადა ფერერომ. იმის თქმა არ შეიძლება, რომ მასუს არავითარი შანსი არ ჰქონდა. პირველ სეტში მან ორი ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა, მეორეში კი - სამი.

"გადამწყვეტ გათამაშებას ცუდად ვასრულებდი. რა თქმა უნდა, ფერეროც, უბრალოდ, უკეთესად თამაშობს. სეტი ყოველთვის იმით იწყებოდა, რომ 0:2-ს ვაგებდი და, ბუნებრივია, ეს საერთო ანგარიშზეც აისახა", - ასეთი კომენტარი გაუკეთა მასუმ მატჩს.

ხუან კარლოს ფერეროსი არ იყოს, WTA-ის რეიტინგში პირველობა ჟიუსტინ ენინ-არდენმაც შვეიცარიის ტურნირის ფინალში იოლი გამარჯვებით მოიპოვა. ციურიხში ყველა კვლავ ბელგიურ ფინალს ელოდა, მაგრამ კიმ კლიისტერსმა სერბ ელენა დოკიჩს დაუთმო ფინალის გზა. იმ შემთხვევაში, თუ მისი თანამემამულე ჟიუსტინ ენინი ტურნირს მოიგებდა, კლიისტერსი რეიტინგში პირველობას კარგავდა.

ასეც მოხდა. ფინალში ენინს არავითარი პრობლემა არ შექმნია. მან - 6:0, 6:4 მოიგო და გახდა მე-13 ქალბატონი, რომელიც 1975 წლის შემდეგ (სწორედ აქედან იწყება ქალთა ჩოგბურთში ქულების ათვლა) პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში პირველ საფეხურზე აღზევდა.

"პირველობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი", - განაცხადა ბელგიელმა, ვიდრე ციურიხის ტურნირის მთავარ პრიზს მიიღებდა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ უკვე ერთი კვირის თავზე კიმ კლიისტერსი პირველობას დაიბრუნებს. მომავალ კვირაში ლინცის ტურნირი იწყება. ჟიუსტინ ენინს კი საშუალება არ ექნება, დაიცვას ქულები, რომლებიც შარშან ამ ავსტრიულ ტურნირზე შეაკოწიწა.



ენინმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ჟიუსტინ ენინს ჯერ კიდევ წინა კვირაში შეეძლო გამხდარიყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი, მაგრამ მან წააგო გერმანიის ქალაქ ფილდერშტადტის ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა.

**პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგის პირველ ათეულები**

| ვაჟები: | | ქალები: | |
|---|---|---|---|
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 826 | ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 6667.00 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 822 | კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6584.00 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 700 | სერენა უილიამსი (აშშ) | 4400.00 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 605 | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3057.00 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 589 | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2809.00 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 569 | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2507.00 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 436 | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2440.00 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 358 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2346.00 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 322 | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2266.00 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 312 | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2213.00 |

## კრივი

# ლუისთან ბრძოლის სანქცია თუ პატივი

ბიჭა გურასაშვილი

ლენოქს ლუისს, რომელიც კრივის სამყაროს ყველაზე პატივდებულ მსოფლიოს საბჭოს (WBC) საჩემპიონო ტახტრევანს მომხდურებისგან იცავს, რინგიდან წასვლის შემთხვევაშიც კი კრივის ისტორიაში ადგილი გარანტირებული აქვს. აქედან გამომდინარე, ცნობისმოყვარეთა არმიას ბრიტანელის მომავალი აინტერესებს. ჯერაც პასუხგაუცემელია კითხვები, მიდის თუ არ მიდის. თუ მიდის, როდის და წასვლისას ვის კარს გაიჯახუნებს. ერთნი კარის გაჯახუნებისგან თავის შეკავებას ურჩევენ და ჩასჩიჩინებენ: თუ გინდა, რომ ხალხს დიდ ჩემპიონად დაამახსოვრდე, ახლავე წადი. ან: რაღას ელოდები? აქამდე რატომ აყოვნებ? შენნაირი ოსტატობით თუ ტიტულებით ერთიორი თუ დაიკვეხნის და რაღა გინდა? წადი, რაღა! ასეთი მოწოდებები მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც ლუისმა უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს WBC-ის ჩემპიონის ქამარი არ დაანება. ლუისი კი აჭიანურებს, თითქოს ორჭოფობს და რაღაცას თუ ვიღაცას ელის. ლუისის პასუხს ელიან მოცილეებიც. თუ ლუისმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გადაწყვიტა ხელთათმანების გახდა, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რა შეიძლება მოყვეს ყველაფერ ამას კრივის სამყაროში. დღეს, თუ, რა თქმა უნდა, ბრიტანელს არ მივილეთ მხედველობაში, რამდენიმე ისეთი მოკრივე, რომლებიც ლუისის მიერ გამოთავისუფლებული სამეფოს მმართველობა შეუძლია. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვინ რამდენ ხანს შეძლებს ტახტის შენარჩუნებას. პრეტენდენტები კი, იცოცხლეთ, მრავლად არიან! მათ შორის ყველაზე დიდი ამბიცია აქვს ვიტალი კლიჩკოს, რომელიც დღემდე ითხოვს ლუისთან განმეორებით შებმას. მანამდე კი უკრაინელს 6 დეკემბერს ლუისის ყოფილ თანამემამულესთან კირკ ჯონსონთან უწევს შერკინება.

რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკში მოეწყო დეკემბრის ორთაბრძოლის მონაწილეთა ერთობლივი პრესკონფერენცია. "MSG"-ის ("მედისონ სკვერ გარდენი") ჰოლში შეკრებილ უამრავ ჟურნალისტს ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი აინტერესებდა.

"აგვისტოს დასაწყისში ლუისს ლონდონში შევხვდი და განმეორებითი შეხვედრის პირობები განვიხილეთ, - იხსენებს ვიტალი. – ერთსაათიანი უაზრო საუბრის შემდეგ, როდესაც ლუისს ვკითხე, გამოვა თუ არა რინგზე ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად, გაურკვევლად მიპასუხა, რომ, შესაძლოა, საერთოდაც წავიდეს კრივიდან, შესაძლოა, არც წავიდეს".

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დათანხმდა ვიტალი კანადელთან ჩხუბს, უკრაინელმა განაცხადა, რომ მას სურს, მაქსიმალურად დაიტვირთოს და, ამასთან, რაც შეიძლება, მეტი ორთაბრძოლა გამართოს. თუ ლუისი მაინც ვერ გაერკვევა, რა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე უსაქმურად უნდა ვიყო. მე ჩხუბი მწყურია. აი, კირკი კი ძალზე სერიოზული მეტოქეა, რომელთან გამარჯვებაც დიდი პატივი იქნება ჩემთვისო.

დღესდღეობით კლიჩკოსა და ჯონსონის პრომოუტერებს ერთი თავსატკივარი აქვთ - WBC-ს ხელმძღვანელობას როგორმე გამოსტყუონ სანქცია, რომელიც 6 დეკემბრის ორთაბრძოლას შესარჩევის სტატუსით განამტკიცებს. ანუ, კლიჩკოსა და ჯონსონს შორის გამარჯვებულს უფლება ჰქონდეს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ლენოქს ლუისს დაუპირისპირდეს.

სხვათა შორის, ვიტალისთან დაპირისპირებამდე (ლეონოქს ლუისი და ვიტალი კლიჩკო წლეულს, 21 ივნისს, ლოს ანჯელესში შეხვდნენ ერთმანეთს. მეექვსე რაუნდში ბრიტანელმა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა უკრაინელი.-რედ.) ბრიტანელი კანადელს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ჯონსონმა ორთაბრძოლის წინ, ვარჯიშისას, ტრავმა მიიღო. კანადელი კი დღესაც გულნატკენი ჩანს მომხდარით, უფრო სწორად, ლუისზეა განაწყენებული.

"როდესაც ტრავმა მქონდა, ლუისი ჩემზე ბევრ ცუდს ლაპარაკობდა, - აცხადებს ჯონსონი. – როდესაც შეიტყო, რომ მასთან ვერ ვიჩხუბებდი, ალბათ, შვებითაც ამოისუნთქა".

კანადელი გაცილებით ხალისიანად ალაპარაკდა მას შემდეგ, რაც საუბარი მისი და ვიტალის სამომავლო შეხვედრას შეეხო: "მიმაჩნია, რომ დღეს ორი საუკეთესო სუპერმძიმეწონოსანი არსებობს – მე და ის (ვიტალი). მაგრამ მე საუკეთესო ვარ, ვიტალი კი მეორეა, რასაც 6 დეკემბერს დავამტკიცებ კიდეც. ვიტალიმ მართლა დაამარცხა ლუისი, მაგრამ როდესაც ვიტალის ვცემ, ლუისს სხვა გამოსავალი არ დარჩება - ან მე უნდა მეჩხუბოს, ან საბოლოოდ წავიდეს კრივიდან.

კლიჩკოსთან ბრძოლა ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ლენოქსთან. ვიტალის სიმაღლე, გამოცდილება და კარგი ფიზიკური ფორმა - აი, რას უნდა მოეპყრო პატივისცემით. კლიჩკოსთან ჩხუბი უხეშობითაც იქნება გამორჩეული, მაგრამ მისი ძლევით მსოფლიოს დავუმტკიცებ, რომ პლანეტის საუკეთესო სუპერმძიმეწონოსანი ვარ".

ზოგადად კრივსა და მეტოქეებზე საუბრის შემდეგ უკრაინელსა და კანადელს ტაქტიკაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

ვიტალიმ პასუხისგან თავი შეიკავა, თუმცა, თქვა, რომ კირკთან საჩხუბრად სერიოზულად მოემზადება, რადგან წინ დიდი ბრძოლა ელის.

უკრაინელისგან განსხვავებით, ჯონსონმა ყველაფერი დაფქვა. თუ კანადელს დავუჯერებთ, იგი ხელწერის შეცვლას არ აპირებს. ისე იჩხუბებს, როგორც ამას ადრე აკეთებდა. მეტიც... "მუდმივად მირჩევენ, რომ დარტყმის ძალა ვიტალის ტრავმირებულ თვალზე მივმართო. თუმცა, მის კორპუსს და თავსაც ამოვიღებ მიზანში".







იმისთვის, რომ ლუისს შეხვდნენ, კლიჩკომ და ჯონსმა ჯერ ერთმანეთი უნდა გალახონ

## მოკლედ

### ამერიკელები 100 მედალს გეგმავენ

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიდან 100 მედლის მოპოვებას გეგმავს. თუმცა, ისიც კარგად მოეხსენება, რომ ამ მიზნის მიღწევა უაღრესად გაუჭირდება, რადგან ამჟამად მსოფლიო სპორტში მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს.

"ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მსგავსი ამოცანის ამოხსნისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, - კლივლენდში ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჯიმ სკერიმ, - თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩვენ ეს გამოგვივა".

ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე დამკვიდრდა ერთგვარი ტენდენცია, რომ ამერიკელები სულ უფრო ამცირებენ მედლების რაოდენობას. ბარსელონაში (1992) ამერიკელებმა სამივე სინჯის 108 მედალი მოიპოვეს, ატლანტაში (1996) - 101, სიდნეიში (2000) - 97, ათენში კი... ექსპერტთა ვარაუდით, უფრო მძაფრი კონკურენცია იქნება. ამას სპეციალისტები რუსეთის მომძლავრებას უკავშირებენ და ადასტურებენ, რომ რუსეთმა ოლიმპიურ თამაშებზე თავისი პოზიციები აღიდგინა. ამასთან, სულ უფრო იზრდება პრეტენზიები ჩინეთის, გერმანიის, ავსტრალიის, საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის ათლეტთა მხრიდან.

"ამ ქვეყნების სპორტსმენები ამერიკელებს უფრო დიდ კონკურენციას გაგვიწევენ, ვიდრე წარსულში გვიწევდნენ, - მიიჩნევს სკერი, - ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიზნის მიღწევა უფრო გაგვიჭირდება".

### კასპაროვმა "დიპ ფრიცს" ალღო აუღო

სამი კვირის შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გარი კასპაროვს ნიუ იორკში კომპიუტერულ პროგრამა "დიპ ფრიცთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. რუსი დიდოსტატი ფიქრობს, რომ მატჩი მისთვის წარმატებული იქნება.

კასპაროვმა განაცხადა, რომ მომზადების პროცესში მოძებნა მიმართულება, რომლითაც კომპიუტერთან წარმატების მიღწევა შესაძლებელია. "პრინციპში, ჯერ კიდევ იანვარში "ჯუნოირთან" შეხვედრამ ჩემთვის წარმატებით ჩაიარა, - ამბობს კასპაროვი, - კომპიუტერი, ასე ვთქვათ, დაცვით პოზიციაში აღმოჩნდა". კასპაროვი მიიჩნევს, რომ შეძლებს, კომპიუტერს საკუთარი თამაში მოახვიოს თავს.

"ყველა მანქანას თავისი სახე, ხასიათი აქვს, რომელიც საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, - აღნიშნა ექს-ჩემპიონმა, - მე ვემზადები ამ მატჩისთვის, დიდ სამუშაოს ვასრულებ და იმედი მაქვს, რომ ეს ჩემთვის წარმატებით დაგვირგვინდება".

ამასთან, კასპაროვის თქმით, ნიუ იორკის ოთხი პარტიისგან შემდგარი მატჩი მოჭადრაკისთვის უაღრესად რთულ, არატიპურ ვითარებაში გაიმართება: დიდ ეკრანზე საჭადრაკო დაფის გარეშე და სვლების გამოცხადებით.

### "ფერარიმ" შუმახერის მეექვსე ტიტული აღნიშნა

50000 გულშემატკივრის თანდასწრებით "ფერარიმ" საზეიმოდ აღნიშნა მიხაელ შუმახერის მეექვსე ტიტული და კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაში გუნდის მორიგი გამარჯვება. საზეიმო ღონისძიება გაიმართა მიუჯელოში, სადაც "ფერარის" ერთ-ერთი ტესტ-ავტოდრომია განლაგებული. გუნდის პილოტებმა მიხაელ შუმახერმა და რუბენს ბარიკელომ "ფერარის" ბოლო მოდიფიკაციის ბოლიდით - F2003-GA რამდენიმე წრე გაიარეს. ამას გარდა, შუმახერმა, ბარიკელომ და გუნდის ტესტ-პილოტებმა ლუკა ბადოერმა და ფელიპე მასამ მონაწილეობა მიიღეს რბოლაში "მაზერატის" თასზე. რბოლა ლუკა ბადოერმა მოიგო. მიუჯელოს ბაზაზე აგრეთვე ფორმულა 1-ის ისტორიული ავტომობილების პარადიც მოეწყო. "ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომ, რომელმაც საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, განაცხადა, რომ მთელი გუნდით უსაზღვროდ ამაყობს და "სკუდერიის" თითოეულ წევრს პერსონალურად მადლობა გადაუხადა. ასეთ საზეიმო ნოტზე დაასრულა "ფერარიმ" 2003 წლის ოფიციალური სეზონი.

## TV სპორტი

### სამშაბათი. 21 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
14:00 თავისუფალი დარტყმა
14:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" – "ატლეტიკო პარანენსე"
16:00 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური
16:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
17:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 თავისუფალი დარტყმა
18:15 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:15 "პოსტსკრიპტუმი"
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:00 ჩემპიონთა ლიგა. "ლოკომოტივი" – "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ჩემპიონთა ლიგა. "ლოკომოტივი" – "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა
02:45 ჩემპიონთა ლიგა. "იუვენტუსი" – "რეალ სოსიედადი"

**НТВ + СПОРТ**
06:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "EDMONTON OILERS" - "ST. LOUIS BLUES". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 15:45, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შელეში"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. "OAKLAND RAIDERS" - "KANSAS CITY CHIEFS"
14:15 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
14:45 "კვირის თემა"
16:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:30) "NHL – პლუს"
19:00 კონკური. "Georgenburg Cup"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open".
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) – "არსენალი" (ინგლისი). პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 "ოლიმპიური თამაშები"
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ფეხბურთი. უეფა
17:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
20:00 ფეხბურთი. უეფა
22:00 ფეხბურთი. უეფა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები
02:30 ახალი ამბები
02:45 ავტორბოლა. ლე მანის ამერიკული სერია, მაიამი
03:45 მოტორბოლი. ასპარეზობა იტალიაში
04:15 ახალი ამბები



# "ტასიტ ბლიუ" - სტელსების მახინჯი წინამორბედი

როცა ამ უცნაური გარეგნობის თვითმფრინავს შეხედავ, ვერც კი იტყვი, რომ შენს წინაშეა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი "სტელსი". მაგრამ ფაქტია, რომ სანამ სამხედრო ავიაციაში პირველად გამოჩნდებოდა ეგრეთ წოდებული უხილავი საფრენი აპარატები, სწორედ ამ თვითმფრინავს, სახელად "ტასიტ ბლიუ", ცდიდა პენტაგონი იმ იმედით, რომ მისი საშუალებით ნამდვილ რევოლუციას მოახდენდა სამხედრო ავიაციაში.

პროექტ "ტასიტ ბლიუზე" 165 მილიონი დოლარი დაიხარჯა და თითქოს, ტესტების პროგრამა წარმატებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში პენტაგონმა უარი თქვა მის განხორციელებაზე. თავად ამერიკელები ამბობენ, რომ ეს იყო ყველაზე უცნაური ფორმის აპარატი, რომელიც კი ოდესმე უნახავთ – ნამდვილი მფრინავი ვეშაპი, მაგრამ იგი სრულად შეესაბამებოდა მის წინაშე დაყენებულ მოთხოვნებს. და მაინც, პროგრამა შეჩერდა...

ყველაფერი კი 1978 წელს დაიწყო, როცა აშშ-ის მაღალტექნოლოგიურ თავდაცვის საშუალებათა კვლევის სამმართველომ (დარპა), აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა და კორპორაცია "ნორტროპმა" შვიდწლიანი თანამშრომლობა დაიწყეს პროგრამაზე სახელწოდებით "ტასიტ ბლიუ ტექნოლოჯი დემონსტრეიშნ პროგრამ", რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ისეთი საფრენი აპარატის შექმნა, რომელიც რადარებისადმი უხილავი (ნაწილობრივ, ან სრულად) იქნებოდა.

რა თქმა უნდა, პროგრამა გასაიდუმლოებული იყო. იმდენად გასაიდუმლოებული, რომ მასში მონაწილე გამომცდელმა პილოტებმაც კი არაფერი იცოდნენ. სხვათა შორის, სიტყვა "ტასიტი" უცნაურს, სიტყვით გამოუთქმელს ნიშნავს. ამ უცნაური თვითმფრინავის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ 1996 წლის მაისში გაჩნდა პრესაში, როცა "ტასიტ ბლიუს" აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ოჰაიოს მუზეუმში მიუჩინეს საპატიო ადგილი.

სამაგიეროდ, "უხილავი ვეშაპის" დამზადებისას გამოყენებულ ახალ ტექნოლოგიათა დიდი ნაწილი "სტელსის" ტექნოლოგიით შექმნილ თანამედროვე თვითმფრინავებშიც (B2 სპირიტ, TR-3A ბლექ მანტა და სხვა) გამოიყენება, რის გამოც ის ახლაც დიდ საიდუმლოს წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, ეს ერთპილოტიანი საბრძოლო თვითმფრინავი თავიდანვე მუზეუმში ბინადრობისთვის ყოფილა განწირული და მის მთავარ დანიშნულებას მხოლოდ და მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეების გამოცდა წარმოადგენდა. მასზე პირველად გამოიცადა მრავალფუნქციური რადარი, საფრენი აპარატის დაფიქსირების საწინააღმდეგო სისტემა, ელექტრონული დაცვის სისტემა და სხვები.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, "ტასიტ ბლიუმ" მის წინაშე დასმული ყველა ამოცანა შეასრულა და როგორც აშშ-ის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრის მოადგილე არტურ მანიმ განაცხადა, ეს იყო აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ისტორიაში ყველაზე წარმატებული საბრძოლი თვითმფრინავი.

"ტასიტმა" თავისი პირველი საცდელი გაფრენა 1982 წლის თებერვალში შეასრულა, რის შემდეგაც, ექვსმა პილოტმა მასზე 135-ზე მეტი რეისი განახორციელა. ხანდახან ეს უცნაური თვითმფრინავი დღეში რამდენიმე გაფრენასაც კი ასრულებდა. ამ თვითმფრინავის სიგრძე 16.5 მეტრია, სიმაღლე კი – 3.2 მეტრი. მისი ფრთების გაშლა 13 მეტრს აღწევდა, წონა კი 13.5 ტონას. შედარებით მცირე იყო "ლურჯი უცნაურის" სიჩქარე – სულ რაღაც 461 კმ/სთ, მისი ჭერი კი (ფრენის მაქსიმალური სიმაღლე) 9.14 კმ.

თვითმფრინავს ერთადერთი ჰაერის ამღები ლაყუჩი ფიუზელაჟის უმაღლეს წერტილში აქვს განთავსებული, რითაც უზრუნველყოფილია ორი ტურბოვენტილატორული ძრავისთვის (გარეტ ATF3-6) ჰაერის ნორმალური მიწოდება. მთავარი კი ისაა, რომ "ლაყუჩის" ამნაირი განლაგებით ის შეუმჩნეველია მტრის რადარებისთვის, რომლებიც თვითმფრინავის ინფრაწითელ (თბურ) გამოსხივებას აფიქსირებს. სამაგიეროდ, ლაყუჩის ასეთი განლაგება თვითმფრინავს კიდევ უფრო უცნაურ ფორმას ანიჭებს და ზრდის მის ვეშაპთან მსგავსებას.

საერთოდ, სამხედრო საქმეში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება საბრძოლო ტექნიკის გარეგნობას. იმთავითვე ცხადია, "ტასიტ ბლიუს" შემქმნელებს სრულიად არ აინტერესებდათ თავიანთი ქმნილების დიზაინი. მათ სულ სხვა ამოცანა ამოძრავებდათ, რომელსაც შესანიშნავად გაართვეს თავი – მათ მიერ გამოყენებულმა ბევრმა ტექნოლოგიურმა სიახლემ გამოყენება ჰპოვა ბომბდამშენ B2-ში, რომელიც დღეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი საუკეთესო თვითმფრინავია.

ესეც რომ არა, როცა ამერიკელ სამხედრო ექსპერტებს ჰკითხეს, რატომ თქვეს მათ უარი ასეთ შესანიშნავი პარამეტრების მქონე თვითმფრინავზე, მათ უპასუხეს, რომ "ტასიტ ბლიუ" უბრალოდ, მოძველდა. სამაგიეროდ, თავისი ყველა კარგი თვისება "შთამომავალს" გადასცა, სიმახინჯე კი მუზეუმში გაიყოლა.

# სარძევე კბილები - მილისებრი უჯრედების საბადო

აშშ-ის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ჩატარებული გამოკვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ მილისებრი უჯრედების "ეთიკურად სუფთა" ხერხით მიღება ადამიანის სარძევე კბილებიდანაა შესაძლებელი. ცნობილია, რომ მილისებრი უჯრედები ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერი ნაწილის უჯრედების "სამშენებლო მასალაა". მათი "მოპოვება" განუსაზღვრელად შეიძლება ადამიანის ჩანასახში (ემბრიონში). იგივე უჯრედები ზრდასრულ ადამიანებშიც მოიპოვება, მაგრამ მათ ნაკლებად აქვთ სხვა ორგანიზმში გადანერგვის შემდეგ იქ განვითარების უნარი. ემბრიონიდან უჯრედების მოპოვება კი ჩანასახის მოსპობას ნიშნავს, რაც ევროპაში მალე აიკრძალება. დადგინდა, რომ სარძევე კბილის მილისებრ უჯრედებს შეუძლიათ როგორც ძვლის, ასევე ნერვულ და ცხიმოვან უჯრედებად გარდაქმნა. ყოველივეს საშუალებით ახლო მომავალში მედიკოსებს საშუალება ექნებათ, სრულად აღადგინონ დაზიანებული სხეულის ნაწილები.

# ჩაის სმა იმუნიტეტს აუმჯობესებს

ჰარვარდის ერთ-ერთი სამედიცინო სკოლის სწავლულთა ჯგუფმა გამოიკვლია ადამიანის ორგანიზმზე ჩაის ზემოქმედება და დაადგინა, რომ ამ სასმელის მუდმივი მოხმარების შემთხვევაში შესამჩნევად იზრდება ადამიანის იმუნიტეტი. დადგინდა, რომ გარე ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობა იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად 5-6 პატარა ფინჯან ჩაის სვამენ, რამდენჯერმე მეტი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც სხვა სასმელების, მაგალითად ყავის სმას ამჯობინებენ. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ იმუნიტეტის ზრდას განაპირობებს ნივთიერება ეთილამინი, რომელსაც ჩაის ინგრედიენტ L-ტინინის გადამუშავების შემდეგ გამოყოფს ღვიძლი. სწავლულები ჩაის სმას, პირველ რიგში, ხნიერ ადამიანებს ურჩევენ. თუმცა, მათივე თქმით, ყოველივე როდი ნიშნავს იმას, რომ ჩაი სამკურნალო საშუალებაა. უბრალოდ, ამ სასმელის საშუალებით ადამიანი უფრო ადვილად უმკლავდება იოლ დაავადებებს.

# ლაზერი საწვავის ნაცვლად

დიდი ხანია, მეცნიერები ეძებენ ალტერნატიულ საწვავს თვითმფრინავებისა და რაკეტებისთვის. წარმოიდგინეთ, საჰაერო ხომალდს საწვავის ტარება რომ არ უწევდეს, რამდენად მეტ მგზავრს გადაიყვანდა, ან რამდენად ბევრი ტვირთის გადატანას შეძლებდა. ეს მართლაც გადატრიალება იქნებოდა საჰაერო ტრანსპორტში და როგორც ჩანს, ამ გადატრიალების მოწმენი მალე გავხდებით კიდეც.

ამის იმედს იძლევა ნასა-ს "დრაიდენ ფლაით რისერჩ სენტერის" აეროდრომის ანგარში ჩატარებული საცდელი გაფრენები, რომლის დროსაც თვითმფრინავის პროტოტიპი ხმელეთიდან ლაზერული სხივით მიწოდებული ენერგიის საშუალებით ახორციელებდა ფრენას.



პლანერზე, რომლის ფრთის გაშლა სულ 1.5 მეტრია, წონა კი 300 გრამი, ლაზერის სხივის საშუალებით მიწოდებული ენერგიის მისაღებად გამოიყენება ფოტოელემენტები. ენერგია მიეწოდება ძრავს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ხრახნი, ეს უკანასკნელი კი გამწევ ძალას ქმნის.

გამოკვლევის მიზანია ისეთი თვითმფრინავის შექმნა, რომელიც დიდ სიმაღლეებზე და განუსაზღვრელი ვადით ფრენას შეძლებს. "ხომალდს მანამ შეეძლება ფრენა, სანამ ხმელეთიდან მისთვის ენერგიის მიწოდება იქნება შესაძლებელი", - ამბობს ნასა-ს ცენტრ "მარშალ სპეის ფლაითის" მენეჯერი რობერტ ბურდინი, ვისი ხელმძღვანელობითაც ტარდება აღნიშნული სამუშაოები.

ისეთ საფრენ აპარატებზე, რომლებსაც მინიმალური საწვავით (ან უმისოდ) ხანგრძლივი ფრენის განხორციელება ხელეწიფებათ, უკვე რამდენიმე წელია, მუშაობენ ნასა-ს კონსტრუქტორები. ასეთ აპარატებად, ჩვეულებრივ, იყენებენ მზის ელემენტებით მომუშავე თვითმფრინავებსა და საჰაერო ბურთებს. თუმცა, როგორც "მარშალის" ცენტრის ინჟინერი ჯერი ბერგი ამბობს, საჰაერო ბურთები კარგი მანევრირებით ვერ დაიკვეხნიან, როცა მზის ელემენტებზე მომუშავე პლანერების უარყოფითი თვისება ისაა, რომ მათზე გამოიყენება საკმაოდ მძიმე ბატარეები, რომლებიც მზის ენერგიის აკუმულირებას ახდენს..

თუმცა, პრობლემები გააჩნია ლაზერულ საწვავზე მომუშავე თვითმფრინავებსაც. კერძოდ, სრულიად შესაძლებელია, რომ ლაზერის ჭავლი შეწყდეს, როცა მის ტრაექტორიას გადაკვეთს თვითმფრინავი, ან რაიმე სხვა საფრენი აპარატი. ანაც ჩვეულებრივი ღრუბელი. ბერგი ამბობს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოდგება პლანერისთვის ენერგიის მიმწოდებელი რამდენიმე სადგურის გამოყენება – იმ შემთხვევაში, თუ რომელიმეს ჭავლს ჰაერში წინაღობა შეხვდება, საქმეში ჩაერთვება მეორე, თუ მასაც რაიმე შეუშლის ხელს, ამოქმედდება მესამე და ა.შ.

რამდენიმე სახმელეთო მიმწოდებლის შემთხვევაში გამოირიცხება მაღალი სიმძლავრის ლაზერის გამოყენების საჭიროება, რითაც შემცირდება ლაზერის ჭავლით სხვა საფრენი აპარატების დაზიანების, ფრინველების განადგურების ალბათობა.

კონსტრუქტორთა ჯგუფის, რომელშიც "მარშალის ცენტრის" გარდა ალაბამას ჰანტსვილის უნივერსიტეტის მკვლევარებიც ირიცხებიან, მომავალ ნაბიჯს უფრო დიდი მასშტაბის მაკეტების გამოცდა წარმოადგენს. პირველი მაკეტის შექმნისას კი მათი ამოცანა იყო პლანერის მასის შემცირება – მის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა მსუბუქი ხე, ნახშირბადოვანი კომპოზიტები და ცელოფანი.

თვითმფრინავებისთვის, რაკეტებისა და ხელოვნური თანამგზავრებისთვის ენერგიის ლაზერული, ან სხვა სახის ჭავლებით მიწოდების პერსპექტივაზე დიდი ხანია, ბჭობენ მეცნიერები, მაგრამ პირველი ტესტების ჩატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც კონსტრუქტორების ხელში აღმოჩნდა თანამედროვე ტექნოლოგიები.

მაგალითისთვის, 2000 წლის ოქტომბერში, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილ ნიუ მექსიკოს საჰაერო ბაზაზე გამოსცადეს ბეისბოლის ბურთის ზომის საფრენი ბირთვი, რომელმაც კარბონ დიოქსიდის ლაზერით 70 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

ორი წლის შემდეგ კი იაპონელებმა, კერძოდ კი ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა ჩაატარეს საკმაოდ მარტივი გამოცდები, რომლის დროსაც ლაზერის სხივით აორთქლებულმა წყალმა ქაღალდის სიფრიფანა პლანერი რამდენიმე მეტრით წინ გადააადგილა.

ამერიკელი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ლაზერული ჭავლით ენერგიის გადაცემა ახლო მომავალში გამოყენებას ჰპოვებს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებში, რომლებსაც გაცილებით დიდი ხნით და თანაც, გაცილებით იაფად ფუნქციონირების საშუალება ექნებათ.

ფოტოზე: ფოტოელემენტებით აღჭურვილმა მსუბუქმა პლანერმა რამდენიმე წრე დაარტყა საცდელი დახურული პოლიგონის გარშემო, რომლის ცენტრიდანაც მას ლაზერის ჭავლით "მარშალის" ცენტრის სპეციალისტები ამარაგებდნენ.

# "სტელსის" საზღვაო ნათესავს "ვისბი" ჰქვია

ბონდის ერთ-ერთ სერიალში ფილმის გმირი ანადგურებს შავი ფერის საბრძოლო ხომალდს, რომელიც, როგორც ამ ფილმში ამბობენ, "სტელსის" ტექნოლოგიითაა აღჭურვილი და ბუნებრივია, მტრის რადარებისთვის თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი რჩება.

როგორც ჩანს, ფილმში გამოყენებული იდეა მოეწონათ შვედურ კომპანია "კოკუმსში", რომლის კონსტრუქტორებმაც, თუ გამოცემა "ინქუაიერს" დავუჯერებთ, უკვე შექმნეს ხომალდი-მოჩვენება სახელად "ვისბი". სანდოა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია? ძნელი სათქმელი იქნებოდა, რომ არა უშუალოდ კომპანია "კოკუმსის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყალში ჩაშვებულია "გემი ნომერ ორი" - იგივე "ვისბის" კლასის სამხედრო უხილავი ხომალდი.

შეიძლება უჩვეულოდაც მოეჩვენოს მნახველს, მაგრამ "ვისბი" გარეგნულად რაღაცით "სტელსის" სისტემით შექმნილ სამხედრო თვითმფრინავ F-117-ს მოგვაგონებს. მისი მთავარი თვისებაც სწორედ გარეგნობაში "იმალება" - მასში თითქმის გამორიცხულია მახვილი კუთხეები, რაც უზრუნველყოფს ხომალდის "უხილაობას" (რა თქმა უნდა, ნაწილობრივს).

ამგვარ "უხილავ" ტექნოლოგიებში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მასალისგან მზადდება ხომალდის (საზღვაო თუ საჰაერო) კორპუსი - როგორც შვედური კომპანია ირწმუნება, მათ მიერ შექმნილი სამხედრო გემის კორპუსი მთლიანადაა დამზადებული ნახშირბადოვანი ბოჭკოთი არმირებული კომპოზიციური მასალით.

გემს გააჩნია ჰიდრორეაქტიული ძრავები და სარადარო და ინფრაწითელი (თბური) გამოსხივების ჩახშობის ტექნოლოგია, ყოველივე კი მის უხილაობას უზრუნველყოფს.

"ინქუაიერი" იტყობინებოდა, რომ პირველი უხილავი ხომალდები აშშ-ის შეიარაღებაში 2005 წლიდან უნდა გამოჩნდეს, მაგრამ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ უკვე "უოშინგტონ ტაიმსმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პენტაგონმა სამ ამერიკულ გიგანტს - "ლოკჰიდ მარტინს", "რეითეონ კორპორეიშნს" და "ჯენერალ დაინემიქსს" ამგვარი უხილავი ხომალდების დამზადებაზე კონტრაქტები გაუფორმა. ამასთან, პირველ ორთან დადებული კონტრაქტის მოცულობა ათი მილიონი დოლარია, "ჯენერალ დაინემიქსთან" კი – 8.9 მილიონი დოლარი. უარი ეთქვა ისეთ დიდ და ყოვლისშემძლე კომპანიას, როგორიცაა "ნორტროპ გრუმენი". სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა "კოკუმსთან" დაიჭირა საქმე და იმედოვნებს, რომ დამოუკიდებლად შეძლებს ხომალდი-მოჩვენების შექმნას.

პენტაგონის ინფორმაციით, ახალი ტიპის კორვეტს (სამხედრო გემების ამ კლასს მიეკუთვნება შვედური "უხილავი") გაცილებით დიდი ზომის სამხედრო ხომალდებთან, წყალქვეშა ნავებთან და მცირე კატარღებთან გამკლავების უნარი შესწევს და ახლო მომავალში დიდ როლს შეასრულებს საზღვაო ოპერაციებში. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამგვარი გემების შექმნა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს და 2009 წლამდე ამ პროექტზე 4 მილიარდ დოლარამდეა გამოყოფილი.

პირველი უხილავი გემის მშენებლობა 2005 წელს დაიწყება და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ორი წლის შემდეგ უნდა დასრულდეს. თავიდან განსაზღვრული იყო ცხრა ასეთი გემის აგება, მაგრამ სააგენტო ბლუმბერგი ირწმუნება, რომ ეს რიცხვი უკვე 60-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სამხედრო გემების მშენებლობის საქმეში ლიდერობა "ჯენერალ დაინემიქსსა" და "ნორტროპ გრუმენს" უპყრიათ ხელთ. ამ სფეროში გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვთ "ლოკჰიდსა" და "რეითეონს". მათ არც სპეციალური გემთსაშენები აქვთ, მაგრამ ორივე დიდი ხანია, წარმატებით მოღვაწეობს სამხედრო ავიაციის სფეროში და ამასთან, დიდი გამოცდილება გააჩნია საშუალო ზომის სამხედრო გემების მშენებლობის საქმეში.



# ყველაზე საყვარელი წიგნი

ტელემაუწყებლობა ბი-ბი-სი-ს ეთერში ახალი გადაცემა გავიდა, რომლის ავტორებიც ბრიტანელების ყველაზე საყვარელი წიგნის დადგენას ცდილობენ.

მაყურებლებს შეუძლია, სიაში შესული ნაწარმოებებიდან ერთ-ერთს მისცეს ხმა. სულ მალე გამარჯვებულიც გამოვლინდება.

"დიდი კითხვა" გადაცემების სერიაა, რომელსაც ძალიან კეთილშობილური მიზანი აქვს - ის ქვეყნის მცხოვრებლებს მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებების წაკითხვისკენ მოუწოდებს. პირველი გადაცემა წელს, აპრილში აჩვენეს – მაშინ, ბრიტანელების გამოკითხვის საფუძველზე, ასი ყველაზე პოპულარული წიგნის სია შედგა. შემდეგ მათ შესთავაზეს ასეულში შესული წიგნებიდან 21-ის არჩევა. ასე, ნელ-ნელა შემცირდება წიგნების რაოდენობა, სანამ ერთ დღესაც ერთი, ბრიტანელი ხალხის ყველაზე საყვარელი წიგნი არ დარჩება.

სხვათა შორის, ბრიტანელები თავიანთ ლიტერატურას ძალიან აფასებენ -დღეისათვის ცნობილი, მათთვის საყვარელი 21 წიგნიდან თხუთმეტი ბრიტანელ ავტორებს ეკუთვნის.

**"1984", ჯორჯ ორუელი;**

**"ფრინველთა გალობა", სებასტიან ფოლკსი;**

**"კაპიტან კორელის მანდოლინა", ლუი დე ბერნიერი;**

**"ხაფანგი-22", ჯოზეფ ჰელერი;**

**"თამაში ჭვავის ყანაში", ჯერომ სელინჯერი;**

**"დიდი იმედები", ჩარლზ დიკენსი;**

**"ქარწაღებულნი", მარგარეტ მიტჩელი;**

**"ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი", ჯოან როულინგი;**

**"წყვდიადის მასალები", ფილიპ პულმანი;**

**"ავტოსტოპით გალაქტიკაში", დუგლას ადამსი;**

**"ჯეინ ეარი", შარლოტა ბრონტე;**

**"ნარნიის ქრონიკები", კლავ ლიუისი;**

**"პატარა ქალები", ლუიზა მეი-ალკოტი;**

**"ბეჭდების მბრძანებელი", ჯ.რ.ტოლკიენი;**

**"ნუ მოკლავ ჯაფარას", ჰარპერ ლი;**

**"სიამაყე და წინასწარმეტყველება", ჯეინ ოსტინი;**

**"რებეკა", დაფნია დიუ მორიე;**

**"ომი და მშვიდობა", ლევ ტოლსტოი;**

**"ვინი პუჰი და ყველა-ყველა", ალან მილნი;**

**"ქარიშხლის უღელტეხილი", ემილია ბრონტე;**

**"ქარი ტირიფებში", კენეტ გრემი.**

# არ იდარდო, სტელა!



2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციის შექმნისას დიზაინერმა სტელა მაკარტნიმ ბავშვობის ოცნების განხორციელება შეძლო. "ისეთი კოლექციაა, აი, ბებიას სკივრს რომ გახსნი და ნივთებს ამოალაგებ, რომლებიც ოდესღაც მოდური და მხიარული იყო; ახლა მტვრით დაფარული და გახუნებულია".

ამ იდეის განსახორციელებლად სტელამ "ბისკვიტისფერი" კორსეტები შექმნა, რომლებიც ძველმოდური მაქმანებითაა გაწყობილი. მან ბებიას სკივრიდან ძალიან მოხდენილი ნივთები ამოალაგა: მსუბუქი, გრძელი შიფონის კაბები; მარგალიტისფერი აბრეშუმის ბლუზები ლატექსის ქამრებით; ტანზე მომდგარი სვიტერები და მინი-კაბები, რომლებიც ბალერინების ჩაცმულობას მოგვაგონებს.

აქსესუარებიც არანაკლებ შთამბეჭდავია: გამჭვირვალე ფეხსაცმელი და ლითონითა და ქვებით მორთული ჩანთები სტელას თაყვანისმცემლებმა შედევრებად შერაცხეს.

რაც უნდა უცნაურად გვეჩვენოს, თავად სტელა ახალი ნამუშევრის წარმატებას... კაბალას უმადლის. ეს მადონნას რეკომენდაციით მოხდა – მადონნამ დაარწმუნა, რომ კაბალით გატაცება მისთვისაც უაღრესად სასარგებლო იქნებოდა. ერთ საჯარო ღონისძიებაზე დიზაინერი წვრილი წითელი სამაჯურით გამოცხადდა, რომელიც, ებრაული მისტიკური ტრადიციის თანახმად, ბოროტი სულებისგან იცავს. სხვათა შორის, ეს სამკაული ხშირად ბრიტნი სპირსსაც უკეთია ხოლმე.

ამ ამბის დეტალები უცნობმა ინფორმატორმა "დეილი მეილს" უამბო: "სტელა ბევრ რამეს დარდობდა, და მადონნამ დაარწმუნა, რომ კაბალა ნამდვილად უშველიდა. სტელამ გუჩისთან მარცხი განიცადა, მის მოდელებს სასტიკად აკრიტიკებდნენ. მერე დიზაინერმა ჯეფ ბენქსმა განაცხადა, რომ ის თავის წარმატებას მხოლოდ მამის, პოლ მაკარტნის სახელს უნდა უმადლოდეს. გარდა ამისა, სტელას იმედი აქვს, რომ დაორსულდება – მადონნამ კაბალას მიმართა, როცა დაორსულება უნდოდა და სტელასაც უამბო, რომ კაბალამ უშველა".

საერთოდ, ბოლო დროს სტელა სულ უფრო ხშირად მიმართავს "დამხმარე საშუალებებს". რამდენიმე ხნის წინათ მისი და პამელა ანდერსონის დამეგობრების ამბავიც უკბილო ხუმრობების საგანი გახდა. ეს იმით დაიწყო, რომ პამელამ ლონდონში Lycra Style Awards-ის წასაყვანად მისი კოლექციიდან აირჩია კაბა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი სტელას ნიჭი არ ყოფილა, უბრალოდ, სხვა მოდელიორები ბუნებრივი ბეწვეულით მუშაობენ, პამელა კი ცხოველთა უფლებების აქტიური დამცველია და ასეთი წვრილმანის გამო თავს ნამდვილად არ გაიფუჭებდა.

შემდეგ პამელა ლოს ანჯელესში მაკარტნის მაღაზიას ესტუმრა. ქალებს აშკარად ბევრი რამ აღმოაჩნდათ სალაპარაკო. ჟურნალისტებიც უმალვე აქირქილდნენ, - პამელამ სტელას კარგი პლასტიკური ქირურგები ურჩიაო. ისედაც ნაწყენ სტელას ეს ჭორი, ცხადია, სულ არ გახარებია.

არადა, ლეგენდარული მამისა და დიზაინერული ნიჭის გარდა, სტელას სხვა რამეებიც აქვს საამაყო. მაგალითად, ჰოსპიტალ Cedars-Sinai-სა და მაღაზია Saks Fifth Avenue-სგან ძალიან საპატიო ჯილდო აქვს მიღებული – "სიმამაცის პრემია". ის მას კიბოსთან ბრძოლისთვის მიანიჭეს. მკერდისა და საშვილოსნოს კიბოს კვლევისა და მკურნალობისთვის თანხების მომზიდველი საქველმოქმედო ფონდის მმართველობის შემადგენლობაში სტელასთან ერთად ტომ ჰენქსი და სტივენ სპილბერგიც შედიან. სტელა "სიმამაცის პრემიის" ყველაზე ახალგაზრდა მფლობელია. მანამდე ეს პატივი ელტონ ჯონს, მაიკლ დუგლასს და კეტრინ ზეტა ჯონსს ხვდათ წილად.

მოკლედ, ერთი შურიანი კოლეგის უშნო ნათქვამმა სტელას ბევრი სიკეთე დაავიწყა. თავად განსაჯეთ: ოდესღაც მისი აღიარება არავის უნდოდა, დღეს კი მისი კოლექციების დემონსტრირება კეიტ მოსმა და ნაომი კემპბელმაც ისურვეს და მის ჩვენებებზე ყველა უბედურების თავს და თავს, სახელმოხვეჭილ მამასაც კი უჭირს მოხვედრა.

## სკანვორდი



N276-ი გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი:

## TV პროგრამა

21 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი „ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** დოკ. ფილმი „ჯაზი" **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი"-"სოსიედადი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჩემი პატარა, ძვირფასი პლანეტა" **10.00** საპარლამენტო არჩევნები **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი „გონდაკარგული" **16.50** დოკ. სერიალი „ბუშლენდის სკოლა" 1-ლი ს. **17.15** მულტსერიალი „კიტუ" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.45** „ჩვენი ფეხბურთი" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „ცხოველური ბუნება".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „პრეზიდენტი და მისი შვილიშვილი" მთ.რ-ში ოლეგ ტაბაკოვი, ნადეჟდა მიხალკოვა **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** „ბრავო" „ჩამშვები" მთ.რ-ში მერლი მეტლინი, უილიამ მაკნამარა. **01.40** „ღამურა" „საიდუმლო" მთ.რ-ში ტონი ტოდი, ანა კოზანი. **03.00** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** „ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები" **19.00** სერიალი „მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.45** მხ. ფილმი „სამი ფერი: თეთრი" **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი „მართალი ტყუილი".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „ბრიყვების ოჯახი" **21.00** ისტორიანი **21.30** პალიტრა - ვან გოგი **22.10** მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „გულთამპყრობელნი" **15.00** მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ.ფილმი „ძვლების მტვრეველი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ამერიკული დრაკონი".

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია" **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „ამომავალი ვარსკვლავი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. „ოპერაცია „თხა" **00.55** მუსიკა.

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი „ნეკრესი" **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი **13.15** დოკ. ფილმი „დევიდ გრიფიტი-კინოს მამა" მე-2ნ. **14.00** მულტფილმი „უმცროსი დრაკულა" **14.50** „ოსტატი" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ღამის ექიმები" **20.00** „ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი „მოჯადოება" **22.20** „ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „შიშის კაშხალი".

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.15** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი" **11.05** „გოლი" - სერია „ა" **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „გაიხსენე ყველაფერი" **15.15** მხ. ფილმი „სახიფათო წინადადება" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** „მერიდიანი" **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **20.15** ლარის მახე **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** ფილმი-ზღაპარი „დაბრუნება ოზ-ის ქვეყანაში" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია „ზაზუნას დღე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი „გარღვევა" **15.35** დოკუმენტური ფილმი **16.20** მულტფილმი „კატა ლეოპოლდი" **17.25** დრამა „ჟანა დ-არკი" 2 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** „დღეს მსოფლიოში" **20.00** დრამა „ქარაფშუტობა" **21.40, 05.50** მუსიკა **21.50** „გალერეა" **23.00** „Пресс-папье" **23.05** „რა არ ხდება" **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **00.55** მხატვრული ფილმი „დედინაცვალი" **03.40** მხ. ფილმი „ზოროს ნიღაბი" .

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა" **09.35** „ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო" - მე-14 სერია **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **18.20** აუდიო - ვიდეო - ტელე **19.00** „აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** „ავტოტრეკინგი" **22.15** მობილურები **23.00** „კინოკლუბი" - „დიდების ალი". მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ: დიკ ლოური. როლებში: ბრიუს კემპბელი, ლორი ლახლინი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე"- მე-16 სერია **01.30** კომპიუტერული ტექნიკა.

### OPT

**07.00** „Доброе утро!" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 10.20 Худ.фильм „Убойная сила: Лазурный берег", 1 с. 11.30 Боевик „Великий Мерлин", 1 с. 12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом" **13.20** „Город женщин" **14.00 Детектив „Казино" 16.20, 01.50** „Фабрика звезд 3" **16.40** „Ералаш" **17.00 Сериал „Берег мечты" 18.00** „Большая стирка" **19.30** „Кумиры". Е.Санаева **20.50 Худ.фильм „Побег" 22.00, 00.30** „Время" **22.30 Худ.фильм „Убойная сила: Лазурный берег", 2 с. 23.40** Док.фильм „Операция „Агент-призрак" **00.50** „На футболе" **01.20** „Сканер" **02.20 Боевик „Сталь" 04.05 „2" Комедия „Мужья и жены" 06.05** „Сила йоги".

### PTP

**06.00** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Каменская 3" 10.45** „Не скуЧАЙ!" с М.Евдокимовым **11.45, 14.50, 17.30, 01.15** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.50, 23.00 Сериал „Баязет" 15.30** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.30 Сериал „Леди Босс" 18.10 Сериал „Бандитский Петербург" 19.10 Мелодрама „Ундина" 20.00 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **00.00** „Вести+" **00.20** „Кто стрелял в Ленина?" **01.30** „Народный артист" **01.40 Детектив „Секунда до смерти" 03.30** „Дорожный патруль" **03.45 Сериал „Ангелы Чарли" 04.40 Сериал „Восемь рассказов".**

### НТВ

**07.00** „Утро на НТВ" **09.50 Сериал „Черный ворон 2", 2 с. 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Их нравы" с Дм. Захаровым **12.15** Ток-шоу „Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.40** „Сегодня" **13.35 Худ.фильм „Сувенир для прокурора" 15.35** „По праву" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Семья: традиция или пережиток?" **18.30 Сериал „Кодекс чести" 19.35** „Территория выживания" **20.20 Худ.фильм „Антикиллер", 2 с. 21.20 Футбол. Лига чемпионов. „Локомотив" (Россия) - „Интер" (Италия) 23.35** „Страна и мир" **00.10 Сериал „Клиент всегда мертв" 01.25 Худ.фильм „Антикиллер" 03.00** „Дневник Лиги чемпионов" **04.00** „Кома: это правда".

# უოლტ დისნეის სტუდია 80 წლისაა

ნანა ბასილაშვილი

„უოლტ დისნეის კომპანიის“ დაარსებიდან ზუსტად 80 წელიწადი გავიდა. თავისი ნათელი, ხალისიანი მულტიპლიკაციური ფილმების წყალობით, სტუდია უკვე დიდი ხანია, რაც მსოფლიოს გასართობი ინდუსტრიის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ახლა დისნეის კომპანია არა მხოლოდ საბავშვო მულტფილმებსა და საოჯახო ფილმების გამოშვებითაა დაკავებული, მისი საქმიანობა ბევრად უფრო მრავალფეროვანია: ტელეკომპანია ABC, ჰოკეის გუნდი "ანაჰაიმ მაიტი დაქსი", ასევე, სტუდია Miramax, რომელიც ლიდერია ჰოლივუდის "ოსკაროსნებში". მოკლედ, „უოლტ დისნეის კომპანია“ დღეს მედია-იმპერიის მფლობელად გვევლინება.

ეს ყველაფერი კი 80 წლის წინათ, ძალიან მოკრძალებულად დაიწყო ერთ პატარა გარაჟში მოწყობილ სტუდიაში. იმისათვის, რომ "ძმები დისნეების სტუდიისათვის" (ასე ეწოდებოდა საწარმოს, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ „უოლტ დისნეის კომპანია“ გახდა) აპარატურა შეეძინათ, უოლტმა ბიძას 785 დოლარი ესესხა. სტუდიის პირველი მულტფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" იყო. ძმებს პოპულარობა მოუტანა ოსვალდის კურდღლის თავგადასავალმა – "არეულობა ტრამვაიში". ვიდრე ოსვალდზე მულტფილმს შექმნიდნენ, უოლტმა დისტრიბუტორ მარგარეტ უინკლერთან კონტრაქტი გააფორმა. პარტნიორმა წარმატებით მოატყუა გულუბრყვილო ძმები და კურდღლის სერიალის გაგრძელება თავად გამოუშვა. უოლტი ჰონორარის გარეშე დარჩა და ყველანაირი უფლება დაკარგა საკუთარ ნახატ შვილობილზე. თუმცა, ამის გამო, ძმებს ხელი არ ჩაუქნევიათ - მალე უოლტმა ახალი "მულტვარსკვლავი" გამოიგონა - თაგუნა მიკი მაუსი. მულტიპლიკაციურ ფილმებს, მხიარული თაგვის მონაწილეობით, მრავალი წლის განმავლობაში თავად დისნეი ახმოვანებდა. საუკეთესო ნახატი ფილმისათვის მას "ოსკარი" მიანიჭეს.

ეს იყო პირველი გამარჯვება, რის შემდეგაც დისნეის კინოსტუდიამ, შეიძლება ითქვას, ყველა მწვერვალი დაიპყრო - მათ გამოუშვეს: "ფიფქია და შვიდი ჯუჯა", "სამი გოჭი", "კონკია", "პინოქიო", "ბემბი" და სხვა მრავალი მულტიპლიკაციური ჰიტი. ამ შედევრებმა მათ შემქმნელს 26 "ოსკარი" და 59 ნომინაციის პრემია მოუტანეს.

დღეს კინოსტუდია ახალ ტექნოლოგიებს ითვისებს, რათა კონკურენტებს არ ჩამორჩეს - ახლა XXI საუკუნე დადგა და, თუკი ძველებურად დახატავენ და მხოლოდ მხატვრულ ტალანტს დასჯერდებიან, შესაძლოა, აუდიტორია დაკარგონ. ანიმაცია ხომ "ნამდვილ" კინოზე მეტადაა კომპიუტერულ სიახლეებზე დამოკიდებული.





# Universal Music სამუშაო ადგილებს ამცირებს

მსოფლიოში უმსხვილესმა ხმის ჩამწერი კომპანია Universal-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 11 პროცენტით (1350 სამუშაო ადგილი) შეამციროს თანამშრომელთა რაოდენობა. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამით, გარკვეულწილად, იმ ზარალის კომპენსირებას მოახდენს, რაც კომპანიამ გამოშვებული დისკების ჩავარდნით მიიღო. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თანამშრომელთა გათავისუფლებით წელიწადში 200 მილიონი დოლარის ეკონომიას გააკეთებს, რაც საშუალებას მისცემს, იოლად გადალახოს მისთვის ეს მეტად მძიმე პერიოდი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში Universal-ის გაყიდული დისკების რაოდენობა მეტად შემცირდა. მუსიკალური ფირმები ამის მიზეზად მიიჩნევენ ჩანაწერების ინტერნეტით უფასოდ გავრცელებას. 2003 წლის პირველ ნახევარში Universal Music-მა 488 მილიონი დოლარის დანაკარგი განიცადა, რაც გაყიდვების რაოდენობის 25 პროცენტით ვარდნამ გამოიწვია.

Universal Music ფრანგული მედია-მაგნატის Vivendi-ის კუთვნილებაა და გამოსცემს ისეთი ვარსკვლავების ჩანაწერებს, როგორებიც არიან: ემინემი და შერილ ქროუ. Universal Music აშშ-ში მუსიკალური ბაზრის, დაახლოებით, 30 პროცენტს აკონტროლებს. კომპანიის ძირითადი კონკურენტები არიან - „სონი“, Warner Music და EMI, რომლებიც, ასევე, ძველებური წარმატებით ვერ ყიდიან პროდუქციას.

# გამოფენა ამინდზე: შეიცანით სამყარო

ლონდონში, ტეიტის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში "მეტეოროლოგიური გამოფენა" მიმდინარეობს. დანიურ-ისლანდიური წარმოშობის მხატვარი ოლაფურ ელიასონი ბრიტანელებისა და ამინდის "ურთიერთობაზე" ფრიად შთამბეჭდავ პროექტს სთავაზობს სტუმრებს. უზარმაზარი, ღია დარბაზის ერთ ბოლოში წითელი შუქის გიგანტური ორბიტა ჩანს, რომელიც მზის როლში გვევლინება. ცარიელ დარბაზში სხვა არაფერი დგას, თუმცა მაინც საოცარი სილამაზე იქმნება იმ ნისლის წყალობით, რომელიც, თითქოს, მდინარე ტემზიდან მოდის.

როგორც ელიასონი აცხადებს, "ამინდის პროექტის" განხორციელება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ბრიტანელებისთვის ეს თემა მარად აქტუალურია. ასე რომ, ტეიტის ამ დარბაზში შესული სტუმრის წინაშე გვიანი შემოდგომის ლონდონის ერთი ნისლიანი დღე გადაიშლება დიდი, მრგვალი მზით.

ელიასონი მიიჩნევს, რომ ამინდი არა მარტო ბრიტანელების, არამედ მთელი ჩრდილოეთ ევროპის სოციალურ ცხოვრებას განსაზღვრავს და სწორედ ამ მოსაზრებით ამართლებს თავის უცნაურ წამოწყებას: "ადამიანი ამ მხარეში მუდამ იყო ამინდზე დამოკიდებული. ამ ფენომენს აშკარად თავისი ისტორია აქვს – მეთევზეები, ფერმერები – ისინი თავიდანვე ამინდის მიხედვით ადგენდნენ ყოველდღიურ გეგმებს".

თუმცა, როგორც ხელოვნებათმცოდნეები შენიშნავენ, ელიასონი ისევეა ამინდით "დაავადებული", როგორც - ბრიტანელები: ერთხელ ლოს ანჯელესში, მარკ ფოქსის გალერეაში მან სახურავი ამოჭრა, საიდანაც დარბაზში სინათლის სვეტი ჩაუშვა და ექსპოზიცია უფრო შთამბეჭდავი გახადა. ავსტრიაში კი "კუნცჰაუზ ბრეგენცის" გალერეაში ყველანაირ ამინდს ცალკე ინსტალაცია მიუძღვნა და გამოფენის მოსაწყობად აბსოლუტურად ბუნებრივი მასალა გამოიყენა: წყალი, მიწა, ხე, ხის სოკო...

ტეიტში კი მზის ეფექტი ძალზე უცნაურად იქმნება. წითელ ფერს ერთსიხშირიანი ნათურები გამოსცემს. თავად მზეს კი, მთელი წრის ნაცვლად, ნახევარწრე ქმნის. მეორე ნახევარს დამთვალიერებელი უკან, თითქმის, ჭერამდე ჩამონტაჟებული სარკეებიდან ხედავს. სარკეები ადამიანების გამოსახულებასაც აირეკლავს და დარბაზში შესულს ჰგონია, თითქოს, უზარმაზარ მზესა და სივრცეშია ათქვეფილი.

მხატვრის განმარტებით, ამასაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონია: "ჩემი მიზანია, განგაცდევინოთ თქვენს გარშემო არსებული სამყარო - ის წამი, როდესაც მას შეიცნობ".

ეს ფილოსოფიური იდეა მხატვარმა საკმაოდ ეფექტურად გაყიდა გაზეთებსა და ჟურნალებში გაშვებული რეკლამით, რომელიც ერთადერთ, მარტივ წინადადებას შეიცავდა: "ლონდონელი ტაქსის მძღოლების 73 პროცენტი მგზავრებს ამინდზე ესაუბრება"...

ერთი სიტყვით, მხატვარმა, თითქოს, იუმორისტული თემა – ბრიტანელი და ამინდი დიდ ფილოსოფიურ იდეად აქცია. გამოფენა ტეიტში 31 მარტამდე გასტანს.














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.